

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ინდირა შალიკაძე

„ყარამანიანის“ ენა და სტილი

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა– ლინგვისტიკა

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ნანა ცეცხლაძე

ბ ა თ უ მ ი 2018

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი,

(ხელმოწერა)

.....

(თარიღი)

შინაარსი

შესავალი.....	გვ.5-11
თავი I. „ყარამანიანის“ ენობრივი თავისებურებანი.....	გვ.12-101
§1. „ყარამანიანის“ ფონეტიკური თავისებურებანი.....	გვ.12-18
1.1. ასიმილაცია.....	გვ.12
1.2. დისიმილაცია	გვ.12-13
1.3. მეტათეზისი.....	გვ.13
1.4. სუბსტიტუცია.....	გვ.13-14
1.5. ბგერის გაჩენა.....	გვ.14
1.6 ბგერის დაკარგვა.....	გვ.14
1.7. არქაული ფორმები.....	გვ.15-16
1.8. პარალელური ფონეტიკური ფორმები.....	გვ.16-18
§2.„ყარამანიანის“ მორფოლოგიური თავისებურებანი.....	გვ.18-62
2.1. არსებითი სახელი	გვ.18-23
2.2. ზედსართავი სახელი	გვ.23-24
2.3. რიცხვითი სახელი.....	გვ.24-26
2.4. ნაცვალსახელი	გვ.26-28
2. 5. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების თავისებურებანი.....	გვ.28-30
2.6. ზმნა.....	გვ.30-44
2.7. სახელზმნა.....	გვ.44-47
2.8.უდეტრები.....	გვ.47-54
2.9. პარალელური მორფოლოგიური ფორმები „ყარამანიანში“.....	გვ.54-62
§3.სინტაქსური თავისებურებანი.....	გვ.62-71
3.1. სიტყვათა რიგი.....	გვ.62-65
3.2. სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხი.....	გვ.65-66
3.3. მასდარული კონსტრუქცია.....	გვ.66-67
3.4. კალკები.....	გვ.67-71
§4. „ყარამანიანის“ ლექსიკური თავისებურებანი	გვ.72-96
4. 1. ა) არქაული ლექსიკა.....	გვ.72-75

ბ) აღმოსავლური ლექსიკა.....	გვ.75-80
4. 2. ფრაზეოლოგიზმები	გვ. 80-89
4. 3. „ყარამანიანის“ ინტერტექსტი.....	გვ.89-92
4. 4. სინონიმის სტილისტიკური ფუნქციები.....	გვ.92-95
4. 5 „ყარამანიანის“ ანდაზა- აფორიზმები.....	გვ.95-96
4. 6. დისფემიზმის სტილისტიკური ფუნქციები.....	გვ.96
§ 5. სიტყვაწარმოება „ყარამანიანში“	გვ.96-101
5.1. წარმოქმნილი სახელები „ყარამანიანში“	გვ.96-100
5. 2. კომპოზიტები „ყარამანიანში“	გვ.100-101
თავი II. ტროპის სახეები „ყარამანიანში“	გვ.102-116
§.1. შედარების სტილისტიკური ფუნქციები.....	გვ.103-109
§ 2. ეპითეტის სტილისტიკური ფუნქციები.....	გვ.109-111
§.3. მეტაფორის სტილისტიკური ფუნქციები.....	გვ.111-112
§.4. ჰიპერბოლის და ლიტოტესის სტილისტიკური ფუნქციები.....	გვ.112-114
§.5. გაპიროვნების სტილისტიკური ფუნქციები.....	გვ.115
§.6. სხვა სტილისტიკური თავისებურებანი.....	გვ.115-116
დასკვნები.....	გვ.117-121
შემოკლებათა განმარტებანი.....	გვ.122-123
გამოყენებული ლიტერატურა.....	გვ.124-130

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული „ყარამანიანი“ საფალავნო-სათავგადასავლო რომანია. ამ ჟანრის ნაწარმოებები ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების, განსაკუთრებით კი XVI-XVII საუკუნეების აღმოსავლურ ლიტერატურაში.

XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოში საგრძნობლად განვითარდა როგორც საგმირო, ისე დიდაქტიკურ-მორალისტური, საისტორიო და რომანტიკული ეპოსი. აღორძინების ხანის ქართული ეპოსი წარმოდგენილია როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ძეგლებით.

ქალაქების ზრდამ და მოსახლეობის დაბალი ფენების აქტიურობამ შეუძადა ნიადაგი ჯერ XI-XIII საუკუნეებში პირველი სპარსული დასთანების ჩამოყალიბებას, შემდეგ კი, XVI-XVIII საუკუნეებში, მათ მასობრივ აღორძინებას. სპარსული დასთანების მსოფლიო რეზონანსს კი ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებამ. საქართველო, ტერიტორიული მდებარეობის გამო, დაკავშირებული იყო დასავლეთის და აღმოსავლეთის კულტურასთან და რა თქმა უნდა, ლიტერატურასთან. მოკლედ, ამ ჟანრის თხზულებათა წარმოქმნა-გავრცელებას ხელი შეუწყო პროზის უმდიდრესმა ეროვნულმა ტრადიციებმა და ურთიერთობამ მეზობელ ქვეყნებთან.

ალ. ბარამიძე წერს: „ხალხები არასოდეს ყოფილან ერთმანეთისგან ჩინური კედლებით გათიშული. მათ ერთმანეთთან ჰქონიათ ცოცხალი, ქმედითი, ზოგჯერ ძალიან მჭიდრო ურთიერთობა, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისე კულტურული. სულიერი ცხოვრების სფეროში ხალხები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ კულტურულ მონაპოვართ, ერთმანეთზე ახდენდნენ ზემოქმედებას, ნაციონალური კულტურისადმი ერთგული სამსახურის გზით ამდიდრებდნენ საკაცობრიო კულტურის საგანძურს“ (ბარამიძე, 1959: 165).

პირველ პერიოდში (X-XIII) გვხვდებოდა საგმირო-საფალავნო დასთანები, რომელთა პერსონაჟებადაც ისტორიული პირები არიან გამოყვანილი. მეორე პერიოდში „გაჩნდა მთელი ციკლი „შაჰ-ნამეს“ გმირებთან დაკავშირებული გვიანდელი დასთანები, რომელთაც აღარაფერი დარჩათ პირველწყაროსი“ (ლლონტი, 1980: 354).

სპარსული ხალხური დასთანების მარტივი სიუჟეტი, სადა ენა დიდ ინტერესს იწვევდა ქართველ მსმენელებში და სწრაფად ვრცელდებოდა. დ. კობიძის აზრით, „ასეთი ხასიათის თხზულებები განსაზღვრავს გარკვეული პერიოდის მხატვრული ლიტერატურის ხასიათს, მის ტონსა და მიმართულებას“ (კობიძე, 1969: 201).

ქართველი მკითხველები აქტიურად ადევნებდნენ თვალს „შაჰ-ნამეს“ სხვადასხვა ვერსიას და „შემღებისამებრ აქართულებდნენ მათ და ამრიგად, ქართული ლიტერატურისკენ გზას იკაფავდა „შაჰ-ნამეს“ სხვადასხვა ვერსია“ (კობიძე, 1975: 205).

როგორც ალ. გვახარია წერს, „ქართულ-სპარსულმა ურთიერთობებმა საკმაო გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე“ (გვახარია, 1987: 5-12).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „სპარსულ პოეზიას დიდი გავლენა ჰქონდა ქართველებზე, მისი საგმირო და სააშვიკო სიტყვიერება ქართველებს უყვარდათ და შეჰხაროდნენ იმგვარადვე, როგორც თვით სპარსელები შეჰხაროდნენ“ (ჯავახიშვილი, 1948: 306).

ქართველი ხალხი გმირულად ებრძოდა შემოსეულ მტერს, მათ სულიერი საზრდო სჭირდებოდათ, რასაც „საგმირო ნაწარმოებებში მოთხრობილ ამბებში ხედავდა; ამბებში, რომლებიც თავის მხრივ, გმირობისთვის – სამშობლოს დასაცავად ეძახდა ქართველ მამულიშვილებს“ (უგრეხელიძე, 2016: 249).

გამომცემლობა „სიესტამ“ 2017 წლის დასაწყისში გამოსცა იოსებ გრიშაშვილის „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა.“ პოეტი წერს, რომ „XVIII საუკუნის შესახებ ბევრი მასალა მოუძიებია არქივებსა და წიგნსაცავებში, რასაც მისთვის მიუცია ბიძგი, რომ ძველ თბილისზე დაეწერა წიგნი. ასევე ძალიან ბევრი საინტერესო მასალა უნახავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის შესახებ. ეთნოგრაფიული, ლიტერატურული, სტატისტიკური მასალები მან გააერთიანა და გამოსცა უნიკალური ნაშრომი, რომელიც ყველასთვის, ვისაც ძველი თბილისი უყვარს, სამაგიდო წიგნად იქცა. წიგნიდან ვიგებთ, რომ „ყარამანიანი“ ძალიან პოპულარული იყო. ამის შესახებ ანტონ ფურცელაძე ამბობდა, „დანჯღრეულ და გალადებულ ოცნების სიზმარს ჰგავსო.“ ქართულად ნათარგმნ „ყარამანიანს“ კითხულობდნენ საუკუნეების წინ ქართველები, ის იყო მათი სულიერი საზრდო. როგორც ცნობილია,

ერთ-ერთი იყო მისი ფანტასტიკურობა, რითაც ბევრ მკითხველს თუ მსმენელს იზიდავდა. იგი ხმამაღლა იკითხებოდა და ყველა სულგანაბული უსმენდა. ხალხი კი თავისთავს გამირის როლში წარმოიდგენდა“ (<https://saba.com.ge/books/details>).

ძველად ქართულ ოჯახში „ვეფხისტყაოსანთან ერთად „ყარამანიანის“ ხელნაწერიც ინახებოდა. მზითევი „ყარამანიანის“ გარეშე ხომ ისეთივე წარმოდგენელი იყო, როგორც ჩვენთვის ცხოვრება-ტექნიკის გარეშე. ამ წიგნს ერთნაირად ეტანებოდა როგორც დაბალი ხალხი, ისე მაღალი საზოგადოება.. ეს იყო განცვიფრების და მოულოდნელობების წიგნი მაშინ. ეს იყო ნამდვილი „ქართული“ მწერლობა! ეს იყო დროის მოთხოვნა... ეს იყო სულიერი საზოდო..<https://takotchanturia.wordpress.com>).

ასე და ამგვარად, „ყარამანიანი“ რეალურად ფართოდ გავრცელებული წიგნი იყო.

„ყარამანიანი“ უშუალოდ უკავშირდება სპარსულ „ყაჰრამან-ნამეს“ და მის თურქულ რედაქციებს. „ყაჰრამან-ნამე“ მიეწერება კლასიკური ხანის მწერალს, აბუ დაჰერ იბნ ჰასან იბნ ალი იბნ მუსა ტარსუსის, ზოგი ცნობით – ტარტუსის. ამ უკანასკნელის შესახებ არავითარი ცნობები არ შემონახულა. მისი მოღვაწეობის დროც კი მეტად პირობითადაა შემოსაზღვრული. XIV საუკუნის ერთ-ერთი ძველი „აბუ მუსლიმ-ნამეს“ ავტორად სწორედ მას იხსენიებს. მეცნიერთა შორის ეჭვს ბადებს მისთვის ამდენი თხზულების, მათ შორის „ყაჰრამან-ნამეს“, მიწერის საფუძვლიანობაც. ამ ნაწარმოების გვიანდელი ნუსხები ნაკლებადაა საინტერესო.

უთუოდ საყურადღებოა დეტალი, რომელიც დაუცავს „ყარამანიანის“ ქართული თარგმანის ხელნაწერებს (რომლებიც უცნობი სპარსული ნუსხებიდან მოდის): „პირველად წიგნისა ამის სპარსულად აღწერისა თართუს ჰაქიმი სწოდებია.“

აქ ხაზგასმულია, ტარტუსიმ სპარსულად აღწერა ეს წიგნი.

„ყარამანიანი“ უთარგმნია ერეკლე მეფის სიძეს და სარდალს, დავით ორბელიანს (1716-1795). მან კარგად იცოდა სომხური და სპარსული, რამდენჯერმე იყო ირანში, საიდანაც ჩამოიტანა „ყაჰრამან-ნამეს“ სპარსული ხელნაწერი.

ხელნაწერთა უმრავლესობის მიხედვით, დავითია მთარგმნელი. თუ მთარგმნელის ვინაობის საკითხში ერთნაირია ნუსხები, აზრთა სხვადასხვაობაა დედნის სადაურობის შესახებ. ზოგი ნუსხა წყაროდ სპარსულ ტექსტს მიიჩნევს, ზოგი

– თურქულს.

აკად. კ. კეკელიძის ვარაუდით, „უფრო სწორი უნდა იყოს პირველი ცნობა“ (კეკელიძე, 1958: 355). მართლაც, ამის სასარგებლოდ თუნდაც ისიც კმარა, რომ ქართულ თარგმანში ხშირად ვხვდებით ქართული ასოებით ჩაწერილ ლექსებს. ზოგჯერ მათ ახლავს თარგმანი, ზოგჯერ – არა. ამ დებულების უეჭველობას ადასტურებს სპარსულ-ქართული ტექსტების შედარება. ქართული „ყარამანიანი“ ზუსტად მისდევს ლითოგრაფიული გამოცემის სპარსულ ტექსტს: განსხვავება ვარიანტებშია. ხშირად სპარსულის დახმარებით ხერხდება გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება.

მკვლევრები: ალ. გვახარია და ს. ცაიშვილი „ყარამანიანის“ 1965 წლის გამოცემის შესავალში წერენ: „მთარგმნელს კარგად ესმის ტექსტი და სწორად გადმოაქვს იგი. რამდენიმე უზუსტობა კვლავ მის სპარსულ წყაროზე მიანიშნებს.

ა) ქართულში ვხვდება გამოთქმა „არჩიბად ვეზირი“ საკუთარ სახელად აქ გაგებულია სპარსული გამოთქმა „ჰარ ჩე ბადა ბად“ (რაც მოსახდენია, მოხდეს).

ბ) თარგმანში ხშირად იხმარება, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი სახელწოდება „ღამის სამოსი.“ ეს არის სპარსული „ლაბასე შაბრავის“ სიტყვასიტყვითი თარგმანი. „შაბრავი“ ნიშნავს ღამით მავალს, ყაჩაღს, ავაზაკს.

ზოგი სხვაობა სპარსულ ნუსხათა ვარიანტული წაკითხვებით შეიძლება აიხსნას („ყარამანიანი“, 1965: 8-9).

ქართულ „ყარამანიანში“ გამოიყოფა მოკლე და ვრცელი რედაქციები. მოკლე რედაქცია დაუცავთ უძველეს ხელნაწერებს, რომელნიც XVIII ს-ის 70-80-იანი წლებით თარიღდება. ვრცელი რედაქცია აგრეთვე საკმაოდ ადრე შემუშავდა. ს. ყუბანეიშვილის აზრით, ვრცელი რედაქციები XIX ს-ში წარმოიშვა.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულია „ყარამანიანის“ ქართული ხელნაწერი (შედგება 196 გვერდისგან). ის გადაწერილია XIX საუკუნის პირველ ნახევარში. „ხელნაწერი უხვ მასალას იძლევა საშუალო ქართული ენის განვითარების ბოლო საფეხურის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური წყობისა და ლექსიკური თავისებურებების კვლევისას“ (უგრეხელიძე, 2017:44).

ჯერჯერობით ღიად რჩება „ყარამანიანის“ მეორე ნაწილის წყაროს საკითხი.

საჭიროა მისი შედარება ვრცელ სპარსულ ვერსიასა და თურქულ რედაქციებთან. გასარკვევია თარგმანის გამგრძელებლის ვინაობაც. ვრცელი რედაქცია უფრო ადრინდელია.

„ყარამანიანი“ დიდგვაროვანთა დაკვეთით იწერებოდა. მისი ნუსხები შეუწირავთ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის.

„ყარამანიანი“ ენობრივად ყველაზე საინტერესო ნაწარმოებია საშუალი ქართულის ძეგლთა შორის. სადა და საინტერესო ენა, ფორმათა იშვიათი ნაირფეროვნება მეტად საყურადღებოა. პარალელურ ფორმათა არსებობა საერთოდაც ახასიათებს გარდამავალი პერიოდის სამწერლობო ენას, მაგრამ ეს ძეგლი სხვა მხრივაცაა საინტერესო.

ამ ძეგლის ენაზე დიდია ძველი ქართულის გავლენა: გამოიყოფა არქაული ფენა, როგორც ფონემატურ სტრუქტურაში, ისე მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში. განსაკუთრებით საინტერესოა ზმნურ ფორმათა, პირის ნიშნების, ხოლმეობითის მწკრივების, ავ' და ამ' თემისნიშნის ზმნათა უღლების თავისებურებათა შესწავლა. ამასთან ერთად, გამოსაკვლევიან ცოცხალი მეტყველების გავლენაც.

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ძეგლის ლექსიკური ფონდის კვლევას და ფრაზეოლოგიის შესწავლას, რადგან ხატოვანი სიტყვა-თქმები ის სპეციფიკური ერთეულებია, რომლებიც სამყაროს მეტაფორულ ხატს ქმნიან, ისინი ამიტომაცაა უთარგმნელი. კიდევ უფრო საინტერესოა, დავადგინოთ, რომელიმე ერთეული ძველი ქართულისაა თუ ახლის, საიდან მომდინარეობს იგი, ხომ არაა ის ავტორისეული შემოქმედების ნაყოფი. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ქართული ენის ფრაზეოლოგიური სისტემის კვლევასაც წაადგება.

ძეგლი მნიშვნელოვანია სტილისტიკურადაც და მისი კომპლექსური შესწავლა გამოკვეთს ამ ნაწარმოების ადგილს ქართული ხალხის სულიერ მემკვიდრეობაში, ნათარგმნ ლიტერატურაში, სალიტერატურო ენის ისტორიაში. სტილის ანალიზით, მისი შემაპირობებელი მხატვრული ხერხების ყოველმხრივი განხილვით გამოვლინდება მთარგმნელის მხატვრული პოტენციალი.

თემის აქტუალურობა. „ყარამანიანი“ მრავალმხრივ საინტერესო ნათარგმნი ძეგლია. მისი ენობრივი და სტილისტიკური თავისებურებანი მთლიანობაში

შეუსწავლელია. კონკრეტული მწერლის თუ ნაწარმოების ენობრივი თავისებურებების და სტილის კვლევა ყველა ეპოქაში აქტუალურია. „ყარამანიანის“ შესწავლის აქტუალურობას განაპირობებს ის ეპოქა, გარდამავალი პერიოდი, რომელსაც განეკუთვნება თარგმანი, რადგან მასში ზედმიწევნით კარგად არის ასახული ქართულ სალიტერატურო ენაში მიმდინარე პროცესები: ფორმათა სიჭრელე და ნაირფეროვნება, ცოცხალი მეტყველების ნაკადის შეჭრა, ძველისა და ახლის ჭიდილი, აღრევები კონკრეტული გრამატიკული კატეგორიის წარმოებაში. საინტერესოა ლექსიკური თავისებურებანი, ჟანრობრივი სპეციფიკა და მხატვრული მხარე, სტილის შემაპირობებელი მხატვრული ხერხებისა და რიტორიკული ფიგურების გამოვლენა. ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით და სხვა არაერთი ასპექტით „ყარამანიანის“ ენობრივი და სტილისტიკური ანალიზი გამოკვეთს შემოქმედებით ინდივიდუალურობასაც, რითაც განსახვავდება ნაწარმოები იმავე ეპოქისა და ჟანრის სხვა თარგმნილ ნაწარმოებთაგან.

თემის მიზნებია: „ყარამანიანის“ მიხედვით XVIII სუკუნის ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკული ნორმების შესწავლა; ამ პერიოდში ახალ ნორმებთან ერთად ძველი ფორმების ხვედრითი წილის დადგენა; ძველი და ახალი სალიტერატურო ენის პარალელური ფორმების გამოვლენა; პარალელურ ფორმებში დიალექტური ერთულების ანალიზი; ცოცხალი მეტყველების გავლენის როლის გარკვევა „ყარამანიანის“ ენაზე; ფრაზეოლოგიზმების კვლევა უცილობლად გამოავლენს თარგმანის ბუნებას, რომლის შესწავლაც ჩვენი უშუალო მიზანი არ არის, თუმცა მას გვერდს ვერ ავუვლით. ენობრივ თავისებურებებთან ერთად უნდა გამოიკვეთოს, რა მხატვრული ხერხები ქმნის ამ ძეგლის სტილს. საკითხის შესწავლით დადგინდება რომელი ავტორების გავლენას განიცდიდა მთარგმნელი.

ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი. ნაშრომში გამოყენებულია შედარება-შეპირისპირებითი, სემანტიკურ-პრაგმატიკული ანალიზის, ლინგვისტური დაკვირვების და აღწერის მეთოდები.

წინამდებარე ნაშრომის **თეორიული ღირებულება** განისაზღვრება იმით, რომ იგი შეიცავს ზოგადად ლინგვისტიკის, ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის,

ლიტერატურათმცოდნეობისთვის და ლიტერატურის თეორიისთვის საინტერესო მასალებს.

კვლევის **პრაქტიკული ღირებულება** ისაა, რომ ნაკვლევი მასალა შეიძლება გამოვიყენოთ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის, ტექსტის ლინგვისტიკის, პრაქტიკული სტილისტიკის (მწერლის ენა და სტილი).

მეცნიერული სიახლე: წინამდებარე ნაშრომში პირველადაა შესწავლილი „ყარამანიანის“ პოეტური ენისა და სტილის საკითხები. ამ ნაწარმოების იდეურ-მხატვრული და ენობრივი თავისებურებები შეუსწავლელია, მის შესახებ არსებობს მხოლოდ თითო-ორი სტატია, თუმცა ძველი მთლიანობაში არაა შესწავლილი, ის კომპლექსური კვლევის საგნად დღემდე არ ქცეულა.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავისა და დასკვნებისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია და შემოკლებათა განმარტებანი.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის არჩევის მართებულობა, ასევე ხაზგასმულია კვლევის აქტუალობა, სიახლე, მიზნები და ამოცანები.

I თავი - „ყარამანიანის“ ენობრივი თავისებურებანი შედგება სამი პარაგრაფისგან. აქ განხილულია „ყარამანიანის“ ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური თავისებურებანი, ასევე სასვენი ნიშნების ხმარების თავისებურებანიც. აგრეთვე განვიხილავთ „ყარამანიანის“ ლექსიკურ თავისებურებებს, ფრაზეოლოგიზმებს, პარალელებს „ვეფხისტყაოსანთან“, სინონიმის სტილისტიკური ფუნქციებს, „ყარამანიანის“ ანდაზა-აფორიზმებს, დისფემიზმის სტილისტიკური ფუნქციებს. აქვე განხილულია სიტყვაწარმოება „ყარამანიანში“, კერძოდ, წარმოქმნილი სახელების და კომპოზიტების თავისებურებანი.

ნაშრომის **II თავი** - „ტროპის სახეები „ყარამანიანში“ ეთმობა შედარების, ეპითეტის, მეტაფორის, ჰიპერბოლის, ლიტოტესის, გაპიროვნების სტილისტიკური ფუნქციების განსაზღვრას; ამასთანავე, შევისწავლით ტექსტის სხვა სტილისტიკურ თავისებურებებსაც. დასკვნებში განზოგადებულია კვლევის შედეგები.

თავი I. „ყარამანიანის“ ენობრივი თავისებურებანი

§1. „ყარამანიანის“ ფონეტიკური თავისებურებანი

1.1 ასიმილაცია „ყარამანიანში“ დასტურდება თანხმოვანთა სრული და ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევები. სპირანტი მომდევნო მჟღერი ხშულის გავლენით მჟღერდება, ან კიდევ სისინა სპირანტი შიშინად იქცევა:

ს|ზ: „ერთი მთვარის მზგავსი და უსწორო ფალავანი იყო“ (გვ.346); „ასე რომ მეორედ მოსვლას ემგზავსებოდა მათი ხმიანობა“ (გვ.357); „ის ვემპის მზგავსი ფალავანი ვინ უნდა იყოსო?“ (გვ.644); „უნდა ალზდგე და იპოვნო“ (გვ.294); „ზე, ალზდგე რამდენიმე ქალთ ხელთა ტაბაკები მიეც“ (გვ.294); თვალთაგან წყაროსაებრ ცრემლი გარდმოზდიოდა“ (გვ.653); „მსწრაფლად ზე ალზდგა და თავი დაუკრა“ (გვ.353).

ფუძისეულ სისინა თანხმოვანს იმსგავსებს თანდებულისეული შიშინა ბგერა: ს|შ: „ბრძანა ასიმის თვისს მეჯლიშში შეყვანა“ (გვ.292); „რაჰინდის მეჯლიშში შენი ძმაც იქ იყო“ (გვ.308); „ლახტი მოუთხოვნია და მეჯლიშში უკვებნია“ (გვ.308); „რა მართლა გაშინჯა, იცნა, რომ ხოსროვშირ იყო“ (გვ.366); „რა ის კიბე გაშინჯეს, ყარამანმან ოთხსავე კუთხეს მიიხედა“ (გვ.353); „რა დაღამდა, ყარამანმა ფაშკუნჯს უბრძანა“ (გვ.640).

ასიმილაციის სხვა ნიმუშებია: „ახლა აღსდგებიან შენზედ მტერნი და გაგატყავებენ და გაგცრცვიან“ (გვ.655).

საინტერესოა გასქდა, შესქდა ფორმები: „ინდმან თავსა ფარი იფარა, ფარი ორად გასქდა“ (გვ.75); „მისსა მნახველსა დევსაცა შიშით გული გაუსქდებოდა“ (გვ.159); „ცხვირიდამ და პირიდამ სისხლი შესქდა“ (გვ.489). აღნიშნულ ფორმებში ასიმილაცია და ბგერის დაკარგვაა (განხთქდა>განსთქდა>განსქდა>განსკდა).

1.2 დისიმილაცია

„ყარამანიანში“ ხშირია შემთხვევა, როცა სიტყვის ბოლოკიდურა თანხმოვანი გამჟღერებულია: ესრედ, დიალ: „ლაწვთა მათთა ელვარებამ იგი კარავი ესრედ ნათლითა ფანტოდათ“ (გვ. 113); „რა ყარამან ესრედ განწყობილობა ლაშქართა ნახა, დიდად მოეწონა“ (გვ. 27); „ესე მომიგო: აიარო, დიალ დიდი საქმე მოგინდომებიათო“ (გვ. 47).

მეგლში დისიმილაციის სხვა უამრავი ნიმუში გვხვდება: ფ/ზ „ამისგან გაბრთხილება გვმართებს, რომე ნადირსა ზედან მოვლენ“(გვ.62); „ყოვლი ერთმანეთს საყვარლად ემუსაიბებოდნენ“(გვ.594); „მერე დასხდნენ და ერთმანეთს საყვარლად ემუსაიბნენ“(გვ.594).

ხ/ყ: „უთუოდ სარვიხურამანისა ემყსა შეუპყრიაო“(გვ.112).

პ/ზ: „ხელი ხელს შეიტყუბეს და ნავარდი შექნეს“(გვ.479); „ამა ამბისა მსმენელმან რაჰინდ ხელნი შეიტყუბნა და სიცილი დაიწყო“(გვ.26).

ჩ/ც: „ყარამან მეტითა სიმხნითა და მამაცობითა არა შეიმცნია“(გვ.32).

1.3. მეტათეზისი

ტექსტში ხშირია ლ/მ თანხმოვანთა მეტათეზისი: „ხელმწიფემან შვიდი იყლიმი ხლმითა დაიპყრო“(გვ.25); „ვიდრე დაღამება შეიქმნებოდა, სულ ხლმის ცემაში იყვნენ“(გვ.278); „ფალავანნო, შენი ხლმის გამარჯვებასაო“(გვ.620).

მონაცვლეობს ვ/ღ: „თუ კიდევ გამავლიძე, ღმერთს ვფიცავ, უსიკვდილოდ არ გაგიშვებო“(გვ.198).

ქრმადაც – ამ ფორმაში მ'-ს ადგილს იჭერს რ: „ვინცა მას ძალით მოერიოს, ქრმადაც იგი შეირთავსო“(გვ.89).

ს/ხ: „ფალავანნი რომ იყვნენ შეპყრობილნი, იმათ ხელები დაუსხნა“(გვ.385). ამგვარი ფორმები მრავლადაა XIX საუკუნის ხელნაწერშიც: „მე წარვალ და ჩემის ხლმით გარდაუწყვეტ“(გვ.14); „პყრობილთ გარდანქეჰანმა დაუსხნა ხელები“(გვ.157).

ზ/გ: დაემგზავსა ფორმაში მეტათეზისთან ერთად ხდება ასიმილაციაც: „ხანჯლები იცნაო და მკვდარს დაემგზავსა“(გვ.284). ასეა დაწერილი ეს ფორმა XIX საუკუნის ხელნაწერშიც: „ბროლის მგზავსის თითებითა სუნნელსა კავზილფთა იგლეჯდიან“(გვ.83).

1.4 სუბსტიტუცია, იგივე ბგერათმონაცვლეობა, რამდენადმე დამახასიათებელია „ყარამანიანის“ ენისთვის: რავდენსამე, რაოდენი>რავდენი: „ბრძანა რავდენსამე ხანს ამა დევებთან დარჩა“(გვ.25); „რა ესე თქვა, მალლად ზახილი შექმნა“(გვ.152); „რაოდენი ბარამის მსგავსი ფალავანი მიწათა თანა გაუსწორებიაო“(გვ.94); „ხედავთ, ამა ქალისაგან რავდენი ფალავანი გათავდაო?“(იქვე).

ამ ფორმაში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ახსნილი, ჯერ გვაქვს როგორც ო'-ს რედუქცია და შემდეგ ვ/მ მონაცვლეობა: რავდენი/ რამდენი'.

1.5. ბგერის გაჩენა

ძეგლში გვხვდება თანხმოვნის გაჩენის რამდენიმე შემთხვევა, ჩნდება ვ, მ, ნ, რ თანხმოვნები: მჯილვი, სამზღვარი ჭანდრისოდენნი, ხრმალი: „დიდად ამოიოხრა და მკერდსა მჯილვი დაიცვა“(გვ. 102); „მას ერთი მჯილვი თავსა შემოჰკრა, რომ თავი ტვინისაგან გაყარა“(გვ.104); „მჯილვი დაიცა და ასე თქვა“ (გვ.102); „ჩვენის ქვეყნის სამზღვარს მივალწიოთო“(გვ.340); „წამოველ და ჩინეთის სამზღვარს მოვედი“(გვ.367); „უშანგ ხელმწიფემან ხრმალსა ხელი დაიდვა“(გვ.32); „დიდრონის ჭანდრისოდენნი მიწაზედ დასცვივდა“(გვ.632).

1.6. ბგერის დაკარგვა ცოცხალი მეტყველების გავლენაა. იკარგება სონორი რ, ვ, მ თანხმოვნები აუსლაუტსა და ინლაუტში:

მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს: „მე, მონა თქვენი, რასაცა სახელსა ვიქ“(გვ.104); „ძებნეს ყარამან და ვერა სადა პოეს“(გვ.82); „სიხარულისა მნახავნი არავინ პოეს“(გვ.118); „შიში მისსა გულსა ყოლე არა იპოებოდა“(გვ.129); „მამინ შეტევება ბძანა“(გვ.266); „თითონ მოირთო, ეგრეთვე შიფრანჯა....მორთო შავად“(გვ.413).

1.7. არქაული ფორმები

„ყარამანიანის“ ენაზე განუზომლად დიდია ძველი ქართულის გავლენა. ნაშრომში ცალ-ცალკე განვიხილავთ როგორც ფონემატურ სტრუქტურას, ისე მორფოლოგიას, ლექსიკას და ა. შ. ამჯერად შევჩერდებით არქაულ ფონეტიკურ ფორმებზე.

რიცხვითი სახელი ძეგლში წარმოდგენილია არქაული სახით: ათხუთმეტი, სამოცდაათხუთმეტი: „უშანგ ხელმწიფესა ფალავანნი მას დღესა სარვიხურამან სამოცდაათხუთმეტი ფალავანი შეიპყრა“ (გვ.95); „და აჰა, დღეს მეათხუთმეტე დღე არის, აქა ვარო“(გვ.136).

არქაიზმებად ჩაითვლება ტრედი და პილო. სიტყვა ტრედში მ თანხმოვანი ჯერ კიდევ არაა გაჩენილი: „ვითა შავარდენსა ტრედისა გუნდი ხოცით მოსდევს“(გვ.28); „ოთხმოცი ათასი ფალავანი წინ წამოუყრია, ვითა შავარდენსა ტრედისა გუნდი“ (გვ.28); „ქოსისა და ნადარისა ცემისა ხმა იყო, პილოსა და მარტორქისა“ (გვ.62). ეს

სიტყვა სხვაგან გვხვდება სანითაც: **სპილო**. შეიძლება ამ ფორმაში ს თანხმოვანი გამორჩენილიც იყოს.

ქართულს თავიდანვე ახასიათებდა მრჩობლი თანხმოვნის შენარჩუნება, მაგრამ მომდევნო პერიოდში ისინი დაიკარგა, „ყარამანიანში“ შენარჩუნებულია ძველი ფორმა **ჩჩვილი**.: „მოსვრიდნენ დიაცთა და **ჩჩვილთა** ყრმათა“ (გვ. 148); „**ჩჩვილნი** და დიაცნი მოსვრილნი და ფერიანი საწყლად მტირალნი“ (გვ.149).

სუნნელში ჯერ არ მომხდარა დისიმილაცია: „ისრეთი **სუნნელების** სუნი უდიოდა, რომ არც მუშკისა და არც ამბრის სუნი იმასთან არა მოდიოდეს“ (გვ.470).

1.8. პარალელური ფონეტიკური ფორმები

ძეგლში ბევრი პარალელური ფორმა გვხვდება: **მფრინველნი/ ფრინველნი, ყველაკა/ყველაყა, ტყვილი/ტყუილი, წყრთა/მწყრთა და ა.შ.**

თადარიგი/ თადარიკი: „ბრძანება გასცა და წასასვლელი **თადარიგი** ბრძანა რავდენსამე ხანს ამა დევებთან დარჩა“ (გვ.25); „მოახსენა, **თადარიკი** ნახეთო, მოემზადენითო“ (გვ.242); „მაშინვე ბრძანა, წასვლისა **თადარიკი** იწყევითო“ (გვ.157); „მათ ქორწილის **თადარიკი** იწყეს და მერმე წესისაებრ თვისსა ქორწილი უყვეს“ (გვ.395).

პარალელურ ფორმებს ქმნის უ-სა და ვ-ს მონაცვლეობა: **ტყვილი//ტყუილი**. „ესე მოხსენება სულ **ტყვილი** იყო“ (გვ.78); „რასაც ასიმი ლაპარაკობს, სულ **ტყუილს** ამბობდა“ (გვ.273).

საინტერესოა ასევე აბსტრაქტულ სახელთა პარალელური ფორმები **სიახლოე/სიახლოვე**: „მაშინ ყარამანცა ხელმწიფისა **სიახლოესა** მიიწია“ (გვ.71); „მის განშორებულისა **სიახლოესა** მოსვლა არ ძალგიცსთ“ (გვ.23); „ცდილობდა ყარამან რაჰინდისა **სიახლოვესა** მისვლასა“ (გვ.79).

ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება -კა და -ყა: **ყველაკა//ყველაყა**: „დასცეს კარავი ურიცხვი და ლაშქარი **ყველაყა** დაბინავდა“ (გვ.56); „და რაცა სასწავლებელი იყო, **ყველაყა** დამარიგა“ (გვ.48); „თვითო წვეთი მათ მფრინველთა **ყველაკასა** ეცა“ (გვ.52).

გვხვდება **სულთქმაც და სულთქნაც** (**სულთქუმა** – ოხვრა (სარჯველაძე, 2001:203)): „ესეთი საზარელი **სულთქმა** ღვიძლითგან აღმოახდინა“(გვ.67); „**სულთქნა** ღვიძლითგან აღმოახდინა“(გვ.23).

ბგერათა შერწყმა ამ ძეგლში არც თუ ისე ხშირია. „ზღვის განვლა ხაზინათა დახარჯვითა, **ხომალდითა** შეიძლება“ (გვ.45).

პარალელური ფორმებია **ხვამალდი და ხომალდი**: „40 დღის ნუზლი **ხვამალდსა** შეიტანეს“(გვ.59);

ფერხი//ფეხი: „მათის **ფეხისა** ხმა ერთსა ალაჯსა ისმოდა“(გვ.26); „**ფერხთა** მომეხვივნეს“(გვ.50); „მცველნი მოვიდნენ და ყარამანს **ფერხსა** მოეხვივნენ“(გვ.180); „გარდანქეშანს **ფერხთა** მოეხვივნენ და ქება შეასხეს“(გვ.191).

პარალელური ფორმებია: **წყრთა//მწყრთა**, ამ უკანასკნელ ფორმაში დღეს მ'პრეფიქსი არ გვხვდება. პირველი ფორმა სალიტერატურო ენის კუთვნილებაა, მეორე - ცოცხალი მეტყველებისა: „სამოცდახუთი **წყრთა** სიმაღლე ჰქონდა“(გვ.61); „ზედან დგა ოცდაათის **წყრთის** სიმაღლის მქონებელი ხელმწიფე, რომლისა მშვენებასა მხიველნი განეკვირვებინა“(გვ.41); „ორმოცი **მწყრთა** სიმაღლე ჰქონდა“(გვ.61); „თვითო დევნი სამოცის **მწყრთის** სიმაღლის მქონებელნი არიან“(გვ.365); „ორმოცდაცხრა **მწყრთის** სიმაღლის მქონებელი ასეთი ფალავანი დგას, რომ არასდროს იმისთანა ფალავანი თვალთაგან არ ნახულა“(გვ.385).

აქვე უნდა დავასახელოთ **მფრინველი//ფრინველი**.

მფრინველი- ფრთებიანი ცხოველი, ჰაერსა შინა მავალი, მქონე ორის ფრთისა და ორის ფეხისა (ჩუბინაშვილი, 1961). როგორც ვხედავთ, მფრინველი/ფრინველი არსებითი სახელია. „ძველ ქართული ენის ძეგლებში მფრინველს ხშირად **მფრინვალე** ფორმა ახლავს მსაზღვრელად“ (ცეცხლაძე, 2006: 68). საკვლევ ტექსტში **მფრინვალე** არ დასტურდება, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ეს ფორმა უკვე გაარსებითებულია: „**მფრინველნი** ერთსა მშვენიერსა მინდორსა გარდახდა“(გვ.163); „მასვე წამსა ორნიც **მფრინველად** ვიქეცით“(გვ.47); „**მფრინველისა** ხმითა დამიწივლა“(გვ.52); „რომელნი **მფრინველად** გარდაქცეულნი იყვნენ, რიცხვით ათსამეტ ათასობდნენ“(გვ.52).

ერთგან გვხვდება **ფრინველ**. აქ თუ ასო არაა გამორჩენილი, ახალ ფორმასთან გვაქვს საქმე: „**ფრინველმან** მას ალავს მოცდა აღუთქვა“(გვ.163).

საკვლევ ტექსტში **ამბავი** დასტურდება ორი ფორმით: **ანბავი (ნ/მ) და ამბავი**: „**ანბავი** ჩვენი და გარდასავალი გრძელი არის“(გვ.138); „დაიწყო გარდანქემმან **ამბის** თქმა“(გვ.41).

ანბავი და ამბავი, როგორც ვნახეთ, ტექსტში პარალელურად გამოიყენება. ასეთივე ვითარებაა XIX საუკუნის ხელნაწერშიც: „ყარამან დევებმა ჰაერში აღიტაცეს და წაიყვანეს, ესე **ანბავი** არსადა გაიგო“(გვ.3); „აქა გვარჯასპის გახემწიფების **ანბავი** უუბათ“(გვ.4); „ამა **ანბისა** მსმენელმა უშანგ შამ თქვა“(იქვე, გვ.7); „ეგ ჰთარ იქნებოლ **მიანზე** მაგისი **ანბავი**(გვ.29); „დიდს მწუხარებას მიეცნენ ამა **ამბის** მსმენელმან“(იქვე).

რიცხვითი სახელი **ცამეტი** ორგვარი ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება, ძველით და ახლით: „მაშინვე **ცამეტი** ათასი ჯადოსი და დევის ლაშქარი შეჰყარეს“ (გვ.453); „...რიცხვით **ათსამეტ** ათასობდნენ“(გვ.52).

გვაქვს ასევე **ათშვიდმეტი, ჩვიდმეტიც და ათჩვიდმეტი**: „მას ჟამსა ყარამან **ათშვიდმეტისა** წლისა იყო“(გვ.83); „ერთი ახალ-მოწიფული ფალავანი მოვიდოდა **ოცდაათშვიდმეტის** წყრთის სიმაღლის მქონებელი“(გვ.79); „მას ჟამსა ყარამან **ათშვიდმეტისა** წლისა იყო“(გვ.82); „**ჩვიდმეტი** ათასი მეომარი შეიყარა და ინდოეთისკენ გამგზავრდა“(გვ.26); „**ჩვიდმეტის** ასის ათასის მეომრით წამოვიდა (იქვე).

ერთგან გვხვდება **ათჩვიდმეტი**: „ხელმწიფე უშანგ დაბრძანდა და წინაშე მისსა **ათჩვიდმეტი**, ასი ათასნი მამაცნი შეიყარნენ“(გვ.56).

ფორმა **ათჩვიდმეტში** შერწყმულია **თშ** კომპლექსი **ჩ-დ**. როგორც ვნახეთ, ძველში ერთდროულადაა ამ სიტყვის ძველი ფორმაც, ახალიც და კონტამინირებულიც: აქ ნათლად ჩანს ცოცხალი მეტყველების გავლენა.

ამგვარად, „ყარამანიანის“ ფონეტიკურ თავისებურებათაგან აღსანიშნავია **არქაულ ფორმათა** გამოყენება. ესენია: **მფრინველი, ტრედი, პილო, მეთახუთმეტე**, „ყარამანიანში“ დასტურდება ფორმა **ჩჩვილთა**, რომელშიც მრჩობლი თანხმოვანია შენარჩუნებული.

„ყარამანიანში“ გამოკვეთილია ცოცხალი მეტყველების გავლენა, რითაც აიხსნება სხვადასხვა ფონეტიკური პროცესი: **მეტათეზისი** (ხლმითა, გამავლიძე, ქრმადა, დაემგზავსა); **სუბსტიტუცია** (რავდენსამე, ზახილი); **ასიმილაცია** (მზგავსი, აღზდგე,

ემგზავსებოდა, მეჯლიში, გამინჯა, ემუსაიბნენ); **დისიმილაცია** (გაბრთხილება, ანბავი, გასქდა, შეიტყუბა); **თანხმოვნის გაჩენა** (მჯილვი, სამზღვარი); **ზგერის დაკარგვა** (ვიქ, პოეს, იპოებოდა, ბძანა, თითონ).

პარალელურ წარმოებაში მონაცვლეობს **ახალი და არქაული** (ათსამეტი/ცამეტი, მფრინველნი/ფრინველნი; ფერხი/ფეხი), **სალიტერატურო და ცოცხალი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ფორმები** (სულთქმა/სულთქნა, წყრთა/ მწყრთა, ტყვილი//ტყუილი, ხვამალდი და ხომალდი). სიტყვა ჩვიდმეტი სამნაი ვარიანტით გვხვდება: **ათშვიდმეტი, ჩვიდმეტიც და ათჩვიდმეტი** (ეს უკანასკნელი კონტამინირებული დაწერილობის ნიმუშია).

ამრიგად, ზოგი ფორმა ძველი ქართულის კუთვნილებაა, ზოგი ცოცხალი მეტყველების, ზოგიც - სიახლეა. ხაზგასასმელია, რომ ძველისა და ახლის, მწიგნობრულისა და ცოცხალი მეტყველების ფორმათა მონაცვლეობა საშუალი ქართულის მთავრი მახასიათებელია, ასეა სხვა ძეგლებში, ასეა „ყარამანიანშიც.“

§2. „ყარამანიანის“ მორფოლოგიური თავისებურებანი

2.1 არსებითი სახელი

ა) საზოგადო არსებითი სახელების ბრუნება

საკვლევ ტექსტში მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ზოგან არქაული, სრული სახითაა გადმოცემული, ზოგან კი გამარტივებულია: „**ხელმწიფემან მე მანიშნა**“ (გვ.54); „**ბოლოს კიდევ სიკვდილმან კალთა დამიჭირა**“ (გვ.671); „**მისმა ნაღველმან გამათავა**“ (გვ.471).

„**დევების ხმამ ქვეყანა მოიცვა**“ (გვ.205); „**რა დევმა მისი მხიარულება ნახა, განრისხებულმა დაუძახა**“ (გვ.651); „**მადარომ სრულებით რყევა შექნა**“ (გვ.617); „**ამა ფასკუნჯმა ერთი იყივლა**“ (გვ.621).

„ყარამანიანში“ ძირითადად გვხვდება თანხმოვანფუძიან კუმშვად სახელთა ძველი, არქაული, შეკუმშული ფორმები: „**ვეშპის საომრად ისარი მოიცა**“ (გვ.159); „**ამა სამაგელის ვეშპის პირისაგან დამიხსენ**“ (გვ.533); „**თუ ვეშპის უშიშარი არის, დევსაც შეებმის**“ (გვ.207); „**ხელთ ერთი ვეშპის მსგავსი ლახტი ეჭირათ**“ (გვ.255); „**შემდეგ ვეშპად ვიქეც**“ (გვ.678); „**გამოდენილი ვერცხლი სრულად ვეშპად შეიქნა**“ (გვ.129).

ტექსტში ეს სიტყვა გვხვდება შეუკუმშავი ფორმითაც: „იმ მხეცის ხმაზედ ოჰყალი ჯადოს ცნობა დაეფანტა და თვისის ვეშაპით ძირს ჩამოვარდა“ (გვ.384).

კუმშვად-კვეცადი სახელი ხშირად შეუკუმშავია: „გავიდა და ფანჯარის პირდაპირ აცურდა“ (გვ.494); „მის ფანჯარისაკენ თვალი ეჭირათ“ (გვ.494); „მეფეთა ტომნი ყოვლისა ქვეყანითა მოვლენ“ (გვ.89); „ბეგარად ყოველს წელიწადში შვიდასი ქალი და ვაჟი მოგართვან“ (გვ.206).

ხშირად „ყარამანიანში“ ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებად გვაქვს **თ და დ-ც**: „ესრეთ მრისხანეთ ხმალი სცა, სპილოს ფეხები დააყრევინა“ (გვ.409); „ეს წყეული ჩვენ სატანჯველათ რომ შემოვიდოდა ხოლმე“ (გვ.352); „ყაზამფარ ხათაიმ ბასრსა ხმალსა ხელი მიჰყო და სწრაფათ შეუტია“ (გვ.446); „გარდანქემანი სწორეთ ქალურის სიარულით წინ გაუძღვა დედოფალსა“ (გვ.509).

ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ჩანს ცოცხალი მეტყველების გავლენა აღნიშნული ძეგლის ენაზე, თუმცა აქვე გვხვდება სალიტერატურო ფორმებიც: „ესენი ორნი, რომელ ქვად გიქნია“ (გვ.53); „აზრალმა განრისხებითა პასუხად უგო“ (გვ.54); „თქვენი არამი იმ ციხეში პყრობილად ვნახეო“ (გვ.484); „აქვე დარჩებით ისევ პყრობილად“ (გვ.478); „რა მიზეზთა ხარ აქა პყრობილად“ (გვ.478); „რა ყარამან ესე მოისმინა, დიდად განკვირდა და ქება შეასხა“ (გვ.37); „დიდად დაილალა, მარტორქა ჯარისა ნაპირთა გაიყვანა“ (გვ.33); „დიდად შეებრალა და იგი წერილი ამოილო“ (გვ.479); „დიდად მოეწონა და მე შემომხედევდა“ (გვ.45); „რა უშანგის დიდება ნახეს, დიდად მოეწონათ“ (გვ.327).

ბ) საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურებანი

როგორც ცნობილია, საკუთარი სახელის ბრუნება ძველ ქართულში რამდენადმე განსხვავდებოდა საზოგადო სახელთა ბრუნებისგან: წრფელობით, სახელობით, მოთხრობით და წოდებით ბრუნებებში ფუძის სახით იყო წარმოდგენილი.

წრფელობითი ერთ-ერთი უძველესი ბრუნვაა. ის ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილში, ქვემდებარედ, პირდაპირ დამატებად გარდამავალ ზმნებთან, დროის და ვითარების გარემოებებად; გვხვდებოდა რთულ ზმნებში.

ვ. თოფურას აზრით, „წრფელობითი ძველ ქართულში სინტაქსური ფუნქციით უდრის სახელობითს და დროთა ვითარებაში კიდევ შეცვალა უკანასკნელმა. უკვე ძველ ქართულში გვხვდება წრფელობითის მონაცვლედ სახელობითი ბრუნვა და ისიც არა მარტო სხვადასხვა ტექსტის ერთნაირ კონსტრუქციებში, არამედ პარალელურად, ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა რედაქციაში“(თოფურია, 1965: 506).

კ. დანელიას აზრით, ეს ბრუნვა უნდა შევისწავლოთ ენის ისტორიის და სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით. „წრფელობითის ფუნქციათა ინტენსივობა-სტაბილურობა შეიძლება სამგვარი იყოს: 1. თითქმის დაკარგული ფუნქციები: დროის, ვითარების გარემოებისა და მიმართვისა; 2. ჯერ კიდევ შენარჩუნებული ფუნქციები: შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი; ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების გადმოცემა **რქუმა-წოდება, ყოფა-ქმნა** ზმნებთან. 3. ფუნქციები, რომლებიც მხოლოდ წრფელობითს აქვს: რთული ზმნის სახელადი ნაწილის გადმოცემა გულისხმა-ყო, შეურაცხ-ყო, უღებ-ყო“ (დანელია, 1998: 529-530).

ივ. იმნაიშვილის მიხედვით, „ძველი ქართული ამ ორი ბრუნვის ურთიერთობის იმ მდგომარეობას ასახავს, როცა სახელობითი კარგა ხნის ჩამოყალიბებულია, წრფელობითი კი გადის ხმარებიდან, ზოგი ძველი ფუნქცია მას თანდათან უსხლტება ხელიდან, ზოგიც კვლავ შენარჩუნებული აქვს, ზოგიც მხოლოდ მის განუყოფელ განკარგულებაშია“(იმნაიშვილი, 1956: 637).

„ყარამანიანში“ ჯერ კიდევ ცოცხალია წრფელობითი ბრუნვა. ის გვხვდება საკუთარ სახელებთან, **ერქუა**’ და **ეწოდა**’ ზმნებთან: „პირველ ჟამად სპარსეთ შიგან იყო ხელმწიფე დიდი, რომელსაც ეწოდა **თახმურად**“(გვ.23); „მასვე ქვეყანასა განშორებული ვინმე იყო, რომელსაც **მალაილ** ეწოდა (იქვე); თახმურად ხელმწიფესა ერთი ძე ესვა, რომელსაც სახელად **ყარამან** ეწოდა“(გვ.24); „მას ქალსა სახელად **ყარამლუხ** ეწოდა“(გვ.41); „ერთი საკვირველი მეთილისმე არის, სახელად **აზრალ** ჰქვია“(გვ.44).

„ყარამანიანში“ ანთროპონიმს არ აქვს დართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი: „ყაჰრამან დევებმან ჰაერში აიტაცეს და ეგრე წაიყვანეს“(გვ.24); „ვინათგან **ყათრან**

უფროსი იყო, მას ვერ შეხედეს“(იქვე); „რაოდენსაც დევები ეცდებოდნენ, ყარამან მათის ქცეულებისა ყოფილიყო, არა გაეწყობოდა რა“(გვ.25); „ამჟამად ყათრან შვილის წლის იყო“(გვ.24); „ყარამან განრისხებული, რომელსაც დევს ხელს მოჰკრევდა“(იქვე); „რა ყათრან ცეცხლისგან უვნებლად გამოვიდა, ყოველნი მისნი მხილველნი ღმერთსა ადიდებდენ“(გვ.32); „რა ყარამან მის ზღვისა ოდენთა ლაშქართა შვერია, მაშინ რისხვაც ღვთისა მათ ზედან დასცა“(გვ.33); „ყარამან რამდენსამე ალაგსა ისრითა დაკოდელი იყო“(გვ.24); „ყარამან მობრუნდა და სხვათა ფალავანთაცა მიესალმა“(გვ.27); „დევებმა ყარამან მძინარე ჰაერში აღიყვანეს“(გვ.25); „ღმერთს მადლობა მისცეს, ყარამან დალოცეს და ქება შეასხეს“ გვ.234).

ამ ძეგლში საკუთარი სახელი გაუფორმებელია შემდეგ ფორმებშიც: „იგი მუნ დააგდო და იამან ფალავანსა მიუხდა“(გვ.32); „რა მცირე ხანში გამოხდა, ყათრან ფალავანი წამოდგა“(გვ.29); „მისმა მხილველმან უმანგ ხელმწიფემან ხმალსა ხელი დაადგა“(გვ.32); „გრძნეულება თქვენი იხმაროთ და თანხმურად ხელმწიფეზედ მიხვიდეთ“(გვ.23).

ანთროპონიმი გაუფორმებელია მაშინაც, როცა წყობა შებრუნებულია: „ხელმწიფემან უმანგ დიადის წყალობის სიტყვა უბრძანა“(გვ.37).

მოთხრობით ბრუნვაშიც გაუფორმებელი ფუძეები ჭარბობს, რაც ამ ძეგლისთვის არქაიზმია. მაგ: „რა ყარამან ესე დაიდასტურა, დევებს უმეტესი სასჯელი მოუმატა“(გვ.25); „ნახა ყარამან ამ დევსა თქმულება, რომ ბილწი იყო“(იქვე); „ყათრან უპასუხა: ჰე, ფალავანო, ვინ ხარ(გვ.31); „ყათრან თვისი საომარი იარაღი მოთხოვა“(იქვე); „რა ყარამან დაინახა, სალამი მისცა“ (გვ.30); „ყარამან პასუხად მიუგო“(გვ.35); „რა ესე სიტყვა ყათრან გაიგონა, ჰკითხა: ჰე, სახელოვანი ჭაბუკო, მე შენ ეგე უწყია, რომლისა გვარისა ხარ? (გვ.35); „ყარამან ხმლითა ჩინეთსა ადგილი მრავალი დაიჭირა“(გვ.42); „ყათრან უპასუხა: საყვარელო ძმაო ჩემო ყარამან“(გვ.37); „ყარამან ხელი მიყო ყათრანს“(გვ.32); „რა ყათრამან შეხედა ყარამანს, პირსა ხელმწიფობისა სახე შეატყო და გულსა შინა თქვა: ესე ცუდსა ვისმე არა ჰგავსო“(გვ.31).

არქაული ფორმები საგრძნობლად ჭარბობს ახალს, თუმცა აქა-იქ მაინც შევხვდებით მოთხრობით ბრუნვაში გაფორმებულ საკუთარ სახელს: „უმანგმან ესრე

თქვა“ (გვ.26); „ყარამანმან ესე ყოველივე წყალობით მოითვალა“(გვ.40); „ყამალუხმან ნება მისი არა ქმნა“(გვ.42); „რა ერთი დღე გამოხდა, ათარმან მითხრა... ათარმან მას წყალსა ჩახედა“(გვ.51).

საკუთარ სახელთან მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი გამარტივებულიცაა: „შიფრანჯამ მაშინვე სუფრა მოაღებინა“(გვ.483); „ესე ამბავი გარდანქეშანმა ყარამანს მოახსენა“(გვ.55); „ყარამანმა ჩვეულებისამებრ ილოცა“(გვ.637).

საკუთარი სახელი წოდებით ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშანსაც: „სააბყარანო, ჩვენ ამისთანა საქმე არ გვსმენია“ (გვ. 677); „სააბყარანო, ეგ ბეჭედი ჩემი გახლავსთ“(გვ.679).

ეს ფაქტი ცნობილია X-XII საუკუნეების ძეგლებიდან: „ბასილო, შენ მცხეთას მამასახლისად დასდგები“ (ხანძთ.); „უცხო ტომნი შენ ზედა სამფსონო!“, „ჰე ასმათო, მოგვივიდა მოწყალეა ღმრთისა ზენით“ (ვტყ).

ეს იყო ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენა, რომელიც სალიტერატურო ენამ იგი არ მიიღო.

ამრიგად, საკუთარი სახელის ბრუნების თვალსაზრისით „ყარამანიანში“ არქაული ვითარებაა დაცული, ახალი ქართულის გავლენა ჩანს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გამარტივებიდან, ცოცხალი მეტყველებისა კი - ანთროპონიმზე წოდებითი ბრუნვის ნიშნის დართვიდან.

გ) მრავლობითი რიცხვის წარმოება

„ყარამანიანში პარალელურად გვხვდება ებიანი და ნართანიანი მრავლობითები, უფრო გავრცელებულია ნართანიანი ფორმები:

„მრავალი უცხო ფეშქაშები მოამზადა“(გვ.242); „ერანის ლაშქრის ცხენები სპილოებზედ ფრთხებოდნენ“(გვ.257); „იმ ღამეს იქ მყოფ ქალებს სულ ყველას ხოსროვშირის სილამაზეზე თვალი ეჭირათ“(გვ.296); „თვითონ ჯაჭვის კალთები წელში ჩაირჭო“(გვ.348); „ძელები ამ დიდრონს ქვაბებში გაუყარეს“(გვ.348); „კარგის მძიმის იარაღებით ამათ მოართვით“(გვ.448); „მერე ფალავნების ამბავიც ჰკითხა“(გვ.449).

„ფალავანნი და სარდალნი წესისაებრ დასხდნენ“(გვ.33); „საკვირველნი და საშინელნი ნადირნი გადმოვიდნენ“(გვ.345); „ჯინისტნის ბანოვანთა ნახეს, რომ ორნი

ადამიანის ხელმწიფენი ისხდნენ“(გვ.239); „სამნი ძმანი ხელმწიფობდნენ“(გვ.243); „ორმოცი ათასი მოწონებული ფალავანნი გამოარჩივა“(გვ.263); „მშვენიერნი, მთვარისა მეჯუფთარენი და მზისა მოკამათენი“(გვ.366); „შვიდი ათასი მოწონებული სარდალნი და ფალავანნი თავიანთ ლაშქარში დაერივნენ“(გვ.254); „თვალნი აღახილნა და ყარამანს შეუტივა“(გვ.344); „მრავალი უცხო და უცხო კარავნი დადგეს“(გვ.367).

საინტერესო ფორმაა შამდნები: „თავით და ფერხით მურასა შამდნებით სანთლები ენთო“(გვ.87).

მკვლევარ აკ. შანიძის აზრით, „შანდალში დან არ გამოიყოფა მაწარმოებლად, რადგანაც ქართულში ცალკე არ იხმარება „ჩამა,“ არც „შანი“. XVII-XVIII სს-ში იხმარებოდა „შამი“ აქედან შამდანი – სასანთლე, შემდგომი ფონეტიკური ცვლილებით შანდალი“ (შანიძე, 1980: 144).

გვხვდება ნაწევრიანი სახელებიც: „მხეცსა მას ბეწვიცა ვერა გაუკვეთა“(გვ.58); „ხადუმთა იმათ შეუტივეს“(გვ.69).

ხშირია ბრუნვის ნიშნის გავრცობაც: „მეტითა შიშითა თრთოლა დავიწყე“(გვ.48); „ხელმწიფესა დიდად ეამა“(გვ.53); „ყველამა თავთავისი სახე მიიღეს“(იქვე); „ჩვენცა სწრაფითა სიარულითა ვიარეთ“(იქვე); „საზარელითა ხმითა ვეშაპისა მსგავსად ყვირილი შექნა“(იქვე).

2.2. ზედსართავი სახელი „ყარამანიანში“ ხშირად გამოიყენება გმირთა თვისებების გადმოსაცემად:

„და დიდებულნი, თუ ქალნი, თუ ვაჟნი იყვნენ, ყოველნივე დაიბარეს“(გვ.203); „ამ ბერიკაცისაგან ამისთანა ტკბილი მოუბარი ლაპარაკი მოისმინა“(გვ.570); „შავი და ბნელი იყო იგი დღე, მე რომ დავიბადე“(გვ.202); „ესრეთი ძლიერი კაცი არის, რომ იმისი ომის გასწორება არას ფალავანს არ შეუძლია“(გვ.524); „მათ მფრინველთაგან უცხო და მშვენიერი, საამო, ტკბილი ხმები გამოდიოდა“(გვ.469).

საგმირო-საფალავნო შინაარსიდან გამომდინარე, ტექსტში უმეტესად გამოიყენება ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმები:

„ამის უძნელესი რაღა დაგვემართების?(გვ.68); „ჰე, შვენებით ყოველთა უადრესო და ძლიერებით ყოველთა უმჯობესო“(გვ.91); „ყარამან რა ეს ნახა, შეშინდა, ამისთვის,

რომ იმაზედ უსადაგლესი, უბილწესი და უმყრალესი არა ენახა რა(გვ.654); „მაგის უადვილესი რა არის, რომ აგრე გაგჭირვებია“(გვ.571).

ხარისხის ფორმის საწარმოებლად ერთ შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ -უ-ე, ხოლო მეორეში - უ-ეს: „ესე უმჯობეა, რომე ერთი მრავლისა ქვეყანისა მნახავი და გამოცდილების მქონებელი ნუთუ იგი შეეტყუოს“(გვ.45); „ჰე, ყოველთა ხელოვანთა უმჯობესო“(გვ.66). გვხვდება მოკლე ფორმებიც (უმჯობე, უძნელე).

ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება ფორმები: ძნელი/საძნელო/საძნიადო. მოვიყვანთ მაგალითებს: „უთუოდ მამის ჩემის ამბავს შეიტყობს, მაშინ საქმე საძნიადო გახდებაო“(გვ.171); „ამისი შენახვა საძნელო არის ამისთვის, რომე უშანგ-შას ერთი ასეთი გრძნეული ყავს“(გვ.90); „სათქმელად დიდად საძნელოა, მაგრამ, ხელმწიფეო, არც უთქმელობა სჯობს“(გვ.484); „მე მისგან კიდე სხვა გზა ვიცი, მაგრამ დიდად ძნელიაო“(გვ.182); „მის ქვეყნიდამ აქ მოსვლა და ამბისა მოტანა საძნიადო არისო“(გვ.55).

დიდრონი გვხვდება -ოვან მაწარმოებლითაც და მაწარმოებლის გარეშეც: დიდრონი//დიდროვანი: „რაც დიდრონი კაცები ყოფილან, სულ ყველასათვის თავები დაუყრევინებიაო“(გვ.243); „მერე დიდროვანის ტალღების ცემით ამა მორევში რაც რამ იქნება, ნაპირას გაიტანა“(გვ.518).

2.3. რიცხვითი სახელი

ფონეტიკაში განვიხილეთ რიცხვით სახელთა არქაული ფორმები. „ყარამანიანში“ რიცხვითი სახელის არქაული მორფოლოგიური ფორმა ნაათალი იშვიათად გვხვდება: „თქვენსა მოწყალების ნაათალსაც არ ვღირსვარ“(გვ. 688).

ძეგლში შეინიშნება სიჭრელე ასეულების და ათასეულების გამომხატველი რაოდენობითი რიცხვითი სახელების დაწერილობაში, შესაძლებელია, ეს ბეჭდური ხარვეზი იყოს, ამაზე გამომცემელს უნდა მიექცია ყურადღება, მაგრამ ეს სინამდვილეში გამოხატავს ხელნაწერებისდროინდელ ვითარებას და შესაძლებელია, ჩანდეს ხელნაწერის ისტორიაც: სხვადასხვა გადამწერი განსხვავებულად წერდა მათ.

მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს: „ასორმოცჯერ ათასი ლაშქარი მოამზადა“(გვ.263); „ასორმოცდაათი რკინის ფოლადის სარტყელი ჰქონდა შემოკრული“(გვ.606); „ჯარის სანი იყო რიცხვით ასოცი ათასი დევი“(გვ.637); „ხელმწიფეს თანა ოთხიათასი

ვაზირი და თორმეტიათასი შინაყმა დარჩნენ“(გვ.37); „**ორმოცი ათასის** ერან-თურანის ფალავნებით უშანგ-შაჰის ჯარის წინ იდგნენ“(გვ.253); „ანყაფუზი და ამიდ დევი თავისის **ხუთასი ათასი** დევითა სააბყირანის კარზედ შეიყარნენ“(გვ.237); „ჯინისტნის შვიდმა სულთნებმა **შვიდასი ათასი** ჯინი მოამზადეს“(იქვე).

ზოგჯერ ერთი და იგივე რიცხვითი სახელი გვხვდება სხვადასხვა დაწერილობით: „ერთმანეთზე **ას ორმოცი** იარაღი იხმარეს“(გვ.404); „**ასორმოცი** ათასი სპილოც საომრად მოამზადეს“(გვ.263); „**ასორმოცმა** ფალავანმა ერთობით ხანჯლებით შემოუტივეს“(გვ.586).

ტექსტში უხვად გვხვდება ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელები: „ეგრეთვე განწესებული იყო **ორას-ორასი** მათრახი“(გვ.426); „ორთავე ერთმანეთზედ **სამოც-სამოცი** ხელი იარაღები იხმარეს“(გვ.419); „მრავალი სცემა და **სამ-ოთხ** ალაგს გაუტეხა“(გვ.351); „**ხუთას-ექვსასი** მეომარი კაცნი შიგ სხედან“(გვ.524).

საგანგებოდ უნდა განვიხილოთ **ნაწილაკიანი რიცხვითი სახელის** ბრუნების თავისებურებანი. ვე ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი გვხვდება შეუხორცებელი და შეხორცებული ფორმითაც. დღესდღეობით „გაბატონებულია შეხორცებული სახეობა და იგი უნდა დარჩეს სალიტერატურო ენაში ძირითადად“ (ნორმები, 1970: 88).

სახელობით ბრუნვაში გამოიყენება ვე' ნაწილაკიანი რიცხვითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: „**ორისავე** მხრის ლაშქარი გამოვიდა“(გვ.409); „ასეთი მოხვდა ხმალი ხმალსა, რომ **ორისავე** ხმალი დაიმტვრა“(გვ.407).

აქვე გვხვდება ფორმა **ორივეც**: „**ორივე** ხელი მაგრად შეუკრა და აიარებს მიაზარა“(გვ.407).

განვიხილოთ მიცემითი ბრუნვის მაგალითები: „ერთი წრე შემომავლო **ოთხსავ მხარესა** და მე მას წრეში დამაყენა“(გვ.48); „**ოთხსავ მხარესა** საკვირველნი ნადირნი იქნებიან“(გვ.48); „მას **ორმოცსავე** **ჯაჭვებს** მოუსვა და ყოველივე დასცვივდა“(გვ.479); „**ოთხსავე მხარეს** სპილოთა სანგარი შემოავლეს“(გვ.79).

ნაწილაკშეუზრდელია სხვა ბრუნვების ფორმებიც: „**ორისავე** მხრიდამ ლაშქარი ამხედრდა და **ორსავე** მხარეს საომარ ნაღარასა ჰკრეს“(გვ.405); „**ორსავე** მხარეს გასაყრელსა ნაღარასა ჰკრეს“(გვ.408).

ამ მაგალითში **ორთავე** პოსტპოზიციური მსაზღვრელია: „თვალთაგან **ორთავე** წყაროსაებრ ცრემლი გარდმოდიოდათ“ (გვ.36).

მრავლობით რიცხვში სახელობით ბრუნვაში გვხვდება **ორნივეც** და **ორთავეც**: „**ორთავე** ვეშაპის მსგავსნი ფალავანნი ერთმანეთს ერკინნენ. **ორნივე** ესრეთ დიდად დაილაღნენ, რომ არც ერთს ღონე აღარ შერჩათ“ (გვ.407); „სპილო და ყაპირაზამ **ორნივე** ერთად დაეცნენ“ (გვ.409).

ამრიგად, რიცხვითი სახელის გადმოსაცემად „ყარამანიანში“ ხშირია არქაული ფონეტიკური და გრამატიკული ფორმების გამოყენება, ვე ნაწილაკიანი რიცხვითი სახელიც ამ ძეგლში ძველქართულისებურად იბრუნება.

2.4. ნაცვალსახელი

პირის ნაცვალსახელი ამ ძეგლში არ ავლენს რაიმე თავისებურებას: „**თქვენ** რომელნიც სულთნები გახლავან, ისიც იმათთან იმსახუროთ“ (გვ.453); „**გიწერ შენ**, რომელიც ბარამ ჩინი ხარ“ (გვ.462); „**იგინი** ერთმანეთსა პირველვე იცნობდნენ“ (გვ.165); „რა ქაჯმან **ესე** ნახა, მიწასა ზედა დაემხო“ (გვ.175); „**ესე** თქვა, მთისა ოდენსა გურზსა ხელი მიჰყო და ყარამანისაკენ წამოვიდა“ (გვ.165).

ჩვენებით ნაცვალსახელებად გვხვდება **ესე** და **ეგე**: „ქება შეასხა და **ესე** ჩვენი თავგადასავალი ყველა მოახსენა“ (გვ.53); „ნეტარ ვინაა **ესე** ტახტსა მჯდომი, რომე **ესე** ოდენნი დევნი და ფერიანნი ემონებიანო“ (გვ.173); „რა სურხავმა ფალავანი ფეხსავე მდგომი იხილა, **ესე** საქმე დიდად ითაკილა“ (გვ.163); „**ეგე** ვითარი სიტყვაა, რომელსა მეტყვიოთ?“ (გვ.177).

დასტურდება ჩვენებით ნაცვალსახელთა სხვა **არქაული** ფორმებიც: „ციხითგან **ეგეოდენი** დევთა ლაშქარი გამოვიდა“ (გვ.163); „**ესე** ოდენი ქვეყანა დაუჭერიაო“ (გვ. 394); „რა სეფი ბანომ **ესე** ოდენი უცხო ქვეყნის ხელმწიფე ნახა... დიდად შეშინდა“ (გვ. 369).

კუთვნილებითი ნაცვალსახელი **თავისი** წარმოდგენილია როგორც **შეკუმშული**, ისე **შეუკუმშავი** ფორმით:

„ცოტა ხანს ერთად შევექცეთ და მასუკან წავიდეს, **თავის** ქვეყანასაც ისევ იმასვე მივცემ“ (გვ.453); „ყამარლუხმან მამა და დედა **თავისი** დაინახა“ (გვ.190); „**თავისი**

სახლის გასაღებები ამოიღო და მოართვა“(გვ.455); „ხოსროვშირმა თავისი ცოლი გულჩინ იქ გაუშვა და თითონ წავიდნენ“(გვ.459).

შეკუმშული ფორმები ჭარბობს შეუკუმშავს: „მრავალნი დაკოდილნი თვისსა წყლულსა ჩიოდნენ“(გვ.165); „ქალმან მამა თვისი სძებნა“(გვ.167); „თვის ექვსფეხოვანს ქუსლი შემოჰკრა“(გვ.384); „თვისა ქამანდი მკლავსა გარდიგდო, თვისსა მხეცსა ამხედრდა და გამოუდგა“(გვ.199); „განრისხებული თვისსა მხეცსა მიუხლტა“(გვ.197); „სხვანი თვისსა ალაგსა დასხდნენ“(გვ.189); „პირობის წიგნი მიაართვა, მობრუნდა და თავისსავე სკამსა დაჯდა“(გვ.453); „თვისითა გრძნებითა ყარამანთანა მსწრაფლ მიიწივნეს“(გვ.192); „დაიწყო მან თვისთა ამბავთა თქმა“(გვ.166).

„ყარამანიანში“ ნაცვალსახელი თითოეული წარმოდგენილია დიალექტური ფორმებით: „ბალის ამბავი ყველა თვითთულად მოახსენა“(გვ.484); „გარდანქემანმა ყოველივე თვითთულად მოახსენა“(გვ.499); „თვისსა ამბავსა თვითთულად თვითონ მოგახსენებსო“(გვ.37); „ყოველივე თვითთულად უამბო“(გვ.483); „თვითო დევნი სამოცის მწყრთის სიმაღლის მქონებელნი არიან“(გვ.365).

უარყოფითი და განსაზღვრებითი ნაცვალსახელი რაიმე თავისებურებას არ ავლენს: „ყარამან შაფალი ფერის ძმა ტახტსა ზედან დაიწვია და დასვა და თვით დაჯდა“(გვ.181); „დიდად სახელოვანს ფალავანს ჩააბარა ეს ქალაქი და თითონ წასვლის მზადება იწყო“(გვ.459).

„მაშინაც ვერავინ იკადრა აქ შემოსვლა“(გვ.459); „ველარავინ იცნობდა მეტის მრისხანებისაგან ასე ჯავრობდა“(გვ.459); „უშანგ-შა აქ ველარ მოვა და ქვეყანა მე დამრჩებო“(გვ.461); „იმისთანა მშვენიერი ქვეყანაზე არავინ შობილა“(გვ.458).

თავს იჩენს **განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ვე და მე** ნაწილაკიანი არქაული ფორმები: „ამა ციხისა სიახლოესა კაცი ვინმე მოსრულაო?“(გვ.162); „დევნი იგრძნებდნენ, რომე უცხო ვინმე მომავალი არისო“(გვ.162); „ხელმწიფეო, რაც დანაშაული მქონდეს, ყოველივე თქვენს დიდებულებას აპატიეთ“(გვ.455); „მასვე წამსა სამან ყარამანისაკენ წავიდა“(გვ.165); „ყოველთავე და თავ-თავის ნებისამებრ მიართმევდიან“(გვ.455).

დასტურდება **ნაწილაკშეუზრდელი ფორმები:** რამდენსამე, რამდენისამე, ვისმე; „რამდენსამე დღეს უკან იმ ზანგებს ერთი საკვირველი მტერი მოუხდათ“(გვ.536);

„რამდენისამე წლის სავალი არის და ვიშიშვი“(გვ.541); „ოდეს შორიდგან მომავალსა ვისმე იხილავდა, მალლად ხმიანობასა იწყებდის“(გვ.162); „აქედამ ჩვენსავე ქვეყანაში ქვეყანაში მშვიდობით მივაწიოთ“(გვ.452).

კუთვნილებითი ნაცვალსახელი სრულად იბრუნება: „საქმე ისე გამოვარჩიოთ და კიდეც წავიდეთ ჩვენს ქვეყანასაო“(გვ.452); „ესე გვარი საქმე კეთილი რჩევა არ იყო ჩვენს თავზე.ეხლა ერთი რამ წამალი მოვიპოვოთ რამე ჩვენის სიცოცხლისაო“(გვ.452).

ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას იჩენს თავისებურებებს: „სადმე ყოფილიყო და ამას დამე იგი გვენახაო“(გვ.111).

საგანგებო მსჯელობის საგანია ჩემდა' შენდა' ტიპის ნაცვალსახელები: „მარადის ანგელოზნი მცველად მისდა არიან“(გვ.546); „რა მისი ხმა მიესმა, ენება, რათა მისდა საშველად მოსულიყო“(გვ.165).

ა. მარტიროსოვმა ამ ტიპის ნაცვალსახელებს სპეციალური წერილი უძღვნა: „ჩემდა, შენდა ტიპის ნაცვალსახელთა წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში“(მარტიროსოვი, 1959: 107-128). ამ ფორმათა შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. არნ. ჩიქობავა „ჭანური ენის ანალიზში“ და'ს ბრუნვის ნიშნად მიიჩნევდა, შემდეგ კი დ' მიიჩნია ბრუნვის ფორმანტად, ა' მსაზღვრელ ნაწილაკად.

აკად. ა. შანიძე ამ ფორმებს მიმართულებითი ბრუნვის ფორმებად მიიჩნევდა: „ჩემდა, შენდა, მისა (მისა მიმართ, I კორ. 13.4) (მოგვიანო ხანის ძეგლებში მისდა), ჩემდა მომართ, ჩუენდა მომართ, ჩემდა მიმართ, შენდა მიმართ, ჩუენდა მიმართ, მისა მიმართ, მათა მიმართ (მოგვიანო ხანის ძეგლებში მათდა მიმართ)“ (შანიძე, 1976:46).

ი. იმნაიშვილი კი და'ს თანდებულად მიიჩნევდა. ჩემდა, შენდა, მისდა მაშასადამე, აქ ნათესაობითი ბრუნვა გვაქვს და ეს ფორმები იგივეა, რაც ჩემთვის, შენთვის, მისთვის, ამას მოწმობს შემდეგი მაგალითიც: „თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მეორესა და ერთი – ელიაისა“(მ.17.4) (იმნაიშვილი, 1956).

2.5. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების თავისებურებანი

„ყარამანიანში“ მსაზღვრელი მიცემითსა და ნათესაობითში სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშანს: გავრცელებულია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების სრული სახეობა, როდესაც მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშნებს,

ოღონდ ვითარებითში იღებს მიცემითის ნიშანს, ხოლო მოქმედებითში-ნათესაობითისას.

განვიხილოთ ცალკეული შემთხვევა, როცა რიცხვითი სახელია მსაზღვრელად: „**ორმოცს დღეს** ომი აღარ იქნება“ (გვ.438); „**ორს დღეს** შევისვენოთ“ (გვ.401); „ფალავანი მოვიდოდა, **ოცდაჩვიდმეტის წყრთის** სიმაღლის მქონებელი“ (გვ. 79); „**ორმოცის დღის** პაემანის შესრულებამდის ჩვენი დაბარებულის ფალავანის მოსვლის იმედი მაქვს“ (გვ.438); „იყო მქონებელი **ოთხის ათასის ქალაქისა და ათას ორასის კუნძულისა**“ (გვ.398); „**ერთის ხლმის** დაკვრით თავისას საჯდომით ოთხად გავკვეთო“ (გვ.401).

მსაზღვრელად ზედსართავი სახელია: „**ჯინისტანში ცარიელს** მისვლას იმა ციხესა შინა სიკვდილი უმჯობესიაო“ (გვ.217); „შენ უნდა **დიდის** ჯაჭვით ხელები შემიკრა“ (გვ.217); „ყარამანს **მძიმის** ჯაჭვით ხელფეხი შეუკრა“ (გვ.217).

მსაზღვრელად ნაცვალსახელია: „გვედრებით, რომ **თქვენს** ძლიერს ლოცვაში მომიგონებდეთ“ (გვ.466); „ხვალ იმას **ჩემის** ხმლით ორად გავკვეთო“ (გვ.412); „**ჩემის** მკლავის ძალი მიინდა გაჩვენოო“ (გვ.400).

მსაზღვრელად მიმღობაა: „ნახეს დევნი ციხესა შესულნი და მეციხოვნეთა საქმე **გაჭირებული**“ (გვ.149); „ვიდრე მზისა დასვლამდის **საკვირველსა** ომსა იყვნენ“ (გვ.165).

რიცხვითი სახელი არსებითთან ერთად ბრუნებისას მოთხრობით ბრუნვაშიც დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: „**ოცდა ოთხმა ათასმა** იმა დევის ლაშქარმა ყოვლის მხრიდან ყარამანს შემოუტივეს“ (გვ.633).

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას საყურადღებოა ერთი თავისებურება: ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი მოქმედებით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაშია: „**დიახ უცხოს ბრწყინვალეს ტანისამოსით** შეიმოსა“ (გვ.483); „ერთი ესეთისა **საზაროსა ხმითა** შესმახა“ (გვ.71).

ზედსართავი სახელი კაი (კარგი) არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას იჩენს თავისებურებებს: „ესენი ერთს **კაის** სახლში შეგზავნა“ (გვ.509); „შენ შენის **კაის** ყოფაქცევით და დიდის ჭკუით დაგიმორჩილებია სახელმწიფოები“ (გვ.526); „მერე **კაის** საჩუქრით გაგისტუმრებო“ (გვ.428).

ამრიგად, „ყარამანიანი“ ძირითადად დაცულია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების სრული სახეობა, რითაც ძველი ძველი ქართულისკენ იხრება. ნაწარმოების თავისებურებაა ის, რომ როცა საზღვრული მოქმედებითში დგას, ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი მიცემით ან ნათესაობით ბრუნვებშია.

2.6. ზმნა. ზმნის კატეგორიების შესწავლა რელევანტურია ნაწარმოების სტილის დასადგენად. უნდა განვიხილოთ პირისა და რიცხვის ნიშნები, ზმნისწინი, ასპექტი, გვარი და ა.შ.

ა) **ზმნის პირის ნიშნების თავისებურებანი.** ნაწარმოებში სუბიექტური პირველი პირის ნიშანი ვ უ ხმოვნით დაწყებულ სახელებთან არ გვხვდება: „ორივე ხელი მის თმითა მაგრა შეუკარ“ (გვ.50); „ხომალდის თავზე აველ და დიდხანს უყურე“ (გვ.515); „იგი ლოცვა შეულოცე და მიწა პირზედან შევაყარე“ (გვ.52); „მე შეულოცე და აზრალს გამოელვიდა“ (გვ.53); „მე პასუხი არა გავეც და იგივე ლოცვა შეულოცე“ (გვ.53); „კვალად ხელები მაგრად შეუკარ“ (გვ.53); მე შევებმი და გაურიგებ ამ საქმესო (გვ.662).

ვ დაკარგულია მაშინაც, როცა ზმნის ფუძე ვ-ზე იწყება: „ჰე, ფალავანო, მეცა მრავალჯერ ჩავარდი“ (გვ.42).

ს პირის ნიშანი გვაქვს ორპირიან გარდამავალ ზმნასთან: „მაგიერი ჩვენგანაც მიეგოს, დავსტანჯოთო“ (გვ.513).

ზმნა ერთპირიანი ვნებითი გვარისაა: „ახლავე ყველანი ამათის ხელით დავსტყვევდებითო“ (გვ.511); „მე საწყალობელი დიდად შევსწუხდი“ (გვ.536); „ამალამ ერთი ოთახი მომეცით სადმე, რომ იქ დავსდგეო“ (გვ.558); „დავლონდი, დავსწუხდი დიდად“ (გვ.478); „ეს უთხრა და მსწრაფლვე წყალში შესცურდა“ (გვ.494); „შიშით ფეხზე ველარ სდგებოდნენ“ (გვ.544); „მერე ყარამან ამა საქმეზე დიდად შესწუხდა“ (გვ.573); „ვინც ამ ორის ბრძოლასა ნახავდა, დიდად განჰკვირდებოდა“ (გვ.557); „ორივე მხრის ლაშქარნი დიდად შესწუხდნენ“ (გვ.544).

ზოგჯერ სუბიექტური პირველი პირის ნიშანი მესამე სერიის ფორმებში ორმაგადაა გამოხატული: „უმჯობესი იყო, იმ ჯადოსთან დავმპალვიყავ და ქვეყნით არ გავოხრებულვიყავ“ (გვ.666).

შენარჩუნებულია სუბიექტური მეორე პირის ნიშანი: „ამალამ შენ აქ დასჯექ, ნუ გეშინია“ (გვ.495); „შენ მიდი ადრე და თქვენის სასახლის კარსა დასდექ“ (გვ.513).

„ყარამანიანში“ პირისა და რიცხვის ნიშნები გამოიყენება ძველი ქართულის მსგავსად. წყვეტილის მწკრივში მრავლობით რიცხვში გარდამავალ და გარდაუვალ ნიშნები ეს ნიშნითაა გამოხატული: **გარდამავალი ზმნები:** „ქაჯთა მრავალი ზიანი დამართეს“ (გვ.23); „ყარამან მძინარე ჰაერში აიყვანეს და ერთსა მთასა ზედან დაუტევეს“ (გვ.25).

გარდაუვალი ზმნები: სადაც **ნენ** უნდა იყოს, ზოგჯერ ეს სუფიქსი გვხვდება: „ქაჯნი და დევნი შეიყარნეს და თვისსა უფროსსა ტანა მივიდეს“ (გვ.23); „და ამავე ხელმწიფესა ერთი ძმა ჰყვანდა, რომელსაც სახელად გორჯასპის უხმოზდეს“ (გვ.24); „სულტანნი წინა მიეგებნეს“ (გვ.76).

სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ძირითადად გვაქვს **ნენ სუფიქსი:** „იგინი უკან გაბრუნდნენ და წავიდნენ“ (გვ.49); „ნამძინარეკსავით გამტერებულ იყვნენ და იყურებოდნენ“ (გვ.54); „დიდებულთა ძენი თანა იახლნენ და ხელმწიფისა კარზედან მივიდნენ, ლაშქარნიცა ყოველნი აიყარნენ და ინდოეთისაკენ გაემართნენ“ (გვ.56); „ანაზდად უანგარიშო მხეცნი მოვიდნენ“ (გვ.49); „დიდად მწუხარობდნენ იმ ციხეში მყოფთა ტირილზედ“ (გვ.375); „მრავალნი სულნი მოვიდოდნენ და ფერხთა მეხვეოდნენ“ (გვ.50); „გაკვირვებულნი ერთი მეორესა ამბავსა კითხვიდნენ“ (გვ.56).

ზოგჯერ სუბიექტური მესამე პირის ნიშნად გვაქვს **ენ:** „მოვიდნენ და ამა ციხეში გაუმაგრდენ“ (გვ.536); „ფალავანნი წინაშე მისსა შეკრბენ“ (გვ.63); „წინ წაეგებნენ და მისსა ომსა აპირობდენ“ (გვ.57).

ძველი ქართულის **ეს//ენ** შეცვალა **ნენ** სუფიქსმა. **ენ//ნენ** დაბოლოება თანდათან ბატონდება XVI- XVIII საუკუნეების ძეგლებში. „ეს და ენ//ნენ სუფიქსების ჭიდილი არსებითად მთავრდება XVIII საუკუნეში ნ(ენ)-ის გამარჯვებით. XIX საუკუნის თხზულებებშიც შეიძლება შეგვხვდეს -ეს სუფიქსიანი ფორმები, მაგრამ არა როგორც ნორმა, არამედ როგორც ძველი სალიტერატურო ნორმის ანარეკლი, ან სტილიზაციის საშუალება. ცოცხალ მეტყველებაში მეტყველებაში XVIII საუკუნის ბოლოს ასეთი ფორმების არსებობა უკვე აღარ არის სავარაუდებელი“ (ნიკოლაიშვილი, 1978: 111).

„ყარამანიანში“ წყვეტილის და მეორე კავშირებითის მწკრივებში შეინიშნება მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა **მონაცვლეობა**, ო-ს ნაცვლად ა გვაქვს: „**იგრძნა**, რომ კაცთა ნათესავი იყო“ (გვ.25); „ყოველთ მხარესა ძე თვისი ძებნა, მაგრამ მისი ამბავი

ვერა სადა სცნა“ (გვ.24); „ფალავანი იგი სცნა“ (გვ.35); „რა გარდანქემანმა ეს სცნა და უკუმოიქცა“ (გვ.469) „შეხედა და მაშინვე იცნა“ (გვ.523); „ყარამანის ხმა იცნა“ (გვ.355); „დევმან გარდანქემანი ხელში იპყრა“ (გვ.523); „თუ ღვთითა შემოვხვდე, შევიპყრა და თქვენსა წინა მოვიყვანო“ (გვ.34); „ვეშაჰმან ცეცხლთა შემოყრა დაგასწრა“ (გვ.130); „მკერდსა მიიყრდნა და ორნივე კარავსა შევიდნენ“ (გვ.483).

ასეთი ფორმები გვხვდება „შუმანიკის წამებაში“: „წმიდამანმან ცნა ზაკუვითი იგი ზრახვა მისი“ (შუმ. გვ.5).

ამავე ნაწარმოებში გვხვდება ზმნის ფორმებში სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის თ ნიშნის წინ ს სუფიქსიც: „და ამაყისა ქცევითა მოვიდოდა, რაგვარადაც მელექსეთა უთქვამსთ ლექსი“ (გვ.80); „თვისთა გრძნებითა ვარსკვლავსა სხვისა მოპარევდა, რაგვარადაც მელექსეთა უთქვამსთ“ (გვ.62); „მაგრამ ვითა მცირე ჯოხი დაუკრავსთ, ისრე არად შეიმჩნევა“ (გვ.387).

ბ) **ზმნისწინის თავისებურებანი.** „ყარამანიანის“ ტექსტში ხშირად გამოიყენება ზმნისწინთა ძველი სახეობები: შთა, გან, წარ, აღ: „ამ ჯურღმულსა შთადით და უთუოდ აქა პოებთო“ (გვ.134); „რადგან სირცხვილსა შთავარდი, თავზედან ხელი ავიღე“ (გვ.49); „ჰე, ვითარსა მოუთმენელსა ჭირსა შთავაგდე თავი ჩემი“ (გვ.86); „ყარამან დიდის განკრძალვით თვისის ამბის მოხსენება დაიწყო“ (გვ.39); „რომლისა მშვენებასა მხილველნი განეკვირვებინა“ (გვ.41); „აქათგან ყამარლუხ შეკაზმა და ისიცა განვიდა“ (გვ.41); „აწ შენ წარმოვედ და ხელმწიფესა ჩვენისაგან შეცოდებისა შენდობასა გისურვებ“ (გვ.31); „ხელმწიფემან უშანგ შენთანა წარმომგზავნა“ (გვ.36); „გარდანქემანი თავისსა სადგომსა წარვიდა“ (გვ.55); „ამა წესითა ჰაერსა შიგან აღფრინდით“ (გვ.51); „მასვე წამსა ჰაერში აღფრინდა“ (გვ.165); „სიყვარულისა სისხლი გონებასა შინა ჩემსა აღდულდა“ (გვ.188).

მეტად საინტერესოა უკუნ (უკუ>უკ) ზმნისწინიანი ფორმები:

„მასვე წამსა ბანგი უკუქარდა“ (გვ.65); „ვირემდის მე უკმოვიქცე სარვიხურამანს მორჩილობდეთო“ (გვ.157).

მეტად იშვიათად შეგვხვდება ზმნისწინის გამარტივებული ფორმა: „გაემართნენ ყარამანისაკენ და წავიდნენ“ (გვ. 35).

„ყარამანიანისთვის“ ნიშანდობლივია **ზმნისწინთა შენაცვლება**, უნდა იყოს და და არის **მი**: „უშანგ-შაჰ ყველას მიემშვიდობა“(გვ.257); „ყარამან მობრუნდა და სხვათა ფალავანთაც მიესალმა, მიემშვიდობა“(გვ.35); „მეც იქ მიმელოდნენ“(გვ.204). ბოლო მაგალითში **მი-** ზმნისწინის დართვით მკვეთრად არის გამოხატული ორიენტაცია.

მი/ შემო: „ესე ამბავი ციხეთა მყოფთა მიესმა“(გვ.148).

შემო/წამო: „ბეჭედი მოულო და თითსა შემოიცვა“(გვ.173).

შე/გა: „გარდაიხვეწნენ და შეპყრობილთა რიცხვსა ვინ შეიგებდა“(გვ.133).

წა/ მი: „ფალავანნი წინა წაეგებნენ“(გვ.57).

მი/მო: „რა სხვათა დევთა ასე განრისხებულყო იხილეს, დიდად შემინდენ და მიეფერენ“(გვ.625).

ზმნებსა და მიმღეობებში ზოგჯერ დასტურდება **მო** ზმნისწინის დიალექტური ფორმა: „ორის დიაცის თმა მამცა და მითხრა“(გვ.48); „ვაჰ ჩემს მორჩენასა და იმ დღის მამგონეს“(გვ.205).

„**მო** ზმნისწინი დიალექტების ერთ ნაწილში წარმოდგენილია, როგორც **მა**: მამიტანა, მაიტანა, მაიჭრა... **მა** დაჩნდება ხევსურულში, ფშაურში, ქართლურში, კახურში, იმერულში“(ჯორბენაძე,1998:619); აღსანიშნავია, რომ „**მააყრიან, მასახამენ, მამპარეს, გამამიყვანა** ფორმები დასტურდება სამხრულ კილოებში, ტაოურსა და შავშურში“(ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:23).

საინტერესოა ზმნისწინის ფუნქციები „ყარამანიანში.“ აქ ხშირად გამოიყენება თითოობის გამომხატველი და ზმნისწინი:

„უშანგისა ლაშქარნი დათამამდნენ“(გვ.98); „წყლითა დარეცხა და წყლულიცა თვისი მაგრად შეიხვია“(გვ.33); „მაშინვე დაეკაზმნენ ესენი“(გვ.256); „ოთხი ტოტი მოსჭრა და ოთხი კბილიც დაადრო და შინათკენ წასასვლელად დაემზადა“(გვ.199).

ზმნისწინი ზოგჯერ ასრულებს მოქმედების დაწყებითობის ფუნქციასაც: „თუ შენ ჩემთვის არ გემტერა, მეც არ აგიმტერდებოდიო“(გვ.657).

გ) ხოლმეობითის მწკრივები. „ყარამანიანში“ გვხვდება ხმარებიდან გასული მწკრივებიც. ტექსტში აწმყოს ხოლმეობითის არცერთი ფორმა არაა დადასტურებული, სამაგიეროდ, უხვადაა უწყვეტლის ხოლმეობითის ნიმუში: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უწყვეტლის

ხოლმეობითი პირნაკლია: მას მხოლოდ მესამე პირი აქვს, პირველი და მეორე პირები საკუთარი წარმოებისა არა აქვს. ლ. კიკნაძეს მიაჩნია, რომ „აწმყოს ხოლმეობითი პირნაკლია, უწყვეტლის ხოლმეობითს კი საკუთარი ფუძეც აქვს და არც რომელიმე პირის ფორმა აკლია, მაგრამ მას ყოველთვის არ აქვს მიჩენილი თავისი ადგილი I სერიის მწკრივთა შორის“ (კიკნაძე, 1961:231).

ზ. სარჯველაძე წერს: „ეს მწკრივი VIII საუკუნიდან იჩენს თავს, XI-XIII საუკუნეების ძეგლებში მისი ხმარების არე ფართოვდება“ (სარჯველაძე, 1984:32). უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები გვხვდება XVIII საუკუნემდე, ხმარებიდან მთლიანად გადის XIX საუკუნეში. ცოცხალ მეტყველებაში, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში ის დღემდე შემორჩენილი. უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივის გამოყენება „ყარამანიანისთვის“ ნიშანდობლივია.

მოვიყვანთ მაგალითებს: „ექვს თვე იძინებდიან, ექვსა თვესა ეღვიძათ“ (გვ.46); „მუტრიბნი და მგოსანნი უცხოდ რადმე უბნობდიან“ (გვ.33); „მათ უკან ჯარი მოსდევდა და ამა წესით მოვიდოდიან“ (გვ.27); „წინა და უკანა ლაშქარნი მოვიდოდიან“ (გვ.37); „დროშა გაშლილნი მეწინავედ მოვიდოდიან“ (იქვე); „იგი ორნი ფალავანნი ცეცხლსა შიგან აღარა ჩნდებოდიან“ (გვ.32); „ფალავანნი ვერა გაუძლებდნენ და მაშინვე უსულო იქნებოდიან“ (გვ.33); „ორმოცნი დევნი გასწევდნენ და ადგილისაგან ვერ დასძრევდიან“ (გვ.25); „არცა სინათლე და არცა სიბნელე არა იცოდიან“ (გვ.37); „რომელ მისნი მხილველნი სიარულსა მისსა ინატრიდიან“ (გვ.37); „ერთი მეორესა უცხოთა სიტყვითა ეხმარებოდიან“ (გვ.30); „ზეცით ანგელოზთა ყურება დაუწყეს და შეექცეოდიანო“ (გვ.30); „რქასა შემოკრევედის და შიგან გაავლებდის“ (გვ.57); „აილებდის ორმოცდამვიდ ხარსა და მიწასა ზედა დასცემდის“ (გვ.25).

ტექსტში ხშირია შემთხვევა, როცა ხოლმეობითის მწკრივების გვერდით წინადადებაში უწყვეტელი ან წყვეტილი გვაქვს: „ესევითარისა ტურფისა ქცევითა მოვიდოდა, რომელ მისნი მხილველნი მტერნი თუ მოყვარენი ქებასა დიდსა შეასხმიდიან“ (გვ.80); „ორივე მარტორქისგან გარდახდნენ და ქვეითად ერთმანეთს ებრძოდნენ, ჯაჭვსა და ჯავშანსა ერთმანერთსა ზეწარსავით ახევდიან“ (გვ. 97); „ყარამანს თავსა გარდააყარეს, დალოცეს და ქებასა შეასხმიდიან და ესეთის თავაზით

და პატივით ხელმწიფეს თანა მიიყვანეს“ (გვ.38); „სიკვდილსა მიეცემოდინ, რომ ომი ვერავინ გაუსწორა“ (გვ.41); „რომელსაც მხარესა შეუტევდის, მისი ნახოცი მკვდარი მკვდარსა ზედან გორასავით შედგებოდა“ (გვ.70); „ხელმწიფეს თაყვანის სცემდნენ და აგრეთვე თვისთა ალაგსა დადგებოდინ“ (გვ.74); „ზეცით ანგელოზნი უჭვრეტდნენ და განკვირდებოდინ“ (გვ.74).

ეს მაგალითები გვიჩვენებს იმას, რომ ძეგლში ძირითადად დაცულია ძველი ქართულის ვითარება, თუმცა მის გვერდით ახალი ნორმაც მკვიდრდება, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტია.

ძეგლში შედარებით ნაკლებია **II ხოლმეობითის** ფორმები. ეს მწკრივი „ხოლმეობითების სისტემაში ოდინდელია და ძირითადი, დანარჩენები გვიანაა ჩამოყალიბებული“ (გოგოლაშვილი, 2010:441).

„ყარამანიანში“ ეს მწკრივი სიძველის ეფექტს ქმნის: „რომელსაც ხორთუმში მოახვედრა, მთლივ მოსწყვიტის და შორს გარდავარდის“ (გვ.77).

ამრიგად, „ყარამანიანში“ უწყვეტლის ხოლმეობითის და მეორე ხოლმეობითის მწკრივთა ფორმების გამოყენება არქაიზმებია.

დ) თემის ნიშანთა ხმარების თავისებურებანი.

„ყარამანიანი“ ყურადღებას იქცევს თემის ნიშანთა მონაცვლეობით. ცნობილია, რომ „თემის ნიშანთა სისტემა ყველაზე არამყარი, ცვალებადი სისტემაა“ (გოგოლაშვილი, 2011: 667).

ტექსტში **ეზ** თემის ნიშნის ნაცვლად გვხვდება **ოზ**. ასეთი ფორმები დიალექტიზმების შთაბეჭდილებას ტოვებს: „ლახტი თავზედან შემოივლო და ყარამანს დაკვრასა უპირობდა“ (გვ.31); „ხანჯალი ამოილო და გულსა დაცემასა უპირობდა“ (გვ.522); „ომსა აპირობდა და რა ფერიათა ესრეთ განრისხებული იხილეს“ (გვ.482); „ცხენთაგან აღებას უპირობდა“ (გვ.32).

ამ თემის ნიშნის ნაცვლად გვხვდებოდა **ავ**: „ხოსროვშირ იმ ქალის ეშხს დაუბავს“ (გვ.260); „ანუ ეს სამასი რატომღა შეგისვავსო“ (გვ.150).

ტექსტში დასტურდება **ავ** თემის ნიშნის ნაცვლად **ამ**, რაც განპირობებული აღმოსავლური დიალექტის გავლენით: „ღვთის შეწევნით ხვალ ნახამო“ (გვ.342).

XIX საუკუნის ხელნაწერში უფრო ხშირადაა **ამ** თემის ნიშანი ავ-ის ნაცვლად: „ან მოვკლამ ან შეპყრობილს მოჰყვანო“ (გვ.14); „თუმცა მე ფალავანთ მაჯობებს მას შევრთამ“ (გვ.36); „ხაზინასა არ დავზოგამო“ (გვ.42); „სიკეთე რომელი თქვენგან დამმართებია, ესეოდენი სხვასა არა მინახამს“ (გვ.46); „ერთი მეორეს ანზავს კითხამდნენ“ (გვ.66); „თქვენ რომ ფალავანს იკითხამთ, იგი თახმურად ხემწიფის შვილია“ (გვ.132); „ღმერთსა ვფიცამ იგი ფათერაკსა დიდსა წაეკიდებო“ (გვ.179).

„თემისნიშნისეული თანხმოვნის ცვლილება ვ>მ დასტურდება ქართული ენის შემდეგ დიალექტებში: ქართლურში, კახურსა და ზემოიმერულში“ (ჯორბენაძე, 1998:641).

ხანდახან ზედმეტია თემის ნიშანი: „რომელნი ყარამანს დაემონავნენ, რიცხვით ოცდამვიდეჯერ ასი ათასი იყვნენ“ (გვ.641).

ან პირიქით საჭიროა თემის ნიშანი და არ არის: „მისი ხმლის პირისაგან სისხლი წვეთდა“ (გვ.225); „ჰე, თმა ასაკვეცო, რასა საქმესა ლამიო“ (გვ.97).

აკ. შანიძე ამ უკანასკნელი ზმნის შესახებ მიუთითებს: „ძველ ქართულში იყო: ვლამი, ჰლამი, ლამის, რომლებსაც ეწყობოდა პირის ნაცვალსახელები. ნიშნავდა: ვაპირებ, ვცდილობ (სამივე პირში)“. ამ ზმნას დაეკარგა პირის გაგება, აღარა გვაქვს პირველი და მეორე პირის ფორმები: ვლამი, ჰლამი. დარჩა „ლამის“ ნაწილაკის ფუნქციით. იხმარება ზმნასთან, „მნიშვნელობით „თითქმის“ სიტყვას დაუახლოვდა; მოითხოვს II კავშირებითს“ (შანიძე, 1973:645). ე.ი. თემის ნიშანი ამ ზმნას თავდაპირველად არ ჰქონია, შემდეგ გაუჩნდა.

როგორც ცნობილია, -ავ და -ამ თემისნიშნისანი ზმნები ძველ ქართულში პირველი სერიის მწკრივებს თავისებურად იწარმოებენ: „თემის ნიშნისეული ა ხმოვანი უწყვეტელსა და პირველ ბრძანებითში იქცევა ე ხმოვნად, ხოლო მესამე სუბიექტური პირის ფორმაში თემის ნიშნის თანხმოვანი სავრცობს ი ხმოვნით დაუკავშირდება და მივიღებთ ვიდ/მიდ დაბოლოებას, რომელსაც ეყრდნობა უწყვეტლის ხოლმეობითი და პირველი კავშირებითი“ (სარჯველაძე, 1984: 24).

„ყარამანიანი“ აღნიშნულ საკითხში V-XVIII საუკუნეების სამწერლობო ქართულის თავისებურებებს გვიჩვენებს. გვხვდება ევ' თემისნიშნისანი ზმნები: „მაგრამ ოდეს ღმერთი კაცსა ფარევედეს, სხვისაგან არა ევნების რა“ (გვ.42); „ყოველსა

წელიწადსა ერთსა სამოსსა **შეკერედა**“(გვ.136); „რა ხელმწიფემან ესე მოისმინა, დიდად მოეწყინა და მე **შემომხედევდა**(გვ.47); „რქასა **შემოკრევის** და შიგან გაავლევდის“(გვ.57); „თუცა აზრალი მე შემეპყრა, მასვე წამსა **მოგველევდიო**“(გვ.50); „შვიდი წელიწადი ორბი ვიყავ და ჰაერთა თანა **ვფრინევდი**“ (გვ.46).

ძველი ქართული ენის ძეგლები მდიდარია ამგვარი მაგალითებით: „ღამე გულითა ჩემითა **ვზრუნევდ**“ (ფს. 76,7); „მრავალნი მათგანნი არა **სუმიდეს** ღვინოსა ყოვლადვე“(ხანძთ.216,6); „ფარაო **ჰრისხვიდა** მონათა თვისთა“(დაბ.41,10); „კითხვით **მკითხვიდა** ჩუენ კაცი იგი“ (დაბ.43,7); „ვარსქენ თავსა თვსსა ძღუნად **შესწირვიდა** მეფის მის მიმართ“ (შუმ. 133, 19).

ზმნათა **-ევ და -ემ** ვარიანტიანი ფორმები ბატონობს საშუალ ქართულში: „და **შეასხემდეს** ქებასა“(რუსუდ. 396. 23); „მზესა თქუენსა ფიცევდეს“(ვისრ. 3, 11); „იქედამ ჩაგვიყუანეს საოსტატო სახლებში, საცა ქვებს **ხერხევდენ**“(საბა, მოგზ.); „ზღვას გაღმა შაქრის ლერწამი გვაჩუენეს, ერთს წელიწადს ერთს მხარეს დარგვენ, მეორე წელს – მეორე მხარეს.. ვნახევი, როგორ **ფქვემდენ** ლერწამს და როგორ **ხარშევდენ**, სად გასწურვიდენ და რას მოადულებდენ“ (იქვე).

ვიდმიდიან ფორმებს ვხვდებით საშუალ ქართულშიც: „ზოგი ცხვარს **სწველვიდა**“ (საბა); „ძიძა ვითარცა **ჰვაზმიდა**, ვისი ამაშიგან ტიროდის“ (ვისრ.36, 27).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლში იშვიათად გვაქვს ვიდმიდიანი ფორმებიც: „ის ერთს დღეს მალნარში **ილოცვიდა**“(გვ.670); „ვინ **აღრიცხვიდა** მას ჟამისასა მათგან სამღვინოდ მომზადებულსა“(გვ.113).

მოკლედ, **ფარვიდა, ფრინვიდა** და მისთანა ფორმები ნაკლებად არის დამახასიათებელი „ყარამანიანისთვის.“

ნაწარმოებში გვხვდება ავ თემისნიშნიანი ზმნებიც: „როდესაც ხოსროვშირს **შეხედავდა** გული ათას რიგად ეჭრებოდა“(გვ.300); „თვალნი ცეცხლებრ **უელავდა**“(გვ.327); „მზეჭაბუკი ვით კატათა **ჰკლავდა** ლომთა“(გვ.186); „ოდეს შორიდგან მომავალსა ვისმე **იხილავდა**, მალლად ხმიანობასა იწყებდის“(გვ.162).

ამგვარ ფორმათა არსებობა სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვანაირადაა ახსნილი: არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, **ევ და ემ** დამოუკიდებელი თემის ნიშნებია, თანაც **-ავ და -ამ-** ზე ძველი. ისინი სხვადასხვა დიალექტური წრისაა. მას

ემბრობიან ი. ქავთარაძე, პ. ჯაჯანიძე, ბ. ცხადაძე. ზ. სარჯველაძის აზრით, „**ევ და - ემიან** ფორმათა არსებობა სამივე პირში სამწერლობო ქართულში **დიალექტიზმია**“ (სარჯველაძე, 1984:449).

განსხვავებული, ტრანსფორმაციული თვალსაზრისით, „**ევ’ ემ’** დამოუკიდებელი ფორმანტები კი არა, **ავ და ამ** თემის ნიშნებისგანაა მიღებული“ (კიკნაძე, 1961). ზოგი მიჩნევს, რომ ეს ცვლილება მოხდა ფონეტიკურ ნიადაგზე, ზოგი კი ამის მორფოლოგიურ საფუძველზე საუბრობს.

ე) **გვარის ფორმათა წარმოების თავისებურებანი**. „ყარამანიანი“ ყურადღებას იქცევს ზმნის გვარის ფორმათა წარმოებითაც. თავდაპირველად ყურადღება გავამახვილოთ გვარის ფორმათა დაბოლოების შესახებ. **ტფების’** ტიპის ვნებითების დაბოლოება თანამედროვე ქართულში შეიცვალა, მაგრამ XVII-XVIII საუკუნემდე მოგვყვა ძველი დაბოლოებანი: **ქრების, ტფების, იფარების, შენდების...**

ეს მოვლენა კარგადაა ასახული „ყარამანიანში“, სადაც ვნებითის ძველი ქართულისებური დაბოლოება დასტურდება: „მას გრძნეულებითა არა **ევნების რა**“ (გვ.44); „იქით არის და თვითონ ცეცხლის მთაში **იმყოფების**“ (გვ.45); „ხელმწიფემან უშანგ ბრძანა: თუმცა ამათ **ეშველების**“ (გვ.44); „მრავალნი ხაზინანი **დაიხარჯვის**“ (გვ.45); „იგი საბრალო ქალი **მეწყალვის**“ (გვ.95).

ნაწარმოებში შეინიშნება არქაულ ფორმათა გამოყენების ტენდენცია, გვხვდება **ენიანი ვნებითები**: „მან თვისი იარალი მოითხოვა და საომრად **შეეკაზმა**“ (გვ.28); „ყარამანიც **შეეკაზმა**“ (გვ.401); „ყარამან საომრად **შეეკაზმა**“ (გვ.72).

ხშირად **ენიანი ვნებითების** ნაცვლად გამოიყენება **დონიანები**, თვალში საცემია სუფიქსაცია: „ესე ამბავი ხელმწიფესა **მობსენდა**“ (გვ.24); „ამა ორთა მოლთა ძლიერი ომი უშანგ-შას **მობსენდა**“ (გვ.28); „მეომარი შეიყარა და ინდოეთისაკენ **გამგზავრდა**“ (გვ.26); „რომელ აქედამ უნდა ავიყარნეთ და **გავმგზავრდეთო**“ (გვ.40); „ესე მთები **დაგლჯდა** და ერთი მეორესა ეცაო“ (გვ.28); „ქიშმირი სულ **მოგლჯდა** და ანუ მთა მთას ეცაო“ (გვ.464).

ასეთი ფორმები დასტურდება XII-XX საუკუნის საუკუნეთა ძეგლებში და ასევე ქართული ენის დიალექტებში: „ის თანდათან **თომდებოდა**, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა“ (ყაზბეგი, 256. 25); „ბატკანსაც ეტყობოდა, იამებოდა და **ტვრინდებოდა**“

(რაზიკ. 234. 23); „გონება შესდგა, გაყინდა, კაცმა ვერ გასძრა ხელია“ (ყაზბეგი III. 244, 33).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულმა ამ ზმნათა მხოლოდ პრეფიქსიანი ფორმები იცის.

მეგრულ-ჭანურისა და სვანურისათვის დამახასიათებლად მიიჩნევა ვნებითის პრეფიქსული წარმოება, ვნებითის სუფიქსური ტიპი ქართულში გარკვეული დიალექტური წრის მონაცემია. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ XII-XX სს. ძეგლებსა და ქართული ენის დიალექტებში დასტურდება სუფიქსით ნაწარმოები ვნებითი გვარის ზმნათა ფორმები ისეთ შემთხვევებშიც, როცა თანამედროვე სალიტერატურო ქართული პრეფიქსულ წარმოებას მიმართავს.

ვნებითის ისტორიულ ასპექტში განხილვა გვიჩვენებს, რომ წყება ვნებითებისა, ძველ ქართულში რომ პრეფიქსით იწარმოება, თანამედროვე სალიტერატურო ენაში სუფიქსური წარმოებისაა.

„ყარამანიანში“ შემინება ზმნა სუფიქსით იწარმოებს ვნებითს: „ასე შემინდა, რომ შემოდგომის ფურცელივით თრთოლა დაიწყო“ (გვ.423); „დიდად შემინდა და გაოცებულმან ყურება დაუწყო“ (გვ.379); „დიდად შემინდნენ და დასტა-დასტად გაიქცნენ“ (გვ.372).

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ვნებითის გამოხატვაში ისტორიულად გამოხატულებას უნდა პოულობდეს ორი სხვადასხვა დიალექტური წრე, ერთს ვნებითის საწარმოებლად მხოლოდ პრეფიქსები ახასიათებდა, მეორე ამ ფუნქციით სუფიქსურ წარმოებას იყენებდა. მათგან პრეფიქსული წარმოება ქართული ენის ძირითადი და ამავე დროს არქაული ფენის კუთვნილება ჩანს“ (ნოზაძე, 1961: 71).

ვ) კონტაქტის ფორმათა წარმოების თავისებურებანი. ძველ ქართულში კაუზატივის წარმოების სამი მოდელი გვქონდა: პრეფიქსული, პრეფიქს-სუფიქსური და აღწერთი. „ყარამანიანში“ არ გვხვდება კაუზატივის პრეფიქსული წარმოება (შეაწყნარა, მოახილვა, დავამონე), არც ა-ევ აფიქსებიანი ფორმები (გაქმნევს, გათქუმევს, გახწვევს), თუმცა გვხვდება ა-ევ-ის ივ' ვარიანტი წყვეტილში: „ორმოც ჯერ ასი ათასი მეომარი ლაშქარი მოაწვივა“ (გვ.25);

„ყარამანიანში“ კონტაქტს ძირითადად აწარმოებს ა-ინ კონფიქსი: „ძველი ძონძი ტანსაცმელი **მოალებინა**“ (გვ.503); „ჩემთვის უწინვე ლოცვა **ესწავლებინა**“ (გვ.53); „მერე ჩვენ ღვინოს **ჩამოგვარიგებინებენ**“ (გვ.527); „წელსა ოცდაოთხსა თილისმითა **გაექვავებინათ**“ (გვ.37); „ღვენი გაგზავნა და **მოატანინა** მრავალნი თვალ-ნი“ (გვ.680); „მივიდა და რაღაც **ასუნებინა**“ (გვ.650).

იშვიათად დასტურდება **ევინ** მაწარმოებელი: „მერე ჩემს შვილს გაგატანე და იქავ **მომიკვლევინე**“ (გვ.508); „ღვეი დააყენეს და სამირკველი **ათხრევინეს**“ (გვ.674); „დედისერთა არის, გთხოვ ნუ **მოაკვლევინებო**“ (გვ.250); „მინდოდა მომენადირებინა, მაგრამ ვერ **ვაცდევინეო**“ (გვ.602).

უკანასკნელ მაგალითში დიალექტიზმიც გვაქვს.

შუალობითი კონტაქტის წარმოებაში „ყარამანიანი“ ახალი ქართულის ნორმებს მისდევს.

ზ) ცალკეული მწკრივის წარმოების თავისებურებანი. წყვეტილისა და II ბრძანებითის მწკრივებში I-II პირებში ე მწკრივის ნიშანს ამატება ვ(ი) დაბოლოება, სადაც ი ზოგჯერ მოკვეცილია: „აზრად შეკრული მას შიგან **ჩავაგდევიო**“ (გვ.51); „ათარ მუნვე დარჩა და ჩვენ აზრალი **წამოვიღევიო**“ (გვ.52); „ხელმწიფისა წინაშე ეგრე უპატიოდ შეკრული **დავაგდევიო**“ (გვ.53); „მაშინვე ბრძანა, წასვლისა თადარიკი **იწყევითო**“ (გვ.157).

ევ სუფიქსი ნამყო ძირითადის მაწარმოებლად გვხვდება ქართულსა და მეგრულში, სადაც მისი ფონეტიკური ვარიანტებია ე←ევ უ←ევ. გ. როგავამ გამოიკვლია, რომ ის მეგრულის ზმნის გარკვეულ წარმოებას ახასიათებდა დრო-კილოთა ორივე ჯგუფში. ა. ჩიქობავა თვლიდა, რომ აორისტის ე ნიშანი -ევ სუფიქსისაგან მომდინარეობს: ევ>ე (ჩიქობავა, 1938: 407; 1936: 135-136).

ღვენახევი ტიპის ფორმები გამოვლენილია საშუალო ქართულის ძეგლებშიც: **დავაწყევ, გავანდევ, შემინდევ, დავიწყევით** (ვტყ.) **წამოვიღევიო, გავაძღვევიო** (რუსუდ.). გვხვდება სულხან-საბას ნაწერებშიც: „სამი დიდი პური **გამოაცხევ** და შიგ კარგი და პატიოსანი თვლები **ჩადევ**“ (საბა (1) 1991:12).

აღნიშნული ტიპის ფორმები შემონახულია „ქართლურში (ვნახევი, ვნახეი), ზემოიმერულში (ვიყიდევი, ვიყიდეი), იმერულში გვაქვს მოვუსევი, წავუსევი

ფორმებიც“ (ჯორბენაძე, 1998: 652), „ზემოაჭარაში, მუჰაჯირთა მეტყველებაში, ქვემოაჭარულში კი – არა“ (ფალავა, ცეცხლაძე, 2017: 54).

მიაჩნიათ, რომ ეს „ევ სუფიქსი საერთოქართველურია“ (ცეცხლაძე, ახვლედიანი, 2009:40-48).

„ყარამანიანში“ გვხვდება **აარჩივა** ტიპის ფორმებიც: „იმ რგოლს **გამოსწივა** და იგი კარი დალეწა“ (გვ.353); „იმ რგოლს **გამოსწივა** და ის კარები გააღო“ (გვ.353); „ჯადოები **აარჩივა** და საომრად მოემზადნენ“ (გვ.335); „ყარამიჯინმა უმანგის დასტებს **შემოუტივა**“ (გვ.317); „თვით უმანგის ტახტამდის **მიაღწივა**“ (გვ.317); „ასიმს თავისი დანაშაული **აპატივა**“ (გვ.297); „ბარამ ჯიბილ... ლახტი **მოუქნივა**“ (გვ.77); „თვისსა მხეცსა სადავე **ასწივა** და თვისსა ლაშქრისაკენ გამობრუნდა“ (გვ.72).

სპეციალურ ლიტერატურაში ვკითხულობთ: „ზმნის ფუძის მაწარმოებელი ევ სუფიქსი II სერიაში გახმოვანებითაა წარმოდგენილი და გვაძლევს ივს. დიალექტების უმეტეს ნაწილში **ივ> ვ-**ს ჩავარდნით ინტერვოკალურ პოზიციაში: **ავარჩივე> ავარჩიე, აარჩივე>აარჩიე**. „ზოგიერთ დიალექტში: ქართლურში, კახურში, ინგილოურში დაცულია ამოსავალი ფონეტიკური ვარიანტი“ (ჯორბენაძე, 1998: 654).

გ. გოგოლაშვილიც მიუთითებს, რომ „სრული სახით მეორე სერიის ფორმებში ივ სუფიქსი დიალექტებმა შემოგვინახეს. საკმაოდ ხშირია ამგვარი ფორმები XIX საუკუნის მწერალთა ენაშიც (დაგვახვივეს, მძლივა, განმილივა, გაიქნივა, გაუწივა (ალ. ჭავჭავაძე); გააქნივა, ირჩივეს (რ. ერისთავი); მოერივა, მაქცივე (ვაჟა)“ (გოგოლაშვილი, 2010: 396).

ძეგლში მეტად იშვიათად გვხვდება **ივ> ი:** „რა მან მხეცმან ლაშქარი დაინახა, **შემოუტია** და ხანსა უყურეს“ (გვ.57); „ლაშქართავე **შეუტია** და ათას შვიდასი კაცი ჩამოაგდო“ (გვ.78).

მეორე კავშირებითის წარმოებაში ძირითადად ძველი ფორმებია:

„რათაზამის ცოლ-შვილს უნდა სალამში **ვიახლნეთო**“ (გვ. 512). „ჩვენ სამსახურსა თქვენსა ზედან **დავიხოცნეთ**“ (გვ.29); „ერთობასა უნდა **ვეცადნეთ**, ნუთუ სიტყვითა რითმე მოვალროთ“ (გვ.34); „ამდენს **ვეცადნეთ**, რომ ჩვენც გავიქციეთო“ (გვ.634).

ნართაული ი სალიტერატურო ძეგლებში IX საუკუნიდან გვაქვს. ის, როგორც ცნობილია, გაჩნდა უწყვეტელში, პირველ ბრძანებითში, წყვეტილში, მეორე

ბრძანებითში. თანამედროვე ქართულში ი უწყვეტელსა და წყვეტილში მწკრივის ნიშანია. სავარაუდოა, რომ იგი ცოცხალ მეტყველებაში ადრე, VII-VIII საუკუნეებში უნდა არსებულიყო. „ყარამანიანში“ შემონახულია არქაული ვითარება: წყვეტილსა და ბრძანებითის მწკრივებში გვხვდება უნართაულო ფორმებიც:

„**დამეხსენ**, მაგას ეხლავე თავი მოჰკვეთეო“ (გვ.528). „რა ესე სიტყვა მოვახსენე, **მიველ** და ვაკოცე“ (გვ.45); „**წაველ** სახელსა ზედან ღვთისა“ (გვ.48); „მე მთისაკენ **გავიქეც**“ (გვ.68).

მოკლედ, მეორე სერიის მწკრივთა წარმოებისას „ყარამანიანში“ დაცულია არქაული ვითარება.

განვიხილოთ I თურმეობითის წარმოების თავისებურებანი. ძველ ძეგლებში იეს **დაბოლოება** ჭარბობს, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში ია უნდა ყოფილიყო გაბატონებული. ის წერილობით ძეგლებში გახშირდა XI საუკუნიდან. სასულიერო ტექსტებში ძირითადად ძველი ფორმებია, საეროში – მხოლოდ ახალი. ახალი ფორმები გვაქვს ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელში, დავით აღმაშენებლის ანდერძში, XII-XIII საუკუნეების სიგელ-გუჯრებში.

„ყარამანიანში“ გამოვლინდა რამდენიმე ფორმა I თურმეობითისა, სადაც იეს დაბოლოება გვხვდება: „ჩემთვის მრავალს ალაგს თავდადებით **გიმსახურებიეს**“ (გვ.66); „გვირგვინი მისი ესრეთ ცარიელი **დაუტევებიეს**“ (გვ.67); „ყარამანს ღამე საცმელი სამოსელი **შეუმოსიეს**“ (გვ.100).

ძეგლში უფრო ხშირად გვხვდება პირველი თურმეობითის ახალი დაბოლოება: „სარდალი ერთის დაკვრით ოთხად **გაუკვეთია**“ (გვ.398); „მას აიარსა უთხრა: ჰე, წყეულო, ეს რა **გიქნია?**“ (გვ.65); „ეს რა სათაკილო საქმე დაგმართვიაო ერთი ქვეითისგან, რომე თქვენ ორთა პასუხი ვერ **მიგიციათ**, შენი ამხანაგი **შეგიპყრია** და შენ გამოქცეულ ხარო“ (გვ.70); „რაჰინდს რომ ბრძოლის ღონე აღარა **ჰქონია**, **დამორჩილება** და თავისი ასული სარვიხურამან ყარამანისათვის ცოლად **მიუცია**“ (გვ.398); „იმა ჭაბუკსა თავთაგან ჰკუა **დაფანტვია** და უცნობო ქმნილა“ (გვ.85); „სრულიად ხმელეთი **მოგივლია** და ეგრეთვე ზღვა და ამისთანა აბა სად გინახავსო? (გვ.531); „საშუალ ამა ციხისა ერთი მაღალი მინარა **აუშენებია** ამ ვეზირსა“ (გვ.551);

„ვინ იცის, უმანგს რამდენი ხელმწიფენი ამოუწყვეტია“ (გვ. 332); „ესე ლაშქარი, რომელ შეგიყრიათ, რომლისა ხელმწიფისაკენ დაგიმართებიათო?“ (გვ.35).

იეს' და ია' დაბოლოებიანი პირველი თურმეობითის ფორმები ზოგჯერ გვხვდება ერთმანეთის გვერდიგვერდ: „აწ ხელმწიფე იგი შვიდთა იყლიმთა მპყრობელი წყეულითა მათ გრძნეულთა წარუტაციათ, ტახტი და გვირგვინი მისი ესრეთ ცარიელი დაუტევებებს“ (გვ.67); „მტერი შენი დამიმორჩილებიეს, ყარამანის ფალავნობა დამითრგუნავს და სპანდიერ ბარი, ძლიერი ფალავანი, შენდა შემწედ მომივლენიაო“ (გვ.102).

ავ/ამ თემისნიშნაან ზმნებს I თურმეობითში შენარჩუნებული აქვს თემის ნიშანი: აუმართავს, გისვამს, გიხილავს, მოუკლავს, განგიძრახავს: „ორი კაცი ოქროსი აუმართავს“ (გვ.551); „რომელი შენ განგიზრახავს, ღმერთო, ძნელად გასაჭირავი არისო“ (გვ.100); „შენ ერთი შარბათი გისვამს და გემო მისი გიხილავს“ (გვ.50); „ვის მოუკლავს, ან ჩვენ რა დაგვმართია“ (გვ.54).

„ყარამანიანში“ დასტურდება გარდაუვალ ზმნათა I და II თურმეობითის მეშველზმნიანი ფორმები: „ჰეიათის მინდორში ვიმყოფებოდი და მენ აღზრდილ ვარ“ (გვ.35); „ყაფის მთაში ვითარ ჩავარდნილ ხარ“ (გვ.35); „იგი ორნი ქვანი სახედვე თვისად ნამძინარევსავით გაშტერებულ იყვნენ“ (გვ.54); „ხლმად გარდაქცეულ იყვნენ, მაგრამ მისსა თილისმაში მრავალჯერ ჩავარდნილვიყავი“ (გვ.52); „ამის შეპყრობისათვის მოვსულ ვარ (გვ.50); „მის მხეცისა შიშითა მარტორქა ანუ სპილო და ცხენი დამფრთხალ იყვნენ“ (გვ.59); „სახელოვანი ფალავანი მოიკითხეს და არა მოსრულ იყვნენ“ (გვ.82); „ლაშქრითა ჩემითა უმანგ- შაჰზედა წარსრულ ვიყავ“ (გვ.60).

გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი: „იმას მოუპარივარ, ის წყეული თავის თავს ღმერთს ეძახის“ (გვ.347); „მისსა საქმესა გაუკვირვებვივარო“ (გვ.84).

სტატიკურ ზმნათა აწმყოშიც ზოგჯერ ახალი დაბოლოება იჩენს თავს: „როგორი ტანისამოსი გმოსიაო?“ (გვ.506).

ი) რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნებში უმეტესად დაცულია წესი:

„მაშინ ანაზდად ინდოთა აიარნი მოცვიდნენ“ (გვ.94); „ფალავანნიცა მრავალნი ცხენთაგან გარდმოცსცივდნენ“ (გვ.98).

თუ ერთ შემთხვევაში მთარგმნელი ვარდნა ზმნის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად იყენებს სალიტერატურო ფორმას, სხვა შემთხვევაში – ცოცხალი მეტყველებისას:

„ინდონი მრავალნი ცხენისაგან გარდმოვარდნენ“ (გვ.71); „პირველსავე მისვლასა მრავალი კაცი ცხენისაგან გარდმოვადეს“ (გვ.69); „ლაშქართავე შეუტია და ათას შვიდასი კაცი ჩამოვადო“ (გვ.78).

ასევეა გდება' ზმნის შემთხვევაშიც: „მრავალთა ფალავანთა თავი უპატიოდ ცხენტა ქვეშე ეყარა“ (გვ.98); „ოთხსავე ჩარხსა დიდროვანი ჩარხები ესხათ“ (გვ.474); „ოთხმოცი იგი ფალავანნი ძირს გარდმოყარა“ (გვ.79).

კ) ცალკეული ზმნის თავისებურებანი. ძველ ქართულში ზმნის თხრობითი და ბრძანებითი კილოს ფორმები განსხვავებული იყო: ბრძანებითის ფორმები არ დაირთავდა სუბიექტური პირის ნიშანს, თუ ზმნა თანხმოდანზე იწყებოდა, ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან კი განსხვავება არ ჩანდა, ის მოიშალა IX საუკუნიდან. ეს წესი მხოლოდ ერთმა, მოსვლა ზმნამ შემოგვინახა: მოხუედ (ი) წყვეტილია, თხრობითი კილო, წარსული დრო: მოვედ (ი) > მოედ(ი) > მოდი II ბრძანებითია, მომავალი დრო, ბრძანებითი კილო ძველ ქართულში მოვედ თანაბრად გამოიყენებოდა წყვეტილის I პირშიც და II ბრძანებითის II პირშიც.

მოსვლა' ზმნა „ყარამანიანში“ თავისებურია: წყვეტილის მწკრივში გვაქვს ვედ' ფუძის ნაცვლად ველ': „მიველ და ხელმწიფისა წინა მიწასა ვაკოცე“ (გვ.45); „მიველ, თაყვან ვეც და მოვახსენე“ (გვ.754); „თავი გარდავსდეც და წაველ“ (გვ.49); „რა ქალაქსა შიგან შეველ, პირველ მიველ“ (გვ.46).

აქვე დასტურდება II ბრძანებითის ფორმებიც: „თუ ძალგიც, მოვედ და შევიზნათ“ (გვ.41); „გავედ და ამა კარავსა გარეთ თუ ვინმე იყოს, შემოიყვანეო“ (გვ.92).

ხშირია მომავალი დროის გადმოცემა კავშირებითის მწკრივით: „თუ ღვთითა შემოვხვდე, შევიპყრა და თქვენსა წინა მოვიყვანო“ (გვ.34); „რას წამს გამოგელვიძოს, უშანგ-შაც წამოიყვანე“ (გვ.88).

2. 7. სახელზმნა

§1. საწყისი. „ყარამანიანში“ გვხვდება ა ხმოვანზე გათავებული საწყისები: თავაზა და თამაშა. ძეგლზე დართულ ლექსიკონში თავაზა შემდეგნაირადაა განმარტებული:

დარბაისლური ყოფაქცევის წესი, თავაზით ექცეოდნენ, პატივისცემით, მოკრძალებით ეპყრობოდნენ: „აქამდისინ თავაზა მეყო, მემკვიდრე მე ვარ“(გვ.560); „სარვიხურამანის თავაზა როგორ იქნება ომშიო“(გვ.405).

თამაშა: „ფალავანი გამოგზავნე და შენ თამაშა მიყურეო“(გვ.409); „ლომის მსგავსად გულოვნად იდგა და თამაშას უყურებდა“(გვ.305); „მოედანზედ ფალავანი გამოგზავნე და შენ თამაშა უყურე, რაც დავმართო“(გვ.403); „დასტა-დასტად დაეწყვნენ და იმათ თამაშას უყურებდნენ“(გვ.392).

აქვე გვხვდება **თამაშიც:** „მამაცნი ერთს ოქროს ტახტს შემოხვეულან ციხეში თამაშს უყურებენ“(გვ.375).

თამაშობა, თამაშა თათრულად სანახავსა ჰქვიან, ხოლო თამაშობა ქართულად მღერა-შექცევათა სახელია Z (საბა (1) 1991: 298). ამის შემდეგ საბას მოჰყავს, თუ რამდენ სახეობად იყოფა ქართული თამაშობა. რაც შეეხება „თათრულ“ თამაშას, სეირი, სანახაობა, გართობის მნიშვნელობითაა კლასიკურ და აღორძინების ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებში („ვეფხისტყაოსანი“, „შაჰ-ნამე II“ (419,2), „რუსუდანიანი“ (374,5), „თეიმურაზ I“(208,3), „არჩილიანი“ (329,1).

თამაშა (არ. იმოდრავა, წავიდა, იმოქმედა, იმუშავა). ახალ სპარსულში ნიშნავს „სანახაობას, წარმოდგენას, სპექტაკლს“.

„ვეფხისტყაოსნის“ **თამაში, თამაშობა** მნიშვნელობით უფრო ახლოსაა ამოსავალ არაბულ ფორმასთან – მოძრაობა, სიარული, მოქმედება, გასეირნება, გართობა, რაც ამტკიცებს უშუალოდ არაბულიდან მომდინარეობას.

მ. ანდრონიკაშვილი მიიჩნევს, რომ ამავე ძირიდან უნდა იყოს მიღებული ქართ. მუშა, მუშაობა, მუშაკი (ანდრონიკაშვილი, 1966:315). სპარსულიდან მომდინარედ თვლის აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს დ. ჩუბინაშვილიც: „სპარსულად შექცევა თვითოგვარი: უცხო სანახავი რამ“ (ჩუბინაშვილი, 1984: 546). ი. აბულაძის მიხედვით, სპ. **თამაშა** იგივე თეატრი, დროს გატარება, მხიარულება, შექცევაა. გ. წერეთელი მის არაბულ წარმომავლობაზე მიუთითებს: ნელა სიარული, აქეთ-იქით სიარული, სეირნობა; შდრ.: ქართ. თამაში (წერეთელი, 1951: 242).

არაბულ-სპარსული ეტიმოლოგია უდასტურდება ამ ლექსემას ი. ვულერსის ლექსიკონშიც(Vullers, 1866: 460). ოსმალურ და თურქულ ლექსიკონებში temaşa

არაბული წარმოშობის ლექსემაა – სანახაობა, სპექტაკლი, დადგმა (თურქულ-რუსული ლექსიკონი, 1977: 845).

თამაშა ფორმა ქართულში დაახლოებით XII საუკუნიდანაა შემოსული. „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული ფორმა მის უშუალო სესხებაზე მეტყველებს, ხოლო აღორძინების ხანის ტექსტებში დაფიქსირებული „სანახაობა, წარმოდგენა“ მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება და სავარაუდოდ, თურქულს უკავშირდება. ქართული (ობა) დერივატის დართვით მიღებულია ახალი სიტყვა – „თამაშობა“.

სწავლა, ქება, უსამართლობა – ეს სახელები მრავლობით რიცხვს არ აწარმოებენ, მაგრამ „ყარამანიანში“ გვხვდება საწყისთა და აბსტრაქტულ სახელთა ებიანი მრავლობითის ფორმები: „მრავალი რამ **სწავლაები** დაარიგეს“(გვ.559); „მრავალი ამისთანა **სწავლაები** უთხრა“(გვ.559); „იმდენი რამ სამეცნიერო **სწავლაები** მოახსენა ყარამანსა, რომ ამ ეშმაკის საფრთხიდან გამოიყვანა“(გვ.572); „მრავალი სხვა **ქებაებიც** კიდე თქვეს“(გვ.625); „ამგვარი **უსამართლობაები** ჩაიდინეო“(გვ.627).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მრავლობითის ებ სუფიქსი ა-ზე დაბოლოებულ სახელებში არ მოქმედებდა, ა’ე კომპლექსი არ იცვლებოდა თითქმის XIX საუკუნის I ნახევრამდე და ამით აიხსნება, რომ „ა“ ჯერ კიდევ შემონახულია ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებსა თუ სხვათა ნაწერებში“(ქავთარაძე, 1964: 286).

§ 2. მიმღეობა. ძეგლი საინტერესოა იშვიათი მიმღეობებითაც: „მას თან მისი **მომხმარო** არავინ მიუშვანო“ (გვ.69); „რა მცირე ხანი გამოხდა, მოვიდა იგი მათი **მწე**“(გვ.166); „**შემცოდე** ვარ, ამისთვის მაგას გამოვექეცით“(გვ.76); „ხელსახოცი გარდაიგდო და ვითა **შემცოდე** დადგა“(გვ.110); „ჩემის სამსახურის **მონატრენი** არიან“(გვ.249).

მ-ო და მ-ე და მო-ე აფიქსიანი მიმღეობები ნიშანდობლივია საშუალო ქართულისთვის. ასეთი მიმღეობები გვხვდება სამხრულ მეტყველებაშიც: **გამხილო, მომხმარო, მომფერო**: „**თვალგამხილო** რომ იქნება, მოძებნის“ (ჩვენებ. 160); „ისინი ჩუენი **გამრიგო** არიან“ (იქვე); „ეს კაცი ჩემი **მომხმაროა**“(იქვე, 510); „ძალიან **მომფერო** კაცი იყო“ (იქვე).

„ყარამანიანში“ **მედგარი** გამოიყენება ახალი მნიშვნელობით: „მოედნით გავიდნენ და ერთისა მთისა ძირსა **მედგრად** იბრძოდნენ“(გვ.82); „მაშინ მხეცმან **მედგრად** იწყინა“(გვ.58).

მეცნიერი აქ მცოდნესაც ნიშნავს და ნაცნობსაც: „ესრეთ მეცნიერნი და ტკბილმოუბარნი იყვნენ, რომელ, თუ ვსთქვა, გველსა ხვრელით აღმოიყვანდნენ“(გვ.116); „ფერიამ თვისნი მეცნიერნი, მუნაჯიბნი და მერამლენი მოასხმევიანა“(გვ.196).

მეცნიერის' გვერდით გვხვდება მცნაურიც - „ერთსა თავისსა მცნაურსა მეთილისმესა შემოხვდეს“(გვ.52).

მ/ არ და მა-არ აფიქსები ხშირად სხვა აფიქსებს ცვლის. მოსაწონის ნაცვლად გვაქვს მოსაწონარი, მაქებელის ნაცვლად – მაქებარი: „რა შინა შევიდა, ველი იყო ტურფა, მოსაწონარი“(გვ.64); „ათასიმცა მაქებარი გვერობს ესრეთ ცნობისათვის“(გვ.92).

ძეგლში დასტურდება არქაული მიმღეობები, რომელთა ამოსავალიც საწყისის ფუძეა: „ესე ჩემად იადგარად დარჩომილ იყო“(გვ.131); „ისარი ჰქონდა ნაკრავი და ის ნაკრავი ისარი შიგვე იყო დარჩომილი“(453); „რაჰინდცა მის მთისაკენ წაბრძანდა და ნარჩომნი სარდალნი“(გვ.69).

ზოგ ფორმას არქაიზაციის ელფერი დაჰკრავს: „ასეთი ღარიბი კაცი ვარ, საკრავთა მცოდნელი“ (გვ.92); „ასე მგონია ტანი სულ დანაყული მაქვსო“ (გვ.260). „ყარამან თვისი ნაქმარი საქმენი მოიგონნა“ (გვ.40).

საწყისსა და მიმღეობაშიც ზმნისწინი ძირითადად არქაული ფორმით გვხვდება: „ყარამანს მცირე უწყდა ცხენიდამ გარდავარდნასა“(გვ.31); „ამა ლახტისაგან ყარამანის გარდარჩენა განიცადა“(გვ.32); „და გარდასავალი თვისი ჰკითხა“(გვ.39); „მის თავსა ერთი კომკი იყო აღგებული“(გვ.49); „აღრაფ განკვირვებული და შეწუხებული იკითხვიდა, ეს რა უნდა იყოსო“(გვ.397).

2.8. უდეტრები

„ყარამანიანში“ გვხვდება ბრუნვის ფორმისგან მიღებული ზმნიზედები. თავდაპირველად განვიხილოთ ზმნიზედები მიცემითის ფორმით: „მივიდა, მძიმედ ძირს თავი დაუკრა“(გვ.38); „ყათრან ცხენისაგან აიყვანა და შორს გასტყორცნა“(გვ.32).

ადგილის ზმნიზედა: „ზეცით ანგელოზთა ყურება დაუწყეს“ (გვ.39); „თუ მაგათი დახოცვა მდომოდა, მუნვე დავხოცდი“(გვ.409); „ყარამანმა თვისი ხელით მიწითგან ააყენა, ხელი მოჰკიდა, გვერდით დაისვა“(გვ.202); „ქვე იჯდა და სხვანი შორად

იღგენ“ (გვ.35); „მის **გარშემო** სრულიად აღმასის შუშებით და ბასრი ხანჯლებით შემოჭედეს“ (გვ.226); „ესენი ყველანი **ქვე** დასხდნენ“ (გვ.39); „მანამდის ცასა ქვეშე მზის ბრუნვა არ მოიშლებოდეს, მანამდის ცასა **ქვეშე** მზის ბრუნვა არ მოიშლებოდეს“ (გვ.237).

ვითარების ზმნიზედები: „მათ შიგან **დიდად** სახელოვნად გამოჩნდა“ (გვ.24); „ლაშქრისა სიდიდითა **ნელიად** ვიდოდა“ (გვ.26); „**სწრაფად** მფრინავსავით წინ მიეგება“ (გვ.35); „**მსწრაფლ** განემზადნენ ხელმწიფისა სავნებლად“ (გვ.24); „**სწრაფლ-სწრაფლად** მიმოიხედვიდენ“ (გვ.103); „ლაშქრისა სიდიდითა **ნელიად** ვიდოდა“ (გვ.26); „ხელმწიფემ უბრძანა, **ჩქარა** უნდა მოხვიდეო“ (გვ.412); „ესრეთ დაცემული ნახეს და **ერთობით** შემოუტის“ (გვ.30); „ყარამან დიდის **თავაზით** მოყვანდათ“ (გვ.37); „ამ ხაზინაში თქვენი ხელმწიფობის შესაფერია, **მეტობითაც** მიირთვიო“ (გვ.416).

დროის ზმნიზედები: „**მარადის** ანგელოზნი მცველად მისდა არიან“ (გვ.23); „**წინათ** ერთი ფალავანი მოვიდა“ (გვ.57); „**საღამომდინ** ოცდაშვიდი ფალავანი კიდევ შეიპყრა“ (გვ.410); „**ამჟამად** ჰეითალი ჯანგი ჯუმ ხელმწიფეს თავი დაუკრა და **მაშინვე** ხმაღს ხელი მიჰყო“ (გვ.409); „**იმჟამად** უმანგ-შას აიარები იქ იყვნენ“ (გვ.411); „**იმავე** **ჟამად** იქით მხარეს ყაჰარიაზამ მოახსენა რაიაზამს“ (გვ.417); „**მერმე** მეჯლისში დაბრძანდა და გაიმართა მეჯლისი“ (გვ.408); „**ხვალ** უპოვნელს რა გაუშვებ და ხელფეხშეკრულს აქ მოგართმევო“ (გვ.403); „**დილით** საღამომდინ იბრძოლეს“ (გვ.32).

ზომა-ოდენობის ზმნიზედა: „მცირე ხანს ყურება დაუწყო და იმათაც **ერთობით** შემოხედეს“ (გვ.472); „იმისი ხაზინა **სრულებით** იავარ ვჰყოთ“ (გვ.417); „ეს ცხენოსნები **სულ** ქვის თილისმით იყო ნაკეთები“ (გვ.468); იმის ქონებას **სულ** მოგართმევ“ (გვ.462).

ჯერობის ზმნიზედები: „სიმხნითაც ჩვეული ვარ **მრავალგზის** მტერზე ძლევასა“ (გვ.411); „**ოცდაათჯერ** ასი ათასი ლაშქარი დარაზმეს“ (გვ.253); „**მერე** **ორმოცჯერ** თვისი მშვილდი მოსწივა“ (გვ.283); „ამ გვარი საქმე **მრავალჯერ** უქმნია სააბყირანსო“ (გვ.195).

განვიხილოთ **თანდებულის** ხმარების თავისებურებანი „ყარამანიანში.“ გამოსვლითობის გადმოცემა ძველ ქართულში ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იყო ით-სუფიქსიანი მოქმედებითი ბრუნვისა. ამავე ფუნქციით გვხვდება ძველში **გან** თანდებულიანი მოქმედებითი: „**ორმოცნი** დევნი გასწევდნენ და **ადგილისაგან** ვერ

დასძრევდიან“(გვ.25); „სარტყელსა ხელი მიჰყო, **ცხენისაგან** აიყვანა და თავსა შემოევლო“(გვ.27); „რა ყათრან **ცეცხლისაგან** უვნებლად გამოვიდა“(გვ.32); „**მარტორქისაგან** გარდახდა და შესუსტებული მოსვენებას მიეცა“ (გვ.33); „რაცა ეცვა, **ტანისაგან** გაიხადა და წყლით დარეცხა“(გვ.33); „მაშინ ყარამანმან **გვერდებზე** ხელები შემოიხვია“ (გვ.136).

ჯამითგან, ღვიძლითგან ფორმებში **გან** თანდებული ჯერ არ ქცეულა **დან’-ად** „რომე იმ **ჯამითგან** ამისი მოპირდაპირე აღარავინ გამოჩენილა“(გვ.29); „საზარელი სულთენა **ღვიძლითგან** აღმოახდინა“(გვ.23); „**დღეიდგან** ადამიანთ ქვეყანაში მივალთო“(გვ.364); „სიბერისაგან თავები **მუხლიდგან** ვეღარ აეცილებინათ“(გვ.349).

ძეგლში დაცულია არქაული ვითარებაც, თანდებული ზოგჯერ დამოუკიდებლადაცაა წარმოდგენილი: „ფალავანი მივიდა და მას **შიგან** ჩაჯდა“ (გვ.246); „ორნი ფალავანნი ცეცხლსა **შიგან** აღარ ჩნდებოდნიან“(გვ.32); „**ჟამამდე** მას **შიგან** იჯდა“ (გვ.158); „ოთხს წელიწადსა ბიაბანსა **შიგან** ეგრეთ დავდიოდი“(გვ.46); „თავი გვამსა **შიგან** ჩაუძვრა და იგიცა მოკვდა“(გვ.105).

აქვე დასტურდება გამარტივებული ში’ თანდებულისანი ფორმები, თუმცა იშვიათად: „თითოს თვალითა **ჰაერში** იყურებოდნენ“(გვ.62); „მერე **ხაზინაში** შევიდნენ“(გვ.528); „რამდენიმე გემი ამათი ასე დადის ამა **ზღვაში**“(გვ.524); „რა **ლხინში** შევიდნენ, მერე ხელმწიფემ გარდანქეშანს ინდის ამბავი ჰკითხა“(გვ.530); „**მეჯლისში** და **ლხინში** როდესაც გამხიარულდებოდა, ორმოცს უღელს ზღვის ხარს თურმე შეაბმევინებდა“(გვ.559).

ამ ძეგლის თავისებურებაა ის, რომ ვით **თანდებულისან სახელთან** მსაზღვრელი სხვადასხვა ბრუნვაში(მიცემითი, ნათესაობითი) გვაქვს: „**მთვრალს ლომსავით** ბრდღვინევდა“(გვ.484); „რა მცირესა ხანსა **ნაცემს კაცივით** ეგდო“(გვ.271); „**მთვრალს სპილოსავით** სარჯანს შეუტივა“(გვ.277); „ხელთ ეპყრა და **მთვრალის ლომსავით** იდგა“(გვ.483).

საკვლევ ტექსტში დასტურდება **ზედან** ფორმაც. იგი ცალკეც გვხვდება და დაერთვის სახელსაც. ის ზემოაჭარულისთვისაა დამახასიათებელი: „ესე იყო მორჭმული და აღსრულებული ყოველსა **ზედან** სპარსეთსა“(გვ.23); „მაღალი კოშკი დაგხვდება და მას **ზედან** ერთი ტახტი დგას“(გვ.48); „იგი ნიშანი მას **ზედან** ვნახე“

(გვ.49); „ყოველივე მთები თავზედან დამექცაო“(გვ.32); „ფალავნობის სახე ეტყობა, თვისსა რიგზედან გაეზარდათ“(გვ.24); „მარჯვენა ხელი მარცხენას გვერდზედან შემოიხვია“(გვ.28); „იგინი რიგზე ფერხზედან იდგენ“(გვ.77); „ფალავანი ქალსა ყელსა მოეხვია, პირი პირზედან დასდვა“(გვ.89); „თოთხმეტი ათასი მარტორქაზედან მსხდომნი ფალავანნი“(გვ.27); „მას კუბოსა ზედან ესრეთ ეწერა“(გვ.133).

ზედან დასტურდება სხვა წერილობით ძეგლებშიც: ტარიელ შავსა **ზედან** ზის (ვტყ.), **დილაზედან** (თეიმურაზ II); **ცეცხლზედან** (გრ. ორბელიანი); „გვხვდება ზემოაჭარულშიც“ (ფაღავა, ცეცხლამე, 2017: 25).

აქვე გვხვდება გამარტივებული **ზედ** ფორმაც:

„ჯარი გავისტუმროთ ერანის **ჯარზედაო**“(გვ.506); „რომ შენისთანა **ქვეყანაზედ** არა დაიბადოს რა“(გვ.484); „შენ რომ წერილი გაქვს, **ფანჯარაზედ** დაჰკიდე“(გვ.476); „და მათ დევთა თავის **სჯულზედ** შეჰფიცეს“(გვ.479); „**ზულუმისტანზედ** წამოვალ ხოლმე“(გვ.620); „**გზაზედ** მრავალს ჯაფას ვნახავ ხოლმეო“(გვ.620); „ამის შიშითა ამ **გზაზედ** ვერ გამომივლიაო“(გვ.620).

„ყარამანიანში“ **მდე/მდის** თანდებული წარმოდგენილია სალიტერატურო და დიალექტური ფორმებით:

მდის: „ვიდრემდის ცეცხლისა ნაპირსა ვიყავ, ცეცხლისა სიცხე მწვევდა“(გვ.49); „რომელთა სისხლნი მეორედ **მოსვლამდის** ლაღადებს“(გვ.177); „თვით უშანგის **ტახტამდის** მიაღწივა“(გვ.317); „აიღებდის ორმოცდაშვიდ ხარსა და მიწასა ზედა **დასცემდის** (გვ.25); „მანამდის ცასა ქვეშე მზის ბრუნვა არ მოიშლებოდეს, **მანამდის** ცასა ქვეშე მზის ბრუნვა არ მოიშლებოდეს“(გვ.237).

მდინ: „რომ აგერ **ციხემდინ** მოგვყვებიანო“(გვ.545); „**სალამომდინ** ესრეთ იბრძოლეს“(გვ.489); „ეგრე იბრძოდეს მას ღამესა **განთიადამდინ**“ (გვ.70); „და იგი ფალავნები **სალამომდინ** იბრძოდნენ“(გვ.490); „აქედან ჩენს **ქვეყნამდინ** რამდენსამე წლის სავალი არის“(გვ.541).

აქვე დასტურდება **მდისინ** თანდებულიანი ფორმებიც: „შეჯდა და თავით **ფეხებამდისინ** ფოლადისა საჭურველითა შეიჭურვა“(გვ.67); „და მიაღწიე იმა **თოკამდისინ**“(გვ.494); „სწორედ რომ **იქამდისინ** ცურვით მიაწიო“(გვ.493); „დილით **სალამომდინ** იბრძოლეს იგი შეიყარნენ, **მწუხრამდისინ** იბრძოლეს“(გვ.75);

„**მუხლამდისინ** მომდინარეს წყაროსავით“(გვ.545); „**მოსვლამდისინ** მაგ საქმეს სხვა ვერავინ შეძლებს“(გვ.484).

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ **მდის** და **მდინ** ნაირსახეობათა კონტამინაციით მიიღება **მდისინ/ მდისი**, რომელიც დასტურდება „კახურ, ქართლურ, მთიულურსა და თუშურ დიალექტებში“(ჯორბენაძე, 1998: 578).

„ყარამანიანში“ ხშირია **დამ თანდებულიანი** ფორმები:

„ლაშქართაც ოთხისავე **მხრიდამ** დენა შექნეს“(გვ.507); „უშანგის სახელს **ქვეყნიდამ** აღმოვხოც“(გვ.502); „საჩქაროდ **გემებიდამ** ნავთი მოაზიდინეს“(გვ.545); „იგი კაცი ამ **სახლიდამ** გასული იხილა“(გვ.494); „მე **იქიდამ** თქვენ ნიშანს მოგცემთ“(გვ.494); „ამ **ქალაქიდამ** სულ ერთობით მათხედ მიდითო“(გვ.545); „ამ **ციხიდამ** ერთს ქვასაც ვერ გაიტანს“(გვ.498).

-**დამ** თანდებული გვხვდება საშუალი ქართულის ძეგლებში, ქართული ენის ბევრ დიალექტში, დასტურდება აღმოსავლურ კილოებშიც (კახურში, ქართლურსა და ფშაურში) და სამხრულშიც.

თ. ჩოხარაძის აზრით, „დამ, ჩანს, ცოცხალი მეტყველებიდან შევიდა სამწერლობო ენაში. გამომდინარე აქედან, სალიტერატურო ენაში იგი დიალექტიზმად შეიძლება ჩაითვალოს“(ჩოხარაძე, 2017: 91).

ამავე ძეგლში დასტურდება „**დაღმე**“ ფორმაც. როგორც ვიცით, **დამ** მომდინარეობს დაღმე ზმნისართისაგან, რომელმაც გამარტივების პროცესში რამდენიმე საფეხური გაიარა: **დაღმა>დაღმე>დამე>დამა>დამ** (იხ. ჩიქობავა არნ., ერთი უცნობი თანდებულის შესახებ ქართულში, ენიმკის მოამბე, I. ტფ. 1937; ფაღვაძე მ., თანდებული სამხრულ კილოებში. კრებული ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, III. 2011: 231-256).

„კაცსა **უნაგირიდაღმე** მოხდიდა, მეორეს შემოსტყორციდა და ორივე უსულო იქნებოდიან“(გვ.70).

„ყარამანიანში“ დასტურდება თავისებურებები თანდებულთა გამოყენებისას, **კენ** თანდებული დაერთვის **შინათ** ფორმას. შესაბამისად, გვაქვს **შინისკენ** ფორმის ნაცვლად **შინათკენ**. მაგ: „ესენი **შინათკენ** წავიდნენ“ (გვ.494); „გარდანქეშანიც **შინათკენ** გამოემართა“(გვ.482); „**შინათკენ** წასასვლელად დაემზადა“(გვ.199).

„ყარამანიანში“ გვხვდება ერთი საინტერესო მოვლენა: **უკან** გამოიყენება **შემდეგის** ნაცვლად:

„**მცირე ხანს უკან** გარდანქეშანი სარაიასა შიგან შემოვიდა“ (გვ.191); „**ათ დღეს უკან** თუ რომ ყარამანცა და უშანგ ხელმწიფეცა და ეგრეთვე რომელნიც თქვენი ძმანი იქ არიან“ (გვ.423); „**მცირე ხანს უკან** ხელმწიფემან ჰკითხა ამათ ვინაობა“ (გვ.414); „**მცირე ხანს უკან** ორი სპილოზე მსხდომი უცხო კაცი იახლნენ“ (გვ.421); „**მცირე ხანს უკან** სამხიარულოს ნაღარას ჰკრეს“ (გვ.421); „**რა მცირესა ხანს უკან** დამშვიდდა, თვისთა დიდებულთა უბრძანა“ (გვ.244); „**სამ დღეს უკან** ბალის ბოლოსა ორად გაკვეთილი წყალი ეყრებოდა“ (გვ.467); „**ფალავანნი ერთ საათს უკან** ცნობას მოეგნენ“ (გვ.524); „**ფალავანნი ერთს საათს უკან** გონებას მოეგნენ“ (გვ.307); „**ცოტა ხანს უკან** გარდანქეშან წამოდგა“ (გვ.518); „**მას უკან** ქეთან-შაჰის კარავსა შეიყარნენ“ (გვ.246); „**მცირე ხანს უკან** ნახეს, რომ ერთი კაცის თავი გამოჩნდა“ (გვ.223); „**ხანსა რაოდენსამე უკან** ესე შვიდნი ხელმწიფენი სავზაბარში ერთად შეიყარნან“ (გვ.202); „**მასუკან** ბაჰმან-შამ და რაჰინდ ყარამანს მიესალმნენ“ (გვ.189).

შემდეგის ფუნქციით **წალმაც** შეგვხვდა: „**დღეის წალმა** თქვენის ბრძანების მორჩილნი ვართ“ (გვ.394).

საინტერესოა შ. აფრიდონიძის მოსაზრება: „**უკან** ტრადიციულად მომდევნო, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად გამოიყენებოდა: მოგვიანებით დროული ფუნქციის შესუსტებამ ამ სიტყვას დიალექტური ჟღერადობა შესძინა და მას **შემდეგ** შეენაცვლა, რომელსაც სინონიმებს შორის (**უკან, მერე, აქეთ**) ამჟამად გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ქართულ სალიტერატურო ენაში“ (აფრიდონიძე, 1984:256).

მერი ცინცაძემ „**უკან**“ სიტყვის მნიშვნელობა და სინტაქსური ფუნქცია იკვლია კლარჯულში და გამოავლინა, რომ ეს სიტყვა გამოიყენება **შემდგომი ვითარების**, მომავალში შესრულებული მოქმედების გამოსახატავად:

„**შვადლი უკან** არ ისაქმავს“ (ქლასკური); „**ათი-თორმეტი წლის უკან** გურჯი არ დარჩეს“ (ჯივანი); „**დაარგავ, იმის უკან** ყველამფერი იქნება“ (შირინსულიე).

„**უკან**“ სახელთან ერთად კლარჯულში იშვიათად გამოხატავს წარსულში მომხდარ მოქმედებასაც, დაერთვის იგი უმეტესად ნათესაობითს: „**თორმეტი დღის**

უკან ზადრამზე იყო“ (კირნათი); „ორი კვირის უკან წევდენ“ (ჰამიდიე); „ხარბი რომ გამოსულა, იმის უკან ჩამოვდა“ (ცინცაძე, 2015: 43).

თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, „ყარამანიანში“ უკან სიტყვის გამოყენება **შემდეგის** ნაცვლად არქაიზმია.

განვიხილოთ **ნაწილაკის** თავისებურებანი. „ყარამანიანში“ წესისამებრ **მეთქი** ნაწილაკი გამოიყენება, როცა პირველი პირი იმეორებს თავისივე ნათქვამს და იგი დეფისით გამოიყოფა:

„თქვენსავე სამსახურში **წარმომგზავნა-მეთქი**“(გვ.47); „სიცოცხლესა ჩემსა შენ **გმსახურო-მეთქი**“(გვ.47); „აგრევე თქვენის სახით **შეიქენით-მეთქი**“(გვ.55); „ესენი ვითარღა **მოვარჩინო-მეთქი**“(გვ.51);

„ყარამანიანში“ ხშირად **თქო მეთქის** ნაცვლად გამოიყენება: „მე ასე **გირჩევ-თქო**“(გვ.505); „იქ მიმიყვანეს და თავს **მჭრიდნენ-თქო**“(გვ.505);

მრავლობით რიცხვში წესისამებრ გამოიყენება **ო**: „ჯარი გავისტუმროთ ერანის **ჯარზედაო**“(გვ.506); „რა დაგმართნია და ან როგორ **გაცვიაო**“(გვ.506); „შეიძლება, იქ უნდა **მოკვდესო**“(გვ.518).

არქაიზმია ის, რომ „ყარამანიანში“ კითხვას აწარმოებს ა ნაწილაკი, რომელიც დასტურდება „შუმანიკის წამებაშიც“ („**უწყია**, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა?“ (შუმ.გვ.26)) და „ყარამანიანშიც:“ „რა ესე სიტყვა ყათრან გაიგონა, ჰკითხა: ჰე, სახელოვანი ჭაბუკო, მე შენ ევე **უწყია**, რომლისა გვარისა ხარ?“ (გვ.35);

ადამიანი გარესამყაროს მოვლენებს სხვადასხვანაირად აფასებს, ამიტომ შორისდებულებში სუბიექტური შეფასებაა მოცემული. წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს:

ა) **მწუხარება** ტექსტში გამოხატულია შემდეგი შორისდებულებით: **ვაიმე, ვაი/ვა**: „**ვაიმე ვაიმე**, შენ ჩემს წასვლაზედ არას დროს კარგს არ იტყვი“(გვ.413); „**ვაი**, თუ ყარამან გამიწყრეს (გვ.424); „**ვაი**, ჩემო თავო,რა უალაგოს ალაგს მოგკალ“(გვ.494); „**ვა**, თუ ამ წრეს შემოვიდეს“(გვ.656); „მაგრამ დევთაგან კიდევ იშიშვიდნენ, **ვაითუ** ამათგან გვევნოს რამეო“(გვ.391).

ბ) **მოწოდების** გამომხატველი შორისდებულება: „**ჰეი**, შე უმსგავსო, შენ ყარამანით როგორ მაშინებ“(გვ.488); „**ჰეი**, თქვენ, ხმელეთზე მავალნო

ფალავანო“(გვ.539); „ჰე, ქვეყანასა ზედა უაღრესო ხელმწიფეო“(გვ.552); „ჰე, ფალავანო, დამიჯერე, მე შენ არ გამოგიმეტებ“(გვ.405); „ჰე, შვენებით ყოველთა უაღრესო“(გვ.91); „თუ ამ ჩემს სიტყვას არ მოისმენ, მაშ, ჩემს საომრად მოედანზედ ფალავანი გამოგზავნე“(გვ.403); „არიქა, მაგ წყეულმა შემფაიბარი არ მოგიკლას იმის სამუქვათოდაო“(გვ.433).

გ) მოწონება გადმოიცემა შორისდებულებით: „შაბაშ, შენსა დიდსა გონიერებასა“(გვ.504); „შაბაშ, შენსა ეგოდენსა სიბრძნესა“(გვ.537); „შაბაშ, შენსა სიმართლესა“(გვ.92); „შაბაშ შენსა მკლავთა ძლიერებასა, რომე მტერი შენ ესრეთ გაჰკვეთეო“(გვ.109).

შაბაშ მოწონების გამოსახატავად გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც:“ „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი“(გვ.242).

დ) დანაწილება: „ვაი, ვაი, ქვეყანავ დაქცეულო“(გვ.399); „ჰოი, ფალავანო, ათას ნაჭრად რომ გამხდიდე, თითო ნაჭერსაც არ შეუძლია უშანგისა და ყარამანისა სიმუხთლედ ხელის აღება“(გვ.405).

კავშირი ხშირად დიალექტური ფორმითაა წარმოდგენილი.

„სიცოცხლისა მისისა ფილა აღვსებულა, თვარა მისთანა მცირის ლაშქრით საომრად ვითა მოვა“(გვ.26); „თვარამ სხვით მისი სიკვდილი არა ეგებისო“(გვ.168).

2.9. პარალელური მორფოლოგიური ფორმები

„ყარამანიანი“ ენობრივად ყველაზე საინტერესო ძეგლია საშუალო ქართულის ნათარგმნ ძეგლებს შორის. სადა და საინტერესო ენა, მრავალფეროვანი ენობრივი ფორმები, განსაკუთრებით კი პარალელურ ფორმათა არსებობა, საერთოდაც ახასიათებს ამ პერიოდის მეტყველებას. ფორმათა სიჭრელე გარდამავალი პერიოდის ენის გამოკვეთილი თავისებურებაა.

XVIII საუკუნეში თარგმნილი სპარსული თხზულებების „სეილანიანის“ და „ყარამანიანის“ ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერების შესახებ ნ. უგრეხელიძე წერს: „XVIII სუკუნის ქართული სალიტერატურო ენა საშუალო ქართულია, მაგრამ მისი გრამატიკული ნორმები ყოველთვის არ არის ერთიანი. ახალ ნორმებთან ერთად იხმარება ძველი სალიტერატურო ენის ნორმებიც. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ამ საუკუნეში შექმნილი ორიგინალური თუ

ნათარგმნი თხზულებები, მათ შორის სპარსულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლები. მათთვის დამახასიათებელია ძველი და ახალი სალიტერატურო ენის ფორმათა პარალელური ხმარება“ (უგრეხელიძე, 2016: 21).

პარალელურ ფორმები დასტურდება აბსტრაქტულ სახელებში. აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელი სახელების საწარმოებლად გვხვდება სუფიქსები **ობა**, **ება** და პრეფიქს-სუფიქსი **სი-ე. ობა** „ეს სუფიქსი საწყისური წარმოშობისაა და რთულია. **ობა-ა**. დღეს მას სახელთან უფრო მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ზმნასთან“ (შანიძე, 1973:130). „**ება** ესეც ისეთივე წარმოშობის სუფიქსია, როგორისაც **ობა**, მაგრამ დღეს მას ზოგ შემთხვევაში თითქოს არც კი აქვს კავშირი საწყისთან. **ობა-საგან** განსხვავებით, ის იერ-ზე გათავებულ ზედსართავთაგან აწარმოებს განყენებულ სახელებს“ (შანიძე, 1973: 131).

ერთმანეთს ენაცვლება აბსტრაქტულ სახელთა **-ობა** და **-ება** მაწარმოებლები შემდეგ ფორმებში:

ერთგულობა/ერთგულება: „ამა ვეზირმაც კიდევ თავის **ერთგულობა** დაუმტკიცა“ (გვ.505); „უმანგ ხელმწიფისა დიდი **ერთგულობა** მსურს“ (გვ.504); „იმან ჩვენს რჯულზედ მოსვლა მოინდომა და ჩვენიცა **ერთგულობა**“ (გვ.514).

ან კიდევ **გულოვნობა/გულოვნება:** „რა ასეთი ძლიერად **გულოვნობა** იხილა, გარდანქემანს დიდად იამა და დაუძახა: შაბაშ, შენსა **გულოვნებასა**“ (გვ.483); „სააბყირანის **ერთგულებაც** დღეს უნდა გამოვიჩინოთ“ (გვ.650).

სი-ე/ება: **სიამოვნე/სიამოვნება:** „ჩემს სიცოცხლეში ეგეთი **სიამოვნე** არ მენახა“ (გვ.49); „გააგდო მეტის **სიამოვნით** და გარდანქემანს მოეხვია, მკერდსა მიეყრდნა. მეტის **სიამოვნით** ხან სტიროდა და ხან იცინოდა.“ (გვ.524); „შეეწეს ერთი დიდი სიხარული და **სიამოვნე**“ (გვ.524); „მეტის **სიამოვნებისგან** თითქმის უცნობონი შეიქნენ“ (გვ.527); „მეტის **სიამოვნებით** უცნობო იქმნა“ (გვ.347).

სი-ე // ობა. სი-ე. „ეს მაწარმოებელი ბადალია **ობა-სი**, მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ **ობა** სახელებს აწარმოებს ისეთ სახელთა ფუძეებისაგან, რომლებიც საგანს აღნიშნავენ, ხოლო **სი-ე** აწარმოებს ისეთებისაგან, რომლებიც საგანთა თვისებას ან ნიშანს გამოხატავენ“ (შანიძე, 1973:131).

საკვლევ ტექსტში ეს მაწარმოებლები ქმნიან პარალელურ ფორმებს: **სამამაცე//მამაცობა:** „მისსა სამამაცეს და ფალავნობას ქება შეასხა“(გვ.255); „თავის მამაცობის დავთრიდამ მომშლისო“(გვ.315).

იგივე მონაცვლეობა გვაქვს უდეტრებშიც: „ესეთი სიცივე შეიქნა, რომე იგი წყალი და მთა **სრულობით** გაიყინა“(გვ.158); „მერე გამობრუნდნენ და იგი ციხე **სრულებით** მოვლეს“(გვ.539).

პარალელურ ფორმებს იძლევა აბსტრაქტულ სახელებში **ზმნისწინთა ძველი და ახალი ფორმების გამოყენება: გაკვირვება//განკვირვება:** „ორთავე ლაშქართა შიგან დიდად **გაკვირვებისა** ხმიანობა შეიქნა“(გვ.97); „მე დიდსა **განკვირვებასა** მიცემულ ვარ“(გვ.84).

აბსტრაქტულ სახელებში მონაცვლეობს აფიქსები: **ობა//ება//სი-ე სუფიქსები და პრეფიქს-სუფიქსები: ამპარტავნება//ამპარტავნობა//სიამპარტავნე:**

„სიამპარტავნე გულსა შენა არა შთაგივარდეს“(გვ.176); „ამპარტავნებისა და ურჩების ტვირთი ჰკიდიათ“(გვ.572); „ანგელოზობიდამ გამოემხვნენ **ამპარტავნობითა** და შურით“(გვ.572).

მხიარულობა//მხიარულება//სიმხიარულე: „აიარები ერთობით დიდის მხიარულობით ხელმწიფისაკენ მოდიან“(გვ.483); „დიდის მხიარულებით მაშინვე წამოდგა“(გვ.484); „დიდსა **მხიარულებას** მიეცა. რა დევმა მისი **მხიარულება** ნახა, განრისხებულმა დაუძახა“(გვ.651); „ინდოეთის მხრიდამ ესრეთი **სიმხიარულე** ნახა, თავისმა მამაცურმა გულმა მოთმენა ველარ შეძლო“(გვ.312).

მონაცვლეობს **ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები: წყალობა//მოწყალება:** „რაც აქამდისინ ცხოვრება სჭირდა, სულ ჩემი **წყალობა** იყო“(გვ.560); „ხელმწიფეო, **მოწყალება** მოიღეთ და ყური მომიგდეთო“(გვ.560).

აბსტრაქტულ სახელთა პარალელური ფორმები ზოგჯერ ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მაწარმოებლებით, არამედ – **ფუძით:** „რა ყარამან ესრედ **გაწყობილობა** ლაშქართა ნახა, დიდად მოეწონა“(გვ.27); „რა უშანგ-შაჰის ლაშქრის **გაწყობილობა** ნახეს, დიდად მოეწონათ“(გვ.310); „რა ყარამან ამა ლაშქართა ესრეთ **გაწყობა** ნახა, თქვა...“(გვ.27).

საწყისში მონაცვლეობს ა//ობა:

თამაშობა//თამაშა: „თვისის ძმის აქვალი დევის სიკვდილი იმასთან **თამაშობა** იყოსო“(გვ.215); „**თამაშა** დაუწყეს და გულჩინიც უყურებდა“(გვ.289); „მებრძოლი ფალავანი გამოგზავნე და შენ **თამაშა** მიყურეო“(გვ.409).

ღალატი//ღალატობა: „უიარაღოდ **ღალატით** კაცის სიკვდილი არ ვარგაო“(გვ.514); „სულ საკიცხავად დაიდვას და უშანგის **ღალატობა** შევანანოო“(გვ.504).

ერთგან დავადასტურეთ პარალელური საწყისების ერთსა და იმავე წინადადებაში გამოყენების შემთხვევაც: **ჩამოყენება//გადაყენება:** „შენ გენება ჩემი გზიდან **ჩამოყენება**, მომიცადე და გიჩვენებ, გზიდან **გადაყენება** ვითა უნდაო“(გვ.27).

მიმღეობის წარმოება ქართულში განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება. გვხვდება პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური წარმოების მიმღეობები. ამასთან, მრავალფეროვანია მაწარმოებლებიც. მიმღეობის წარმოების საკითხი უაღრესად საინტერესოა, რადგან სწორედ აქ ჩანს ქართული ენის სიტყვათსაწარმოებელი შესაძლებლობანი – მრავალფეროვან ენობრივ საშუალებათა გამოყენებით აწარმოოს ახალი ფუძე.

„ყარამანიანში“ ერთი და იმავე ზმნის ფუძე ხშირად სხვადასხვა მაწარმოებლითაა გაფორმებული, რაც განაპირობებს მიმღეობის პარალელური წარმოების ფორმათა არსებობას (**მქონებელი//მქონელი//მქონე, მშვენიერი//მშვენიარე**).

ა) **პრეფიქსული და პრეფიქსულ-სუფიქსური ფორმების მონაცვლეობა.** „ყარამანიანში“ ხშირად ერთმანეთს ენაცვლება **პრეფიქსიანი და პრეფიქს-სუფიქსიანი** მიმღეობები. კერძოდ, **სა პრეფიქსი და სა-ელ პრეფიქს-სუფიქსი: საწადი//საწადელი, სამყოფი//სამყოფელი:** „ბარამს **საწადი** თვისი აღუსრულდა“(გვ.55); „შეატყვეს, რომე არა დაღალულობისათვის წარვიდა, არამედ **საწადისა** რისთვისმე“(გვ.100); „ბრძანე, რაცა **საწადელი** შენი იყოს, აღგისრულდება“(გვ.160); „**საწადელი** თვისი არცა ეგრე აღუსრულდა“(გვ.163); „ჩემი **საწადელი** მეორედ მოსვლამდინ დამრჩაო“(გვ.354); „მისი **სამყოფი** მთა შოვისა არისო“(გვ.173); „აწ შენცა ჩემ თანა ადამიანთა **სამყოფელს** წამოხვალ“(გვ.190).

იგივე მაწარმოებლები მონაცვლეობს მიმღეობებში **შესაპყრობი და შესაპყრობელი:** „თვით კვალად ნადირთა **შესაპყრობლად** წარვიდა“(გვ.158); „ნადირთა **შესაპყრობად** ბუდით გამოვიდა“(იქვე).

მონაცვლეობს მ//მ-ელ მაწარმოებლები: „ამისი მნახავნი კაცნი თუ ფერიანი დიდად გაჰკვირდნენ“ (გვ.363); „მისი მნახავნი ლაშქარნი დიდს შიშსა და მწუხარებას მიეცნენ“ (გვ.365); „შვენებით მნახავთა განაკვირვებდა“ (გვ.61); „ამისი მნახველი უმანგ-შა ბარამ ჯიბილს ქებასა შეასხმიდა“ (გვ.75); „მნახველთა კაცთა სიცოცხლეს მოსტაცებდა“ (გვ.533).

პარალელურ ფორმებს ქმნის მ// მ- არე სუფიქსით ნაწარმოები ფორმები. ძველ ქართულში აწყო დროის მიმღობა ზოგჯერ ზმნის ფუძისაგან ვერ იწარმოება და აუცილებელი ხდება ხოლმე საწყისის ფუძის გამოყენება მაგ. **მწოლარე, მდგომარე, მსხდომარენი**. საკვლევ ტექსტში **ოდენ** პრეფიქსიანი ფორმებიც გვხვდება (**მწოლი, მდგომი, მსხდომნი**), აგრეთვე **მ-არე-ს** ენაცვლება **მ-ელ** (**მდგომელი**), რაც იწვევს პარალელურ ფორმათა წარმოქმნას: **მწოლი//მწოლარე**: „რა გნახე, ახალ-მოწიფული ყმა-კაცი ძილად მწოლი, შევიწყალე ჭაბუკობა შენი“ (გვ.88); „ერთს უცხოს ბაღში ვიყავ კოშკსა შინა მწოლარე“ (გვ.533).

აქვე უნდა დავასახელოთ **მ//მ-არ//მ-ელ**: **მდგომი//მდგომელი//მდგომარე**: „სურხავმა ფალავანი ფეხსავე მდგომი იხილა“ (გვ.163); „სასახლე უსხოდ ნაგები და მასზედან ვერცხლის კაცი მდგომელი“ (გვ.128); „ქალი ნახა ერთსა ალაგსა მდგომარე“ (გვ.136).

პარალელური წარმოების ფორმები გვხვდება თვით ერთ წინადადებაშიც: **მსხდომი//მსხდომარე**: „სამნი შავსა ცხენსა მსხდომარენი და შავით მოსილნი და იარაღით შეჭურვილნი, სამნი ჭრელსა ცხენსა მსხდომნი და იარაღით შეჭურვილი“ (გვ.468).

ამ ფორმებში საწყისისეული სუფიქსების (-ოლ, -ომ და სხვა) არსებობას ხსნიან, ერთი მხრივ, „ძნელად წარმოსათქმელი კომპლექსის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით და მეორე მხრივ, იმით, რომ **ბრძოლა, ჯდომა, დგომა** და მისთანანი იმდენად დამკვიდრებული იყო ენაში, მიმღობის წარმოებისას მათს ჩამოცილებას საჭიროდ არ თვლიდნენ“ (იმნაიშვილები, 1996:734).

ბ) მონაცვლეობს პრეფიქსულ-სუფიქსური და სუფიქსური წარმოება: **მოიმედე//იმედეული**: „ზე გარდმო განგებისაგან მოიმედე ვარ“ (გვ.187); „ამ სიტყვის იმედეული ასიმ აიარი და ხოსროვშირი თვისსავე ლაშქარში წავიდნენ“ (გვ.252).

იმედუელი იმედ' ძირისაგან -ეულ სუფიქსის დართვითაა მიღებული (მოიმედე, იმედიანი).

გ) პრეფიქსულ- სუფიქსური წარმოებაში მონაცვლეობს სხვადასხვა აფიქსი: მა-არ/-მა-ელ: მაქებელი//მაქებარი:

„თავ-მოხრით უსულიანის ფალავნის მაქებელია“(გვ.456); „ათასიმცა მაქებარი უნდა ამა მამაცთა გულსა“(გვ.103); „ათასიმცა მაქებარი გვერობს ესრეთ ცნობისათვის“(გვ.92).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „-არ, -ურ, -ირ, -ერ სუფიქსები სხვა დიალექტური წრისაა, -ელ, -ალ, -ილ, -ულ კიდეც - სხვისა“(ჩიქობავა 1942:842).

მ-ე/ მ-ელ: მქონე//მქონელნი//მქონებელი, მცოდნე//მცოდნელი: „თვით აქვალი დევი ასოცი წყრთის სიმალის მქონე იყო“(გვ.163); „ხვადი დევები ხელთა გურზისა მქონელნი ჰაერთ მოუხდნენ“(გვ.151); „ამა საქმისა მქონელი იგია და ძმაცა შენი ხელითა მისითა მოკვდაო“(გვ.105); „ხორასნის ხელმწიფე იყო თაჯისა და ტახტის მქონებელი“(გვ.256); „მაშინვე ბრძანა და სამასი ათასი ჯადოს ლაშქარი უცხო და უცხოს ჯადოების მცოდნენი უცხოს იარაღებითა შეიკაზმნენ“(გვ.245); „ასეთი ღარიბი კაცი ვარ, საკრავთა მცოდნელი“(გვ.92).

სა-ო// სა-ელ: საზარო//საზარელი: „მცირეს მონისაგან ვით შეიძლება ესეთის საზაროს საქმის შეჭიდებაო“(გვ.362); „რა იმ ძალმა ნახა ისეთი საზარელი ვეფხვი, ბევრს ეცადა, რომ ჩვეულებისამებრ კაცობრივის ხმით ელაპარაკნა“(გვ.32); „იმ დღეს ისეთი საზარო ომი შეიქმნა, რომ ფალავანთა ხმისაგან ... სრულად იძრწოდა“(გვ.317); „ერთი საზარელი გრგვინის ხმა მომესმა“(გვ.533).

დ) მონაცვლეობენ სუფიქსური წარმოების ფორმები. „ყარამანიანში“ მოსალოდნელი ილ' სუფიქსის ნაცვლად გვაქვს ულ': დანაყილი//დანაყული: „დაღალულობისაგან ესრეთ ვარ, რომე ხორცი დანაყილსა მიგავსო“(გვ.100); „ასე მგონია, რომ ტანი სულ დანაყული მაქვსო“(გვ.260).

ძველი ქართული მდიდარია ერთი და იმავე ფუძისგან -ილ' და -ულ' სუფიქსებით ნაწარმოები ფორმებით. „სინონიმურ წარმოებას ზოგ შემთხვევაში ახსნა მოეპოვება, ზოგჯერ კი ეს მონაცვლეობა უმიზეზოა, უფუნქციოა“(ცეცხლაძე, 2006: 123).

„ძველ ქართულში პარალელური წარმოების მიმღობათა არსებობას მათი დიალექტურობით ხსნიდნენ: **გარუჯვილი, მოკუზვილი**“ (ჯორბენაძე, 1989: 286).

დ) პრეფიქსული და სუფიქსური წარმოების მონაცვლეობა. „ყარამანიანში“ **ნარჩომნი, გადარჩომილი, დარჩომილი** პარალელური ფორმებია. ერთმანეთს ენაცვლება **ნა’** პრეფიქსიანი და **ილ/ულ** სუფიქსები: „ესე ჩემად იადგარად **დარჩომილ** იყო“ (გვ.131); „**ნარჩომნი** სარდალნი და ლაშქარნი თან იახლა“ (გვ.69); „ისარი ჰქონდა ნაკრავი და ის ნაკრავი ისარი შიგვე იყო **დარჩომილი**“ (გვ.248); „**გადარჩომილთა** იმათზე იმგვარი რისხვა ღვთისა იხილეს“ (გვ.221).

ანალოგიური ფორმა გვხვდება ყიზლარ-მოზდოკურსა და შიგნიკახურშიც: „ახლა თითით არიან **დარჩომილი** გადანამყენებული“ (მიძიგური, 1956: 55); „ჭიას იქით გადავსხამთ **დარჩომილს**“ (იქვე: 50). ამნაირი ფორმები ყველაზე მეტად სამხრულ მეტყველებას დაუცავს: „ვინცხა იქნება **დარჩომილი**“ (ფუტკარაძე, 1993: 277).

მიიჩნევენ, რომ „ძველი ქართულისთვის მიმღობის პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება უფრო იყო დამახასიათებელი, ვიდრე ოდენპრეფიქსული. ე.ი. ახალი ქართულის პრეფიქსული წარმოების ფორმებს ძველ ქართულში სუფიქსიც დაერთვოდა“ (ოსიძე, 1956: 54).

პრეფიქსული წარმოება ქართულისთვის უძველესად არის მიჩნეული. „ყარამანიანში“ გამოიყენება **-ნა’** პრეფიქსი: **ნაცვივნი, ნათქვამი**. ძველში პირველი ფორმის პარალელური ფორმაა **ჩამოცვივული**, ხოლო ნათქვამის პარალელური ფორმაა **თქმული**: „მათგან **ნაცვივნი** ცეცხლნი ღრუბელთაგან მოდენილსა წვიმასა ჰგვანდა“ (გვ.130); „თქვენ ზეიდამ **ჩამოცვივულმა** მთებმა და გორებმა არ გაწყინოსთ“ (გვ.363); „რა ქელაშისა **თქმული** ბამანარას ესმა, გულსა შინა თქვა“ (გვ.171); „თქვენი **ნათქვამი** ფალავნისა ვერა გავიგე რა“ (გვ.263).

საწარმოებლად პრეფიქსული წარმოება ქართულისთვის უძველესად არის მიჩნეული. „ყარამანიანში“ გამოიყენებულია **ნა-** პრეფიქსი. „ნა - პრეფიქსიანი მიმღობის ფორმები ყველაზე ძველია, ამასთან ყველაზე გავრცელებული“ (ცეცხლაძე, 2006: 71).

ივანე და ვახტანგ იმნაიშვილები **ნა-** პრეფიქსიან მიმღობებში ცალკე ჯგუფად გამოყოფენ **ნა-ებ// ნა-ობ** ტიპის ფორმებს. აქვე მითითებულია, რომ **-ავ, -ებ, -ობ** თემის

ნიშნებია, ოღონდ ამნაირი ფორმები ცალკე გამოიყოფიან აღნიშნული სახეობის უფრო ადვილად მოსანახავად (იმნაიშვილები, 1996:753-756). ასეთი ფორმები მონაცვლეობს „ყარამანიანშიც:“ „შიგან შევიდა და იხილა ერთი უცხოდ **ნაშენი** სასახლე“(გვ.478); „კედელი სულ ოქროს აგურით იყო **ნაშენი**“(გვ.478); „იხილა, რომ ერთი უცხოდ **ნაშენები** კოშკი იდგა“(გვ.468).

ე) „ყარამანიანში“ მიმდებობის პარალელურ ფორმებს ქმნის **ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები**: „ქალმან შუბი გულსა **საძგერლად** მოუტანა“(გვ.96); „ყარამან ხმალი დაიბრუნა და გვერდსა **დასაძგერებლად** მიუტანა“(გვ.108);

„საზარელითა ხმითა შესძახა და ყათრანს **დასაკრავად** მიმართა“(გვ.32); „შუბი დაიტრიალა და მკერდსა **საკრავად** განუწონა“(გვ.432).

„იგი **შეპყრობილი** მოიყვანა, ხელმწიფესა დიდად იამა“(გვ.59); „**პყრობილთა** ფალავანთათვის დიდსა მწუხარებასა იყო“(გვ.100); „იმა **პყრობილთა** გამოხსნისათვის ქალურად უნდა მოგროთ“(გვ.508).

„სასახლის კართან რამდენიმე სტრიქონი **წერილი** აღმოჩნდა“(გვ.540); „კიდევ ნახა რაოდენიმე სტრიქონი **დაწერილი**“(გვ.540).

საერთოდ არსებობს აფიქსების განაწილების წესები ფუძეების მიხედვით, მაგრამ „ყარამანიანში“ ამგვარი კანონზომიერების დადგენა არ ხერხდება.

რით უნდა აიხსნას პარალელური ფორმების პოვნისებრა ძეგლში? ვფიქრობთ, ფორმათა სიჭრელის ერთი მიზეზი ნორმათა უქონლობაცაა.

„ყარამანიანის“ მასალა კიდევ ერთი მტკიცებულებაა, რომ თავსართ-ბოლოსართი ერთი, საერთო ფუნქციით მეორეულია, რომ მათ სხვადასხვა ფუნქცია ჰქონდათ. ამ თვალსაზრისით სიტყვაწარმოების მექანიზმი ქართულში დამატებით კვლევას მოითხოვს.

ამრიგად, „ყარამანიანი“ მდიდარია პარალელური წარმოების ფორმებით. ერთი და იგივე სახელური ფუძე გაფორმებულია სხვადასხვაგვარად: გვაქვს **აბსტრაქტულ სახელთა** (ერთგულობა//ერთგულება; მხიარულება//მხიარულობა; გულოვნობა //გულოვნება; მშვენება//სიმშვენიერე; სიამოვნე//სიამოვნება; სიმამაცე//მამაცობა; ამპარტავნება//ამპარტავნობა//სიამპარტავნე); **საწყისთა** (თამაშობა//თამაშა; **ღალატი**//**ღალატობა**); **მიმდებობათა** (მქონებელი//მქონელი//მქონე, მშვენიერი//მშვენიარე,

საზარო//საზარელი; პყრობილი// შეპყრობილი, წერილი//დაწერილი) პარალელური ფორმები, რომელთა შორის არ ჩანს შინაარსობრივი სხვაობა, სემანტიკური დიფერენციაცია ჯერ არ დაწყებულია.

§3. სინტაქსური თავისებურებანი

„ყარამანიანის“ სინტაქსური თავისებურებების გასარკვევად შევისწავლეთ სიტყვათა რიგი წინადადებაში, ქვემდებარის რიცხვში შეთანხმება ზმნა - შემასმენელთან.

3.1. სიტყვათა რიგი. ახალ ქართულში ნორმაა მსაზღვრელი სახელის პრეპოზიცია. ძველ ქართულში კი გვქონდა პოსტპოზიცია.

ზ. სარჯველაძემ შეთანხმებული მსაზღვრელი გაყო ორ რიგად: **ზედსართავი სახელი, მიმღეობა, რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები, რიცხვითი სახელი მრავალი, კითხვითი, განსაზღვრებითი ნაცვალსახელები და საკუთარი სახელები; ჩვენებითი, კუთვნილებითი, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, როგორც მსაზღვრელები.**

მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი დამოკიდებულია:

1. ნაწარმოების ჟანრზე,
2. დედნითაა მოღწეული თუ პირით,
3. რომელი ეპოქისაა,
4. გადამწერის, მთარგმნელის პოზიციაზე სალიტერატურო ენის ნორმებისა და ცოცხალი მეტყველებისადმი;
5. თარგმანია თუ არა.

V-XI საუკუნეთა ქართული ორიგინალური წერილობითი ძეგლების ანალიზით ზ. სარჯველაძე ასკვნის, რომ „ძველ ქართულში მსაზღვრელი, საზოგადოდ, მოსდევს საზღვრულს. **პოსტპოზიციურია** მართული სახელი, ჩვენებითი, კუთვნილებითი, განსაზღვრებითი ნაცვალსახელები“ (სარჯველაძე, 1984: 519).

დადგენილია, რომ საისტორიო ჟანრის თხზულებებში მოჭარბებულია მსაზღვრელ-საზღვრულის **პოსტპოზიცია**. მსაზღვრელად გამოყენებული მეტყველების ნაწილები: **ზედსართავი სახელი, მიმღეობა, რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები, რიცხვითი სახელი მრავალი, ასევე კითხვითი,**

განსაზღვრებითი ნაცვალსახელები და საკუთარი სახელები ძირითადად პრეპოზიციურია. ჩვენებითი, კუთვნილებითი, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, როგორც მსაზღვრელები, პოსტპოზიციურია.

საერო მწერლობა ყველაზე მეტად ლექსიკითა და სიტყვათა რიგით განსხვავდება ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ენისგან. მკვლევარ ზ. სარჯველაძის აზრით, „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“ და საისტორიო დოკუმენტთა ერთი ნაწილი ძალიან საინტერესო ვითარებას წარმოგვიდგენს: ყველანაირი მსაზღვრელი ძირითადად პრეპოზიციურია. განსაკუთრებით საინტერესოა მართული მსაზღვრელის პრეპოზიციაც“ (სარჯველაძე, 1984:523).

„ყარამანიანის“ენის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ პოსტპოზიციურია ზედსართავი სახელით, რიცხვითი სახელით და ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელები: „შიგან იყო ხელმწიფე დიდი, რომელსაც ეწოდა თანხმურად“ (გვ.23); „აღაგზნეს ცეცხლი დიდი და ესე მკვდარნი ერთობითა დაწვეს“ (გვ.73); „მე ქება დიდი შევასხი და მოვახსენე“ (გვ.46); „მაშინ მეფემან მათმან უპასუხა“ (გვ.23); „ყარამანის გადარჩენა განიცადა, ქება დიდი შეასხა“ (გვ.32); „ხანმან რაოდენმან გამოვლო“ (გვ.42); „ხაზინა და საქონელი ურიცხვი ეწყო“ (გვ.51); „უკვირდათ ყოველთა საქმე ჩემი“ (გვ.53); „ხელმწიფისა სიახლოვესა მისულიყო და საქმე მისი მარჯვედ მოეყვანა“ (გვ.87).

პრეპოზიციურია მიმღობით, ზედსართავი სახელით და რიცხვითი სახელით გადმოცემული მსაზღვრელები: „შუბზედან დაყუდებია და მრისხანეს თვალითა ლაშქართ უჭვრეტს“ (გვ.27); „ვიდრე მზისა დასვლამდის საკვირველსა ომსა იყვნენ“ (გვ.165); „ერთსა ალაგსა ზღვა ბრუნავს“ (გვ.167); „ეს როგორი საკვირველი საქმე არისო“ (გვ.307); „ის დიდებული მეჯლიში დაამარცხა და რამდენიმე უცხო ფალავანნი დახოცა“ (გვ.307).

ერთი ჯგუფი საზოგადო არსებითი სახელებისა თავიანთ საზღვრულებთან ისეთივე ურთიერთობაშია, როგორშიც სხვა რომელიმე მეტყველების ნაწილით გამოხატული ატრიბუტული მსაზღვრელი. ამ ჯგუფის უმრავლესობას ქმნის თანამდებობისა და წოდების აღმნიშვნელი სახელები: მეფე, დედოფალი, ხუცესი, დეკანოზი, ეპისკოპოსი, კათალიკოსი, წინასწარმეტყველი და მისთ.. მსაზღვრელად

მათ უმეტესად პირის სახელები აქვთ (გრიგოლ არქიმანდრიტი, ელენე დედოფალი). ამგვარ მსაზღვრელებს **მუდმივს** უწოდებენ. ისინი მეტწილად პოსტპოზიციურია. ასეთი ვითარება გვაქვს „ყარამანიანშიც:“ **„არჯასპ ხელმწიფეს“**(გვ. 589); **„ნარიმან ხელმწიფემან“** (გვ.585); **„სართაფ ვეზირს“** (გვ. 530).

„ყარამანიანში“ გვაქვს ამ ტიპის მსაზღვრელთა შებრუნებული წყობის მაგალითებიც:

„ხოჯა მეჰრანო, ჯერ ქაბულის სახელმწიფოში არ შევსულვართო“ (გვ.582); **„მოემზადნენ და ქაბულის ქალაქში** შევიდნენ“ (გვ.582).

რაც შეეხება გათიშული მსაზღვრელის ადგილს, „ის განპირობებულია მსაზღვრელის სინტაქსური ტიპითა და მისი შინაარსით და იქაა, სადაც იმავე მსაზღვრელის ადგილია ერთ - ან მრავალსიტყვიან შესიტყვებაში“ (კალაძე, 1960: 119).

„ფარი ჰპოვეს დიდი რვალისა შექმნილი“ (გვ.175); **„ათარმან ჭიქა** მომცა ერთი, სისხლითა **სავსე“** (გვ.51).

შ. აფრიდონიძე წერს: „როცა ენაში თავს იჩენს ძველი სისტემის ნაშთები ფუნქციის გარეშე, საუბრობენ ძველი და ახალი ფენების ერთგვარ მინარევზე“ (აფრიდონიძე, 1986:120).

„ყარამანიანში“ მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა სიძველის ეფექტს ქმნის, საგანგებო დანიშნულებისაა, თუმცა ცოცხალი მეტყველების გავლენაც შეიმჩნევა.

„ყარამანიანის“ ენის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ **ზედსართავი სახელით** **გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი გვხვდება პოსტპოზიურადაც** (ქება დიდი, ცეცხლი დიდი, ხელმწიფე დიდი) **და პრეპოზიურადაც** (ურიცხვი დიდებული მეჯლიში, უცხო ფალავანნი); **მერყეობს რიცხვითი სახელიც** (საქონელი ურიცხვი, ერთსა ალაგსა); **პრეპოზიციულია მიმღობით** გადმოცემული მსაზღვრელი (მრისხანეს თვალითა, საკვირველსა ომსა, საკვირველი საქმე). **ნაცვალსახელით** გადმოცემული მსაზღვრელი ძირითადად **პოსტპოზიციურია** (საქმე მისი, საქმე ჩემი, მეფემან მათმან).

სუბსტანტიური მსაზღვრელი პრეპოზიციურია: **„შაფალი ფერის ძმა** ტახტსა ზედან დაიწვია“ (გვ.181); **„ენუქ წინასწარმეტყველის მცნება** ირწმუნეს“ (გვ.181);

„ყველაყამ მადლობა მოახსენა“ (გვ.185); „შაფალის სასახლეს გარდახდნენ“ (გვ.191); „ხელმწიფის შვილები იყვნენ“ (გვ.193); „დევების ხმამ ქვეყანა მოიცვა“ (გვ.205); „იმ ბროლის სასახლეზედ ჩამოხდა“ (გვ.205); „იმ ქალაქის შენობა ნახა“ (გვ.228).

3.2. სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხი

ძველ ქართულში მოქმედებდა გარკვეული წესი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმის ზმნასთან შეთანხმების საკითხში. მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, წინადადებაში სახელი სუბიექტი იყო თუ ობიექტი, ის ყოველთვის აჩენდა ზმნაში ნიშანს, თუ ნართანიან მრავლობითში იყო: **სულთა მათ არაწმიდათა იხილონ**, აღესრულნენ წიგნნი წინაწარმეტყუელთანი (აღესრულოს წიგნები).

ძველი წესი ვრცელდებოდა მოგვიანო პერიოდშიც: „თმანი დამიგრუნა“ (ვისრ.158); „თუალნი ამართა“ (ამირ.12).

„ყარამანიანშიც“ დაცულია ეს წესი: „ესე გვარი სიტყვანი მოვახსენენ“ (გვ.47); „ესეთნი გრძნულნი მყვანან“ (გვ.63); „ბარამ სანგანდაზს ხელნი შეუკრნეს“ (გვ.94); „ალყანი ერთად მოკრიფნა“ (გვ.78).

ეზიან მრავლობითს ასეთი სინტაქსური ძალა არ ჰქონდა, მას შემდეგ, „რაც ნართანიანი, უფრო თანიანი მრავლობითის ნაკლოვანი მხარეები ნათელი გახდა, ეზიანმა მრავლობითმა იწყო ნელა, მაგრამ მტკიცედ მომაგრება“ (იმნაიშვილი, 1956:305).

ძველ ქართულში მიცემითში დასმული სახელი ზმნაში ნიშანს ვერ გააჩენდა. **აღმიწერიეს მე/ ჩვენ; გლოცავ შენ/ თქვენ**. „ყარამანიანში“ მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითობა ყოველთვის გამოიხატება, რომელიც ახალი ქართულის მოვლენაა: „დარაჯთა ეძინათ და მათგან მრავალი მოკლეს“ (გვ.63); „დევთა ეწადათ, რათა ბარამ შეეპყრათ“ (გვ.42); „ნაჯახები თავით ეწყით“ (გვ.64).

„ყარამანიანში“ ეზიანი მრავლობითის სინტაქსური ძალა მცირეა, თანდათან იწყებს გაძლიერებას: „ჯინისტნის შვიდმა სულთნებმა შვიდასი ათასი ჯინი მოამზადეს“ (გვ.237).

„ყარამანიანში“ სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვას, რომელიც ახლავს სახელს, სინტაქსური ძალა არ აქვს: „მას აქვს მთა ოცდაორი და ორასნი დიდნი ქალაქები“

(გვ.476); „იმ ყაფის მთას ათი ათას რვაასი გორები აქვსო“(გვ.653); „მრავალი ოთახები იყო გამოჭრილი და რკინის კარები ჰქონდა“(გვ.353); „ორმოცი ტბები ჰქონდა“(გვ.575).

შემასმენელი მრავლობით რიცხვში დგას, რადგან ქვემდებარე, რომელსაც ახლავს სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა, მრავლობითშია: „**ორმოცმან ცხენოსანმან** კაცმან ცხენები **გაქუსლეს**“ (გვ.27); „თითონ მასვე ერთი დასტა კაცნი უკან **მოსდევენ**“(გვ.495); „**თერთმეტნი ხვადნი** დევნი უკან **მოსდევენ**“(გვ.638); „**ხუთას-ექვსასი** მეომარი კაცნი შიგ **სხედან**“(გვ.524).

ანგარიში არ ეწევა არც ნაცვალსახელს: „**ყველას** დიდად **გაუკვირდათ**“ (გვ.53); „**ვინცა** ამა ამბავსა ისმენს შორსა მყოფნი ანუ ახლოსა, რას იტყვიანო?“ (გვ.165).

დავადასტურეთ რამდენიმე შემთხვევა, სადაც სუბიექტი მხოლოდობითშია, ზმნა კი - მრავლობითში: „**ბარამ არ დანებდათ**“(გვ.42); „**ბარყუმ** მფრინველმან ყარამან ჰაერში **ალიყვანეს**“(გვ.168).

ამრიგად, „ყარამანიანში“ დარღვეულია სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმება, რადგან ანგარიში არ ეწევა მსაზღვრელ სახელს, რომელიც სიმრავლეს გამოხატავს.

მეტად საინტერესო თავისებურებაა პირდაპირი ობიექტის მიცემით ბრუნვაში დასმა მეორე სერიაში: „იმ რგოლს **გამოსწივა** და იგი კარი დალეწა“(გვ. 353); „იმ რგოლს **გამოსწივა** და ის კარები გაალო“(გვ.353); „ყარამიჯინმა უშანგის დასტებს **შემოუტოვა**“ (გვ.317).

3.3. მასდარული კონსტრუქცია

„ყარამანიანში“ გვხვდება სინტაქსური არქაიზმებიც. ერთი ასეთია მასდარული კონსტრუქცია. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ეს კონსტრუქცია დამახასიათებელია ნათარგმნი ტექსტებისთვის და კალკია. ეს მოვლენა დასტურდება ორიგინალურ ქართულ ძეგლებშიც.

„მასდარული კონსტრუქცია ქართულს დიდხანს არ შერჩენია. იგი X საუკუნის შემდეგ თითქმის აღარ გვხვდება. შემორჩა მხოლოდ მთის კილოებში, ისიც ვარიანტის სახით“(მარტიროსოვი, 1955: 452), თუმცა „იგი მრავლადაა მოგვიანო ხელნაწერებში, მაგ., მცხეთურ ხელნაწერში (XVII-XVIII), ძველი აღთქმის აპოკრიფებში (X-XVIII); იერემიას წინასწარმეტყველების გელათურ ვერსიაში, ასევე

პავლენის გიორგი მთაწმიდლისეულ და ეფრემ მცირისეულ რედაქციებში“(ცეცხლაძე, 2006:83).

მოვიყვანთ მასდარული კონსტრუქციის ნიმუშებს „ყარამანიანიდან“: „მაგრამ მისითა შიშითა **ბრძოლად** გასვლა ველარ გაბედა“(გვ.109); „აწ თქვენ რასაცა გვიბრძანებთ, ჩვენ **სამსახურად** მზად ვართო“(გვ.23); „მის გარემოსა ქვეყნების კაცნი მისად **ჭვრეტად** მოსულიყვნენ“(გვ.54); „ინდონი **ჭვრეტად** წინ წამოდგნენ და ჯალათნი მათად **დახოცად** ემზადებოდნენ“(გვ.103); „მე შენთანა **ბრძოლად** არ გამოვიდოდი“(გვ.96); „ხოსროვშირ **ნადირობად** ვლიდა“(გვ.247); „დღესა ერთსა მე გამოველ **თამაშად**“(გვ.536).

ძველ ქართულში აღნიშნული ფუნქციით, როგორც ვთქვით, გამოიყენებოდა მასდარის ვითარებითი ბრუნვის ფორმა, რომელიც შემდგომ მიმღეობამ შეცვალა, რაშიც ვლინდება მისი და საწყისის ისტორიული ურთიერთობა. „ყარამანიანში“ იშვიათად ასეთი ფორმაც შეგვხვდება: „შაბრანგს შენს **სამებრად** გზავნიდა“(გვ.428).

მასდარული კონსტრუქციის გამოვლენა „ყარამანიანში“ ადასტურებს, რომ ძველი არქაულ ფორმებს ანიჭებს უპირატესობას.

3.4. კალკები. მიუხედავად ქართული სამწერლობო ენის მონოლითურობისა, ორიგინალურ ლიტერატურაში გვხვდება სხვადასხვა ენის კალკი; იგი ენის ცვლილება-განვითარების მუდმივი თანამგზავრია და განსაკუთრებით მრავლადაა ნათარგმნ ლიტერატურაში. „ფრაზების აგების პრინციპის სხვა ენიდან გადმოღება საინტერესოა როგორც ენის ისტორიის, სალიტერატურო ენის ისტორიის და ისტორიული დიალექტოლოგიის, ისე ლინგვოკულტუროლოგიის, ფსიქო და სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისითაც“(ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2017: 228).

ა) უნდა განვიხილოთ ერთი თავისებურება „ყარამანიანის“ ტექსტში. წინადადება სისტემურად იწყება და კავშირით: „ერთ მცირეს ქვეყანას მოვაცემინებ, რომ სარჩოდ გეყოსო. და თუ ამ ჩემს სიტყვას არ მოისმენ, მაშ, ჩემსა საომრად მოედანზედ ფალავანი გამოგზავნე“(გვ.403); „იმ ჩემს თითო ნაჭერსაც არ შეუძლია უშანგისა და ყარამანის სიმუხთლედ ხელის აღებაო. და თუ შენ ჭკუა გქონდეს, მოხვიდოდი“(გვ.405); „ჩემი კერძი შეიქნები და გაჭირვებაში ჩემი მომხმარეო. და თუ უშანგისაგან და ყარამანისაგან ხელს აიღებ მე და შენ ძმანი ვიქნებითო“(გვ.405);

„ყოველივე დაიჭირა და წაიყვანა. და რა შელამდა, გასაყარსა ნალარასა ჰკრეს“ (გვ.446); „თავის ტახტს დიდად შეწუხებული დაჯდა. და ამ დღის ომის საქმეს და ამ ფალავნების დაჭერას ლაპარაკობდნენ“ (გვ.446); „შეიქნა სმა და ლხინი. და მაშინ სალსალ ძმასა თვისსა უთხრა“ (გვ.446); „არყასმა ნება დართო. და რა მეჯლიში მოიცალა, ცოტა განისვენეს“ (გვ.446).

მეცნიერულად დადგენილია, რომ დას ხმარება ნათარგმნ ძეგლებში ებრაული სტილის გავლენა უნდა იყოს. ებრაულში კავშირები, როგორც წესი, სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილებისგან მომდინარეობს. VAV ეტიმოლოგიურად ლურსმანს ნიშნავს (შემკვრელი, შემაერთებელი), რადგან ბერძნულში VAV-ის ხმარების წესი სხვა იყო, მისი სინტაქსი ბერძნულთან შედარებით რთული იყო, ამან დაარღვია ბერძნული ბუნებრივი სინტაქსი. ებრაულში კი ყოველი ფრაზა თუ წინადადება მარტივად და კავშირით ან უკავშიროდ უკავშირდება ერთმანეთს. ეს და არის განსაკუთრებული თანამიმდევრობის კავშირი. და კავშირი ებრაულში თხრობის გრძელი პერიოდების შემაერთებელია, დროულ თანამიმდევრობას გადმოსცემს. ბიბლიური თარგმანების გავლენით მსგავსი ადგილები დაიძებნება ჰაგიოგრაფიულ და ისტორიულ ძეგლებში, ცოცხალ მეტყველებაში კი არ გვხვდება.

ამრიგად, და-ს ჭარბი გამოყენება ბიბლიის ქართულ თარგმანებში ებრაული სტილის გამოვლენაა. კ. დანელიას მიხედვით, „ეს სინტაქსური ებრაიზმი პრინციპულად ერთნაირად ვლინდება ბერძნულ სეპტანტას, სირიულ პეშიტას და ძველ სომხურ თარგმანშიც“ (დანელია, 1998:37).

რით უნდა ავხსნათ ნათარგმნ ძეგლში და კავშირის ხშირი ხმარება? ამის პასუხი არსებობს სპეციალურ ლიტერატურაში: სავარაუდოა, რომ „XVIII საუკუნემდე არსებულ მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებებში და კავშირის ხშირი ხმარება გამოწვეული უნდა იყოს საეკლესიო სტილის გავლენით, რაც თავისთავად ბიბლიის ტექსტების ზეგავლენაა“ (ნადარეიშვილი, 1970: 506).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ყარამანიანის“ მთარგმნელი ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებზე იყო აღზრდილი, ამიტომაც გვხვდება და კავშირი ნათარგმნ ძეგლში.

ბ) „ყარამანიანში“ უხვად გვხვდება ანალიზური წარმოების ფორმები. ამგვარი ზმნები აღწერილია ლაზურში (ა. ჩიქობავა, ს. ჯიქია, ნ. მარი): **საჩივარი გაუკეთა, დაპატიჟება გაუკეთა, ჯიუტობა გაუკეთა, პატიება გაუკეთა, მენავეობა გაუკეთა, ჩხუბი გაუკეთა, დაჯერება ქნა...** ს. ჯიქია მას თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობის დასტურად მიიჩნევს: „ლაზურში წარმოდგენილი თურქული კალკები, ისევე როგორც საერთოდ, სხვა კალკებიც სხვადასხვა ენაში, ვფიქრობ, მაინც მაჩვენებელია ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის შემოქმედებითი ღონისძიებებისა სამეცნიერო სფეროში. ამა თუ იმ ენიდან კალკირების პროცესი მაჩვენებელია ეროვნული კულტურისა და ენერგიისა, რაც უცხო სიტყვათა თუ გამოთქმათა ეროვნულ ფორმებსა და ეროვნულ მასალებში ასახვისას ვლინდება“ (ჯიქია, 1964: 255).

შედგენილი ზმნების სახელადი ნაწილი მეტწილად აღმოსავლური (არაბული, სპარსული და თურქული) სიტყვაა, ზმნური კი - თურქული (**yardim** - დახმარება; **etmek**- გაკეთება, გაწევა; **olmak**- გახდომა).

არნ. ჩიქობავა ფერეიდნულის მთავარი თავისებურებების განხილვისას წერს: „განსაკუთრებით ჩანს სპარსული გავლენა ფრაზების წარმოებაში: ხან სპარსული და ხან ქართული სიტყვა ქმნის ფრაზას, ხან ქართული და არასპარსული სიტყვებია აღებული, მაგრამ ფრაზა მაინც სპარსულ ყაიდაზეა გამართული. მაგალითად, **თილიქანი ვქნათ** (ტელეფონით დავიძახოთ); **ვაჭრობა ვქნათ** (ვივაჭროთ); **ჯავაბი ქენით** (პასუხი ქენით, უპასუხეთ); **თაქრა ვქენით** (შევეცადეთ); **ხოდაძეზი ქნეს** (მადლობა გადაიხადეს); **შიქალი ვქნათო** (ვინადიროთ), ნამაი **კმა ქნეს** (კარგი სახელი დაიგდეს)“ (ჩიქობავა, 2010: 2005).

მესხურ-ჯავახურში ამგვარ ფორმათა შესახებ მსჯელობისას ბ. ჯორბენაძე იმოწმებს არ. მარტიროსოვის მოსაზრებას, რომ აღნიშნულ დიალექტში დასტურდება თურქულის სინტაქსური კალკები: ამათ **ძალა უყვეს** (დაამალეს)... **თათბირი იქნეს** (ითათბირეს); **ბატონობა ქნა** (იბატონა)... და იქვე დასძენს, რომ „ამგვარი რამ უპირატესად მოხუცთა მეტყველებაში იჩენს თავს“ (ჯორბენაძე, 1989: 395).

მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს საკვლევი ტექსტიდან: „ყარამან თუ სააბყარანობისა **დავასა სწევს**, ნუ შეშინდება“ (გვ.431); „ნარიმანმა **ქორწილი ქნა**“ (გვ.599); „სალამში **იახლენ** და **შეექნათ** ვეზირობა“ (გვ.510); „არა მცირედი **საქმე**

ჰქნა გზასა ზედა“(გვ.465); „ყოველთავე ერთობით ხმა ჰყვეს“(გვ.472); „სპილოებისაგან ბეზარი შეიქმნენ“(გვ.287); „ბეზარი შევიქენ და მოვბრუნდი“ (გვ.66) (შდრ.: ბეზარ მუელ (შუახ.). `ბეზარი- სპარსული სიტყვაა და მობეზრებულს ნიშნავს.

აქარულ დიალექტსა და ქართული ენის სხვა სამხრულ კილოებში, რომლებიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა, მრავლად გვხვდება აღწერილი ფორმები: იანლიში ქნა, საფა ქნა, ავჯობას იჯება, იდარე ქნა, ხევისი ქნა, ზერზელე იქნა, ყიამეთი იქნა, შიქაეთი უყო, თოქას ვუზამ, ნური გუუხადე, ჰელაქი გახდა, რაზი გახდა, ფერიშანი გახდა, ალიშვერიშ იჯება, ეზიეთი გაწია... სხვა ენის ყაიდაზე აგებული ფრაზების გამოყენება საინტერესოა როგორც ენის ისტორიის, ისტორიული დიალექტოლოგიის, ისე ლინგვოკულტუროლოგიის, ფსიქო და სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისითაც.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „უამრავი აღმოსავლური კალკია გავრცელებული სამხრულ კილოებში, ნახევრადკალკებში გვხვდება არაბული, სპარსული და თურქული ლექსემები. ეს საინტერესო ფაქტია როგორც ენის ისტორიის, ისტორიული დიალექტოლოგიის, ისე ლინგვოკულტუროლოგიის თვალსაზრისით. ფრაზების სხვა ენის ყაიდაზე აგება, კალკირება, ამავდროულად მეტყველების ფსიქოლოგიის შეცვლაცაა, ამიტომ საკითხის შესწავლა აქტუალურია ფსიქოლინგვისტიკის კუთხითაც.

რთული ან შედგენილი ზმნების სახელადი ნაწილი მეტწილად სპარსული ან, ზოგადად, აღმოსავლური სიტყვაა, ზმნური კი - თურქული. ესენია: **yardim** - დახმარება; **etmek**- გაკეთება, გაწევა; **olmak**- გახდომა.

სპეციალურ ლიტერატურაში ანალიზური წარმოების შესახებ ლაზურში (ა. ჩიქობავა, ს. ჯიქია, ნ. მარი); აღწერილია ანალიზური ფორმები: **საჩივარი გაუკეთა, დაპატიჟება გაუკეთა, ჯიუტობა გაუკეთა, მენავეობა გაუკეთა, ჩხუბი გაუკეთა, დაჯერება ქნა...**

ამ კონსტრუქციათაგან ზოგიერთი ჯერ გაჩნდა ნათარგმნ ძეგლებში, შემდეგ კი საერთო ქართულმა ენამ შეითვისა და გააფართოვა მათი ხმარების არე. ამგვარი ფორმები უხვადაა ძველი და საშუალო ქართულის ძეგლებში, როგორც ნათარგმნში, ისე ორიგინალურში: **ყო ლოცვაჲ (სინ.), ყო აღწერაჲ (კოსტ.); ქმნა გოდებაჲ (შეს.),**

ლალაობა// ფიქრი// ღიმი// პატრონობა ენა (რუსუდ.) (ფალავა, ცინცაძე, 2005)
(ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2017: 229).

„ყარამანიანი“ ნათლად გვიჩვენებს იმ გზას, რომლითაც შემოაღწია ქართულში ანალიზურმა წარმოებამ.

4.1. „ყარამანიანის“ ლექსიკური თავისებურებანი

ა) არქაული ლექსიკა

არქაიზმი (ბერძნ. ძველი) მოძველებული, ხმარებიდან გასული სიტყვა და გამოთქმაა. იგი სტილისტიკურად მარკირებულია. არქაიზმებს მწერალი წარსული დროის აღსადგენად, მისი კოლორიტის შესაქმნელად მიმართავს. „არქაიზმები მწერალს იმაში ეხმარება, რომ დაკარგული თუ მოძველებული საგნებისა და მოვლენების სპეციფიკა და მათი დრო უფრო მკვეთრ ფერებში ასახოს... რომ

მკითხველს გაუადვილოს ასახული ეპოქისა და მოვლენების ცხოველმყოფელი აღქმა“ (ზანდუკელი, 1960: 220).

„ყარამანიანში“ მთარგმნელი ბევრ ისეთ ფორმას იყენებს, რომლებიც დღეს აღარ გამოიყენება, მაგრამ ეპოქის თანადროულია. თარგმანში ისინი შენარჩუნებულია; მათ სტილისტიკური ფუნქცია აქვთ დაკისრებული. ესენია: **განრომა, განრინება, სახმილი, სიყმილი, პერეული, ხადოდნენ და ა. შ.**

ალაგი – ბილიკი, გზა, მიწის ნაკვეთია (სარჯველაძე, 2001:7): „ბურთი იგი ტყორცილი სამანისა ნალაგევსა ეცა“(გვ.169)

ფარსანგი – სიგრძის საზომი ერთეული, 5-6 კმ.: „მისი ხმა შვიდსა ფარსანგსა გაიგონეს“(გვ.164).

სახმილი იგივეა, რაც ცეცხლი (ღუმელისა): „თავი დიდსა მთასა უგვანდა, თვალეხი ქურახანის სახმილს უგვანდა“(231); „ასე ეგონათ, მეხის ტეხა არისო, ანუ სახმილი ენთებაო“(გვ.213).

პერეული – ქაფი: „პირითა პერეულსა ჰყრიან და მრსიხანედ მოვიდოდა“(გვ.144).

სრა სასახლეა: „თვისსა სრასა მივიდა“(გვ.169).

მწდე – მერიქიფე: „მოდგნენ მშვენიერნი ღვინის მწდეები“(გვ.39).

„ყარამანიანში“ გვხვდება არქაული ზმნებიც:

ხადოდნენ–თვლიდნენ: „თვისსა უფროსსა თანა მივიდეს, რომელსაც თავისად მეფად ხადოდნენ“ (ყარ. გვ.23).

ტექსტში გვხვდება არქაული ზმნა **ცრემლოოდა**: „დიდის ვაებით ხმა ჰყო და ცრემლოოდა“(გვ.416).

აქვე უნდა განვიხილოთ **მომნადირებელი//მომნადირებლობა**: **მომნადირებელი** – დამჭერი, შემპყრობია, **მომნადირებლობა** – დაჭერა, შეპყრობა (სარჯველაძე, 2001: 140): „იმა ჭაბუკმა მომნადირა და აღარც კი მიკადრა“(გვ.84).

მთარგმნელი ხშირად იყენებს **უდეტერთა** არქაულ ფორმებსაც: **მუნ** – იქ (სარჯველაძე, 2001:155): „მათი სამყოფი იგი იყო და მუნ ზრდა დაუწყეს“(გვ. 24).

მწვე–ძალიან, ძლიერ: ხელმწიფესა მწვე იამა და დიდად დაუმაძღლა“ (გვ.40).

ყოლე–სრულიადსავით (საბა (1)1991): „მათ თანა შიში ყოლე არა არისო“(გვ.456).

ამრიგად, „ყარამანიანში“ არქაული ლექსიკა საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. ისინი არქაიზაციის მიზნით გამოიყენება.

ძველი ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ დაცულია იშვიათი გამოყენების ლექსიკაც, შენახულია მათი ძველი მნიშვნელობანი.

მოვიყვანო მაგალითებს: „მოლაშქრეთა თავი ხეთა **ფურცელსავით** მიწასა ზედა სცვიოდა“ (გვ.71); „დევთა თავი ხის **ფურცელივით** ცვიოდა მიწასა ზედა“ (გვ.169); „საშინლად განრისხებულმან სისხლისმღვრელის თვალებით ერთი ესე შემოხედა გარდანქემანს, რომ ამ საბრალოს **ხის ფურცელსავით** თრთოლა დააწყებინა“ (გვ.436); „ასე შეშინდა, რომ შემოდგომის **ფურცელივით** თრთოლა დაიწყო“ (გვ.423).

ფურცელი ძველ ქართულში აღნიშნავს **ფოთოლსაც** (ჭუმბურიძე, 1963: 44). იგი ხშირად გვხვდება ძეგლებში: „არცა **ფურცელი** ერთი დავარდების თვნიერ შენსა“ (უდაბნ. მრ. გვ.74) „იხილა ლელვ შორით, რომელსა ესხა **ფურცელი**“ (მრკ. 11, 13)

ფურცელი იშვიათად გვხვდება დღევანდელი თაბახის მნიშვნელობითაც: „რვეულნი ყოველნი რვითა **ფურცლითა** არიან“ (ტიკ. 36,8).

ფურცელნი ფოთლის მნიშვნელობით გვხვდება საშუალო ქართულის სხვა ძეგლებშიც: „ათრთოლდა ხის **ფურცელივით**“ (რუსუდ.12,29) „ცხენისაგან **ფურცელის** ოდნად სუბუქად ჩამოიჭრა“ (ვისრ. 191).

აქარულში (სხვა დიალექტებშიც) ამჟამად **ფურცელი ფოთლის** სინონიმია: „**ფურცელი**“ (ცინცაძე, ფალავა, 1998:130).

ამავე მნიშვნელობით დასტურდება „ჩვენებურების ქართულშიც“ (ფუტკარაძე, 1993: 596).

ამავე კონტექსტში განვიხილავთ **მოღორებასაც**, ის მოტყუებას ნიშნავს: „ერთობასა უნდა ვეცადნეთ ნუთუ სიტყვითა რითმე **მოვადლორით**“ (გვ.34); „მაგრამ რა ვქნა, შენმა ლამაზად ლაპარაკმა **მომადლორაო**“ (გვ.535).

საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც:“ „რად **მოვლორდი**, რად დავბნელდი, ნეტარ ვინლა გამითენოს; თუ გიტყუო, **მოვადლორო**, ღმერთმან რისხვით გამიკითხოს“ (ვტყ.გვ.67); „დიაცურად რად **მოვლორდი**? მე დავუწვავ ამით ალსა“ (ვტყ.გვ.124).

მოლორება მოტყუების მნიშვნელობით გამოიყენება აჭარულ დიალექტშიც. ოლორენს, დაალორე, – ეს სიტყვა გვხვდება მეგრულში. ოლერდინამს, ოლერდინუ ახასიათებს ჭანურს. აჭარულ კილოში **მოლორება** გაფუჭების, გაუფრთხილებლობის, დაუდევრობის მნიშვნელობითაც გვხვდება.

„ყარამანიანში“ **შეჯავრების** ნაცვლად **შეზარდა** გამოიყენება: „ესრეთნი გრძნეულნი იყვნენ, რომ მნახავთა შეეზარებოდა“(გვ.114).

აქვე დასტურდება **სიტყვა ლალა**: „თავისმა ლალამ თეიარ დაშტიმ რომ ნამტირალევი ნახა, მოახსენა“(გვ.275). **ლალა** არის გამზრდელი (შდრ.აჭარული **ლალე**). შ. ნიჟარაძე განმარტავს: **ლალე** გამზრდელია (ჩვეულებრივ მამაკაცი), აღმზრდელი – **ლალა** (ნიჟარაძე, 1972).

ანალოგიურია **გურზი** – ლახტი, რკინის კეტი. „მაშინ სპანდიერ მოუხდა, **გურზი** ხელთაგან წართვა“(გვ.105).

გურზი დაუცავს სამხრულ კილოებს. „მაგას გურზის მეტი რამე არ უშველის (თხილნ.). „ვირემდის იგი **გურზსა** დაჰკრევდა, ქვე დასცა“ (გვ.132); „გურზებ უქნევდენ ერთმანებს და ხოცევდენ“(ფუტკარაძე, 1993:123). აღნიშნული ფორმა დასტურდება „რუსუდანნიანშიც:“„დიდი **გურზი** ეჭირა ხელთა, ჰკრა გულჯავრიანმა კარსა და დალეწა წმინდად“(რუსუდ. 328:11).

ნუზლი საგზალია: **ნუზლი** - საგზალი ესე მოყვარემან რა მოგზაურს საზრდო - სანუზლე (საბა (1)1991:598). მაგ: „ორმოცის დის **ნუზლი** – ხვამალდსა შეიტანეს“(59); „ორმოცი დლის **ნუზლი** ხვამლსა შეიტანეს“(გვ.59).

საგდებელი, იგივე ქამანდი, მარყუჟიანი სასროლი თოკია: „ტყავი გახადა, **საგდებელი** დაწნა ერთი მეორეს გარდააბა“ (გვ.25).

ქამანდი საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში იხმარებოდა ცხენების დასაჭერად, რომელიც, ჩვეულებრივ, ზამთარ-ზაფხულ მინდვრად ჰყავდათ ხოლმე და ამიტომ ნახევრად გარეულები იყვნენ. აქ სიყვარული **გონების მარყუჟიანი თოკით, ქამანდით** შეკვრასთან ასოცირდება. „ქალისა გონებაცა მიჯნურობისა ქამანდი შეეპარა“(გვ.123).

„ყარამანიანში“ ეს სიტყვა გამოიყენება პირდაპირი მნიშვნელობითაც. „იმ **ქამანდს** სარტყელში გამოიბემდა“(გვ.25).

არსებობს მოსაზრება, რომ ეს სიტყვები სამხრული მეტყველების შენატანია სალიტერატურო ენაში (ამგვარი ლექსიკა ძირითადად ჭოროხისა და მაჭახლის ხეობების მკვიდრთა მეტყველებას დაუცავს. ამათგან ზოგი ზოგადად აჭარულისთვისაა დამახასიათებელი და არ დასტურდება სხვა დიალექტებში).

„ქართლში არაბების გაბატონების შემდეგ, VII საუკუნის II ნახევრიდან, კულტურულმა ცენტრმა სამხრეთი საქართველოს დასავლეთ ნაწილში – ტაო-კლარჯეთში გადაინაცვლა, სადაც უფრო მშვიდობიანი პირობები იყო საცხოვრებლად და კულტურული საქმიანობის გასაშლელად. ამ პერიოდში ქართული სალიტერატურო ენა საზრდოობდა მესხური კილოთი“ – წერს შ. ძიძიგური (ძიძიგური, 1960: 160-161).

ანალოგიურად აფასებს ამ მოვლენას მკვლევარი ზ. სარჯველაძეც: „IX-XII საუკუნეების სამწერლობო ქართულის ძეგლებში მრავლდება სამხრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები და გრამატიკული ფორმები, რომელნიც ამ პერიოდის ენისათვის დიალექტიზმებად უნდა ჩაითვალოს“ (სარჯველაძე, 1980: 27).

აღნიშნული საკითხი განხილულია მ. ცინცაძისა და მ. ფალავას მონოგრაფიაში „სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა“ (ცინცაძე, ფალავა, 1998).

იშვიათი ხმარებისაა სიტყვა **გოზაც**. ის სულხან-საბასთან განმარტებულია, როგორც „მშვილდის რქა“, „მშვილდის მწვერვალი“: „ესრეთ მედგრად მოზიდა, რომე **გოზა გოზაზე** მიუწია“ (გვ.159) (ე. ი. ისე მოხარა, რომ ბოლოები ერთმანეთს მისწვდა).

ამავე ძეგლში დასტურდება **ზოსტერიც**, ისიც ქამარს აღნიშნავს: „მურასა **ზოსტერი** წელთა შეება“ (გვ.38). მას სულხან-საბა განმარტავს, როგორც სამღდელო სარტყელს, ქამარს.

ამრიგად, „ყარამანიანში“ დაცულია არქაული ლექსიკური ერთეულები და იშვიათი ხმარების სიტყვებიც.

ბ) აღმოსავლური ლექსიკა

„ყარამანიანში“, როგორც ნათარგმნ ძეგლში, ბუნებრივია უცხოური ლექსიკური ერთეულების პოვნეირება, რომელთა ერთი ნაწილი საშუალო ქართულის სხვა

ბეგლებშიც გვხვდება, ნასესხებია, ზოგი მათგანი კი მხოლოდ დიალექტებშია შემონახული.

„საუკუნეების მანძილზე აღმოსავლურ სამყაროსთან მჭიდრო პოლიტიკურმა და კულტურულმა ურთიერთობებმა გავლენა იქონია ქართულ ენაზე. სხვადასხვა დროს შემოვიდა და დამკვიდრდა აღმოსავლური ენობრივი ნასესხობანი“ (კაშია, 2016: 127).

იადგარი – სახსოვარი, მოსახსენებელია. საბა განმარტავს: „**იადგარი** სხვათა ენაა, ქართულად სახსენებელი ჰქვია.“ **იადგარის**, როგორც სახსოვრის, მნიშვნელობა კარგად ჩანს „ყარამანიანში“: „ჩუმად **იადგარად** დარჩომილ იყო (გვ.63).

დამბურა – სიმებიანი მუსიკალური საკრავი. **დამბურა** (არ.) „ჩვენებურების“ მეტყველებაში საერთო სახელწოდებაა სიმებიანი ინსტრუმენტებისა. ეს სიტყვა „ყარამანიანშიც“ გვხვდება: „ჯიბეში ერთი **დამბურა** ჰქონდა ჭახრაკით“ (გვ.270).

აჭარულში გვხვდება მყარი გამოთქმა „**დამბურას**“ **უკრავს** (ჩაქვი, ორთ. მახინჯ.). **დამბურას უკრავსო**, - იტყვიან ადამიანზე, რომელიც თავის პოზიციაზე მყარად დგას, თავისას აკეთებს, თავნათევაშია. სულხან-საბას ლექსიკონში კი არაა ახსნილი. მ. ცინცაძე და მ. ფაღვა მიიჩნევენ, რომ დამბურასავე უნდა ნიშნავდეს „ვისრამიანში“ დადასტურებული **დუმბულიც** (ცინცაძე, ფაღვა, 1998:202).

დამბურას უკრავს ნეკროტიზმია. „ნეკროტიზმები ისეთი ფრაზეოლოგიზმებია, რომელთა კომპონენტებიც ენაში დამოუკიდებელ ლექსემებად არ გამოიყენება“ (ცეცხლაძე, 2015:12). ამგვარ სიტყვათა შემოსვლა ენაში სპეციალურ ლიტერატურაში ასეა ახსნილი: „ნასესხები სიტყვა ხშირად ისე გამოდის ხმარებიდან, რომ კვალს არ ტოვებს, მაგრამ მათ შემცველად იდიომი რჩება“ (თაყაიშვილი, 1961: 53).

მუნეჯიბი//მუნეჯიმი//მუნაჯიბი ვარსკვლავთმრიცხველს, ასტროლოგს ჰქვია „მარჯვნივ და მარცხნივ **მუნაჯიმი**, აქიმი და უცხო მომღერალნი მოსდევდნენ“ (გვ.62).

აჭარულს დაუცავს **მუნეჯიბი** მკითხავის, მარჩიელის მნიშვნელობით. აჭარულში მკითხავის მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე **ფათერი**: „იქ ყოფილა ერთი **მუნეჯიბი**, **ფათერი**–და, ყველამფერს რომენ გნებულოფს“ (კირნ.).

ყული მონის, მსახურის მნიშვნელობით ფართოდ გავრცელებული სიტყვაა მთელ სამხრულ მეტყველებაში, ხშირად გვხვდება იგი მყარ გამოთქმებში – ფიცის

ფორმულაში: „ღმერთის ყული ვიყო“ ანდა „ღმერთის ყული ყოფილა. ყული ზემოაღნიშნული მნიშვნელობით გვხვდება „ყარამანიანში:“ „ის ქალი უშანგის ყულიაო“ (გვ.272).

თაჯი // **გვირგვინი** დასტურდება ჩვენებურების მეტყველებაში. შ. ფუტკარაძე მას ასე განმარტავს: 1. გვირგვინი. 2. ქოჩორი. „დედოფალს ლამაზი თაჯი ქონდა თავზე“ (ფუტკარაძე, 1993).

თაჯი არაბული სიტყვაა და იხმარება აჭარულშიც, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობით. შ. ნიჭარაძის მიხედვით, **დადაღვა, თალის დაკვრა, თაჯის დადება** – საქონლის საკუთრების გამოსახატავად ნიშანდება“ (ნიჭარაძე, 1971).

როგორც ვხედავთ, აჭარულში **თაჯის** მნიშვნელობა გადაწყვეტილია (ფადავა, ცინცაძე, 1998: 231).

„ყარამანიანში“ **თაჯი** სამეფო გვირგვინს ნიშნავს: „თაჯი თავსა ეხურა და სამამაცოდ შეკაზმული იყო“ (გვ.27); „რაჰიდის წინაშე მივიდა და თაჯი მოიხადა“ (გვ.68); „თავისი მძიმედ მორთული თაჯი აიღო და თავისი ხელით ყარამანს თავს დახურა“ (გვ.420).

ბოლუქი, ბოლუქ-ბოლუქად გუნდ-გუნდად, ჯგუფ-ჯგუფად (ფშაურში გვხვდება **ბოლიქი** – ჯოგი (ლლონტი, 1984).

„ნახა, რომე თოთხმეტი **ბოლუქი** ერთსა ვიწროსა გზისა სიახლოვეს მოვიდნენ“ (გვ.27); „იგი ზღვისაოდენი ლაშქარი **ბოლუქ-ბოლუქად** დაფანტეს“ (გვ.633).

ამავე მნიშვნელობით გამოიყენება **დასტაც** – ჯგუფი, რაზმი, ჯოგი: „დიდად შეშინდნენ და **დასტა-დასტად** გაიქცნენ (გვ.372); „სინდისტნელთ **დასტები** დააწყეს, აიყარნენ და უშანგაბადისაკენ წამოვიდნენ“ (გვ.253).

„ვეფხისტყაოსანზე“ დართულ ლექსიკონში **მუტრიბი** ნიშნავს მომღერალს, „ყარამანიანში“ ამ სიტყვის მნიშვნელობა გაფართოებულია და გამოიყენება მუსიკოსის, დამკვრელის და მომღერლის მნიშვნელობით: „**მუტრიბნი** და მგოსანნი უცხოდ რადმე უზნობდიან“ (ყარ.გვ.33); „მომღერალნი და **მუტრიბნი** არ იყვნეს სულ-დაღებულნი“ (ვტყ.გვ.90).

სელი „ყარამანიანის“ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც სავარძელი. „სელნი დაუდგნა“ ე.ი. სავარძელი დაუდგა: „გარდანიქეშანმან ოქროს სელი მოიღა“(გვ.115); „მონამან ოქროსა სელი მოილო“(ყარ.გვ.118).

შდრ.: „მონამან სელნი დაუდგნა, დაჯდა კრძალვით და რიდიტა“(ვტყ.გვ.54).

ხადუმი (არ.) მსახური, მოახლეა: „რომელ სამასი ათასი მებრძოლი ახლდა, ხადუმთა იმათ შეუტივეს“(ყარ.გვ.69).

შდრ.: „გავიტანე ხადუმები, – მათი ჭმევა ჩემგან ხამსა“(ვტყ.გვ.228).

აქვე უნდა დავასახელოთ **საფი** (არ.) რიგი მწკრივი: **საფი გასწიეს**- ჩამწკრივდნენ, გასწორდნენ. „ორმოცმა ათასმა დევმა საფი გასწიეს და ომს ყურება დაუწყეს“(გვ.233).

ტექსტში უხვადაა ლექსიკური ერთეულები, რომელთა უმრავლესობა გვხვდება სამხრულ კილოებში, მაგრამ ვერ დამკვიდრდა ქართულ სალიტერატურო ენაში.

„ყარამანიანში“ გვხვდება სპეციფიკური აღმოსავლური (თურქული, სპარსული, არაბული) ლექსიკაც: **იელიმი**, **აღაჯი**, **რუბაზი**, **ბაზრი**, **ყაფიჩი**, **ბარყუმი**, **ნარა**, **ყაფიჩი**, **ჩაუმი**, **სტრატილანტი**, **ქურახანი**...

იელიმი (არ.)-ქვეყანა, ხმელეთის ნაწილი: „ამა უშანგ ხელმწიფემან შვიდი იელიმი ხმლითა დაიპყრო“(გვ.25); „ჰე, შვიდთა იელიმთა მპყრობელო“(გვ.45).

აღაჯი (თურქ.) სიგრძის საზომი ერთეულია: „მათისა ფეხისა ხმა ერთსა აღაჯსა ისმოდა“(გვ.26); „მარტორქისა ხვივილი ორსა აღაჯსა ისმოდა“(გვ.62).

რუბაზი არის სიმეზიანი, მუსიკალური საკრავი: „ვერცხლის სკამზე იჯდა და რუბაზს უკრავდაო“(გვ.285).

ბაზრი სპარსული სიტყვაა და ვეფხვს ნიშნავს: „მარადის მისი შექცევა ლომისა და ვეფხვის, ბაზრის და ფალანგვის ხოცვა იყო“(გვ.245).

ყაფიჩი (თურქ.)- მეკარე, კარისკაცი: „მაგრამ მე იმათ ჩემის ყაფიჩის ალაგასაც არ ვაგდებო“(გვ.249).

ბარყუმი თურქული სიტყვაა და ზღაპრულ ფრინველს ნიშნავს: „ბარყუმ წოდებული მფრინველი ერთსა მშვენიერსა მინდორსა გარდახდა“(გვ.162).

ნარა სპარსული სიტყვაა და „ყარამანიანზე“ დართულ ლექსიკონში მას ორი მნიშვნელობა აქვს: 1.ხვადი; 2. ყვირილი, ღრიალი. საკვლევ ტექსტში აღნიშნული

სიტყვა გამოიყენება ყვირილის, ღრიალის მნიშვნელობით: „ყარამანის ნარის ხმა და იგი დევის ხმა ესმოდა“ (გვ.618), „ერთი ნარა გასწია და საჰმანს წინ მოეგება“ (გვ.232).

ქურახანი (სპ.) - ღუმელი, გამოსაწვავი ან გამოსადნობი ადგილი: „თვალეზი ქურახანის სახმილს უგვანდა“ (გვ.303).

სააბყარანი ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, ძლევამოსილია: „მე მნებავს, რომ ქვეყანაზედ სააბყარანობა დავიმტკიცო“ (გვ.577).

ფალანგსარი- ლეოპარდისთავა: „ფალანგსარს ჩვეულება ჰქონდა, რომ ორ დღეში ერთხელ შევიდოდა“ (გვ.355).

მურასა საკვლევ ტექსტში გვხვდება **შემკული**, **მოოჭვილის** მნიშვნელობით: „ერთი მურასად მორთული ფალავანი ინდოეთისაკენ წავიდაო“ (გვ.260).

ხარაჯა ტექსტზე დართულ ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად: გადასახადი, ხარკი: „ერთის ქვეყნის წლის ხარაჯა იყო“ (გვ.674).

ჰუნარი ვაჯკაცობას ნიშნავს: „ახლა შენს ჰუნარს გიჩვენებო“ (გვ.639).

მუასარი არაბული სიტყვაა და საპყრობილეს ნიშნავს: „ჯაჭვი ჩაუცმევიათ და ციხეზედ მიუშვიათ, მუასარი გაუხდიათ“ (გვ.375);

თაჯახანი სპარსულიდან მომდინარეობს, ის გვირგვინის სახლია: „თაჯახანის კარისათვის დასტაბუჩი მოუსხავს“ (გვ.375).

შეშფაიზარი სპარსული სიტყვაა (**ექვსფეხიანი ცხოველი**): „შეშფაიზარს შეჯდა და ხელმწიფეს გამოეთხოვა“ (გვ.401).

არაბული სიტყვაა **მულათი** და ვადას, დროს ნიშნავს: „ერთ თვეს მულათი უნდა ვსთხოვოთო“ (გვ.412).

ხათრიჯამი განმარტებულია „ყარამანიანზე“ დართულ ლექსიკონში (**იმედანი, დარწმუნებული, ხათრი**): „ამაზე ხათრიჯამი ბრძანდებოდეთ“ (გვ.599).

ჯავაჰირი- მრავლობითის ფორმაა და ნიშნავს **ძვირფას თვალს**: „მრავალი ძვირფასი თვალნი და ჯავაჰირი გარდააყარეს“ (გვ.373).

„ისმიაზამი“ (სპარსული) **შელოცვაა**, ხოლო **ჯინჯილები**- **ჯაჭვი**: „იმავ წამს იგი ჯინჯილები დაეწვიტა“ (გვ.219); „რა წამოდგა „ისმიაზამი“ დაწერა“ (გვ.396).

ძეგლში გვხვდება **სამხედრო/ საომარი ტერმინოლოგია**: ჩაუმი, სტრატეილანტი, სარსარდალი, თილი ყამყამი

ჩაუმი (თურქ.) სამხედრო პირი, გამგებელია: „**ჩაუშებმაც** დააწყეს ათას ორას დასტად“ (გვ.263) „ამათ **ჩაუშნი** მოსდევდნენ ორმოცი ათასნი“ (გვ.60).

სტრატეილანტი მხედართმთავარია (საბა(1)1993): „წამოდგნენ დიდებულნი ყოველნი და **სტრატეილანტი**“ (გვ.29).

სარსარდალი იგივე **სარდალია**, „ყარამანიანზე“ დართულ ლექსიკონში განმარტებულია, რომ ასეა სპარსულშიც: **სარსარდარ** (გვ.687). მაგ: „**სარდალნი** და **სარსალდალნი** ყარამანს დაეთხოვნენ“ (გვ.40).

თილი ყამყამი (სპ.)-მახვილი: „**თილი ყამყამის** მეტი არა ერტყა რა“ (გვ.417).

სტროლაბი-ხელსაწყო ვარსკვლავებზე სამკითხაოდ: „**სტროლაბი** აიღე, ჩახედე, ნახე, როგორ იქნება ჩემი საქმე“ (გვ.410) „ყველას **სტროლაბი** ხელთ უჭირავსთ“ (გვ.74).

აქედან მომდინარეობს **მესტროლაბე** – მკითხავი, **ასტროლოგი**.

ამრიგად, „ყარამანიანში“ უხვადაა აღმოსავლური ლექსიკური ერთეულები, ზოგი მათგანი შემონახულია დიალექტებში, ზოგი კი – არა. ისინი თარგმანში უცვლელადაა გადმოსული და მათ სტილისტიკური დატვირთვა აქვს.

4.2. ფრაზეოლოგიზმები „ყარამანიანში“

ფრაზეოლოგიზმები ენის სპეციფიკური ერთეულებია, ისინი უთარგმნელია. საინტერესოა საშუალო ქართულის ამ ნათარგმნ ძეგლში ასახული ფრაზეოლოგია რამდენად შეესაბამება ქართულს, მთარგმნელი რამდენადაა თავისუფალი უცხო ენის გავლენისგან. გამოვლენილ ფრაზეოლოგიზმთაგან რომელია ძველი და რომელი ახალი, ეს ენის ფრაზეოლოგიური სისტემის ევოლუციის საკითხის კვლევასაც წაადგება. ამავე კუთხით საინტერესოა, შეიცვალა თუ არა მათი მნიშვნელობა.

„ყარამანიანში“ მოპოვებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ჯერ შემადგენელი ერთეულების მიხედვით დავაჯგუფებთ, შემდეგ კი სემანტიკურ ბუდეებს გამოვყოფთ.

ნაწარმოებში ყველაზე უხვია **ხელ** კომპონენტის ფრაზეოლოგიური ერთეული: **ხელთ იგდო, ხელში ჩავარდა, ხელი მიჰყო...** ეს უკანასკნელი გამოყენებულია ფრაზეოლოგიზმადაც და სიტყვათა თავისუფალი შეხამებაცაა.

ხელში ჩავდება დაპატრონება, მორევა, ჯობნა, მითვისება, მოხერხებაა, სხვის **ხელში ჩავარდნა** კი – სხვის ნება-სურვილზე გავლა: „როცა **ხელთ ვიგდებ**, მაშინ

გაუწყებ დასჯასა, როგორც გეკადრებათო“(გვ.234); „თუ ხელთ იგდეს ვინმე, შეუქმელსა არ გაუშვებენ“(გვ.642); „ერანის ხელმწიფის ცოლ-შვილი ხელთ იგდო“(გვ.504); „მე ნატრობდი, რომ თითონ ყარამან ხელში ჩამეგდო“(გვ.523).

ძველი აღთქმის ტექსტებში გვაქვს სიტყვათა მყარი შეხამებანი: **ხელთა შინა დასხმა**, ორივე ნიშნავს დამორჩილებას, ხელქვეითად დადგომას, ან ვისამე დაყენებას. „**ხელში ჩაგდება**“ შედარებით ახალი ფრაზეოლოგიზმია.

თავზე ხელის აღება, თავგანწირვა, მოურიდელობაა, ბოროტისათვის მოძულება, ყველაფრის ჩალად მიჩნევა, უპატიოსნო, უხამსი საქციელია: „მეტითა შიშითა თრთოლა დავიწყე, მაგრამ რადგან სირცხვილსა ჩავვარდი, თავზედან ხელი ავიღე“(გვ.498); „ერთმანერთისთვის ხელი აღარ აეღოთ სარანდების კალთაში, ხან ლახტითა, ხან შუბითა, ხმლითა და ისრითა მედგრად ებრძოდათ“(გვ.525).

უკანასკნელ მაგალითში **ხელის აღება** ნიშნავს **ხელის აღმართვას, ცემას, ბრძოლას**.

ამავე ძეგლში გვაქვს **ხელის შენახვა**, რაც **ხელის აღებას, თავის შეკავებას** ნიშნავს: „ხოცვისგან ხელი შეინახე“(გვ.602). ამრიგად, **ხელის აღება** და **ხელის შენახვა** სინონიმებია.

„**ხელის მიყოფა**“ ნიშნავს შეხებას, ხელის მოკიდებას. უკანასკნელ ორ მაგალითში სწორედ ეს მნიშვნელობაა რეალიზებული. ე. ი. „ხელის მიყოფა“ „ყარამანიანში“ მხოლოდ ძველი მნიშვნელობით გამოიყენება, იგი საქმის დაწყებას არ ნიშნავს: „შექმნეს სიხარული დიადი და ღვინის სმასა ხელი მიჰყვეს“(გვ. 33); „რა ესე სიტყვა აასრულა, ომსავე მიჰყო ხელი“(გვ.28); „მობრუნდა და კლიტესა ხელი მიჰყო“(გვ.474); „**ხელი მიჰყო** და მანთეს ყორჩი ცხენისგან აიყვანა“(გვ.105). ამის შესახებ აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაშიც, რომ მოგვიანო ხანის ძეგლებიც დაცულია ამ შესიტყვების ზემოაღნიშნული მნიშვნელობა: **შეხება, ხელის ხლება**. ანალოგიური ვითარება გვაქვს სამხრულ კილოებშიც, კერძოდ, „ზედა აჭარულში, ჭოროხისა და მაჭახლის ხეობების მკვიდრთა მეტყველებაში“(ცინცაძე, ფაღავა, 1998: 143).

ქართული საერთოდაც მდიდარია **გულ-კომპონენტური** ფრაზეოლოგიზმებით. თ. სახოკიას ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონში დადასტურებული აქვს 150-ზე მეტი ასეთი ერთეული. „გული არის აზროვნების პროცესების ცენტრი, სიცოცხლის მატარებელი“(ჩიქობავა, 1938: 66).

სპეციალურ ლიტერატურაში საუბრობენ **გულის** შემცველი ფრაზეოლოგიზმების ორიგინალურობის შესახებ ძველი ქართულის მონაცემების კვალდაკვალ. „შენიშნულია, რომ სახარების ტექსტში, ხშირად, იქ სადაც გარკვეული გუნება-განწყობილება თუ გრძნობაა გადმოცემული, ქართულში გვხვდება **გულის** შემცველი ფრაზეოლოგიზმები, ბერძნულში – არა“ (ბერიშვილი, 2002:108).

გულს უკავშირდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციები. „სტატისტიკის მიხედვით, ზოგადად უარყოფითი სჭარბობს დადებითს, ეს არის უარყოფით-დადებით ემოციათა ასიმეტრიულობა ენაში“ (ფონიავა, 2011: 21).

„დადებით ემოციათაგან სიტყვა გამოხატავს: სიყვარული, სიხარული, კმაყოფილება, მოწონება, სიკეთე, შებრალება, ნუგეში... უარყოფით ემოციათაგან – მწუხარება, შიში, დარდი, ძლიერი განცდა, იმედგაცრუება, გაბრაზება, ჯავრის ამოყრა, სიძულვილი. მასვე უკავშირდება ინტელექტუალური პროცესებიც: ფიქრი, ინტუიცია, მრწამსი, შთაგონება, დამახსოვრება, მონდომება, ასევე ფიზიოლოგიური პროცესები: შიმშილი, ზრდა, ასევე მორალური საკითხები“ (Tandilava, Tsetskhladze, 2015: 103).

ქართულში უხვადაა ამგვარი ფრაზეოლოგიზმი: **გული გაიმაგრა** – გამხნევდა; **გულში ედვა** – გულში დება არის ფიქრი, განზრახვა რისამე გაკეთებისა; **გული დაიმშვიდა** – დამშვიდდა; **გული მოიგო** – გული მოუღობო; **გული მიანდო** – საიდუმლო გაუმხილა; **გული დააჯერა** – დარწმუნდა; **გული მოიბრუნა** – მოღობა, კეთილად განეწყო, შერიგება, წყენა აპატია.

მოვიყვან მაგალითებს „ყარამანიანიდან“: „შვილო, შენი პირი ნათელი იქნებაო, როგორც შენ მე გაჭირვებაში **გული გამიმაგრეო**“ (გვ.282); „ვეზირო, ეგე სახლი, რომელიც შენა სთქვი ფიცით გარწმუნებ, მეც პირველად **გულში მედვა**“ (გვ.549); „ახლა კი სწორედ **გული დავაჯერე**, რომ ისევ ცოცხალი ბრძანდება“ (გვ.472); „რა ჩალაქმა შაბრანგისგან **გული დავაჯერა**, რომ აღარ წავიდა, თავის გულში თქვა: შენც ჩემს ბადეს ვერსად წაუხვალ“ (გვ.428); „ყარამანმა თავის შვილზე **გული მოიბრუნა**“ (იქვე); „შენსა კერპსა **გული მიანდევ**“ (იქვე); „გარდანქეშანმა **გული დავაჯერა**, თავის თავზედა სიკვდილისა“ (გვ.520).

„რა ისინი ერთმანეთს ერკინებოდნენ, ნარიმანს ამათ ყურებაზე გული მოუვიდა“ (გვ. 590).

გულის მოსვლა აქაც გაბრაზებას ნიშნავს, **გულის შემოყრა** კი აჭარულში წყენა, დანადვლიანებაა. „ესე თქვა და დიდად მოიოხრა, გულსა შემოეყრა“ (გვ.350); „ზედა უშანგ- შაკაც შეწუხდა და გულთ შემოეყრა“ (გვ.386); „ხელმწიფემ გული ვედარ შეიმაგრა და თვალთაგან ცრემლი მოუვიდა“ (გვ.466).

გული ვედარ შეიმაგრა იგივეა, რაც **თავი ვედარ შეიკავა**. განსაკუთრებით საინტერესოა ფრაზეოლოგიზმი **გულის გამოცვლა**, რომელიც აზრის, მრწამსის შეცვლას ნიშნავს: „მეც გული გამოვიცვალე და მნებავს თან გაახლო ყარამანთან და ჩემს სიცოცხლეში მას ვემსახურო“ (გვ.45).

გულის შემცველი ბევრი კომპონენტი შიშის სემანტიკას გადმოგვცემს. მათ ცალკე განვიხილავთ: **გულის გახეთქა, გულის დადნობა, გულის ჭრა**.

კომპონენტი **პირი** ამ ძეგლში ფრაზეოლოგიზმის კომპონენტად იშვიათია: **პირის შექცევა** ნიშნავს უარის თქმას; **პირის მორიდება** იგივეა, რაც **პირი იბრუნა**: „მათ რამლი ჰყარეს და ერთმანეთსა პირსა შეაქცევდნენ“ (გვ.139); „პირი მოარიდა და ზურგი შეაქცია, ისრე დაჯდა“ (გვ.285).

ზურგი შეაქცია და პირი მოარიდა სინონიმებია.

თვალ-კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმი თითო-ოროლაა. **თვალის ჭერას** თანამედროვე ქართულში განსხვავებული სემანტიკა აქვს და ნიშნავს მოწონებას, „ყარამანიანში“ კი ცქერას: „ყოვლსა კაცსა მოედანზე თვალი ეჭირა“ (გვ.445); „შვიდთაგან ვეშაპზე რომ ზის, იმაზე მიდით, მაგრამ ახლოს ნუ მიუდგებით, მხოლოდ იმაზე თვალი დაიჭირეთ“ (გვ.377).

თვალის დაჭერა სამხრულში გასათხოვარ ქალზე **თვალის დადგმას ან ხელის დადებას ნიშნავს**. ჩვენებური ქართველების მეტყველებაში ასეთი ფორმები ჯერ კიდევ ცოცხალია. იმის თუალნაჭირავი ქალიაო, – იტყვიან ვინმეს დანიშნულზე. „თვალნაჭირავი მყავს თეთრაკეთ“ (ჩვენებ.226); „მერე სიმღერებ იმღერებდენ გოგოები, ბიჭები; თუალნაჭირავი სიმღერები არი“ (იქვე).

მეტად საინტერესოა **თვალში ეცოტავა**: „უშანგის ლაშქარი არად ჩაიგდეს თვალში, დიახ ეცოტავათ“ (გვ.253).

ხელის შენახვა`ყარამანიანში“ თავის შეკავებას ნიშნავს: „როცა შაბრანგს ხელთ ვიგდებ, მაშინ გაუწყებ დასჯასა, როგორც გეკადრებათო“(გვ.427); „თუ ხელთ იგდეს, შეუქმელს არ გაუშვებენ“(გვ.642); „მე ვნატრობდი, რომ თითონ ყარამან ხელში ჩამეგდო“(გვ.523).

ძველ აღთქმის ტექსტებში გვაქვს სიტყვათა მყარი შეხამებანი. ხელთა შინა დასხმა, ხელთა ქუეშე ყოფნა. ორივე ნიშნავს დამორჩილებას, ქვეითად დადგომას. ხელში ჩაგდება შედარებით ახალი ფრაზეოლოგიზმია.

სულ-კომპონენტის ფრაზეოლოგიზმი „ყარამანიანში“ ცოტაა და უმეტესობა სიკვდილ-სიცოცხლის სემანტიკას გადმოგვცემს:

„ოთხივე ხელი ყარამანს შემოხვია და ასეთი მოუჭირა, რომ სული შეუგუზა“ (გვ.199); „სული შეუგუზა და ცხვირ-პირიდან სისხლი წასკდა“(გვ.315); „ერთი საშინელი კიდევ დაიჭყივლა და სული ხორცთაგან დაცალა“(გვ.199); „ლაშქარი შიშისგან ორად გასქდა და მრავალ დევს სული ამოხდა“(გვ.626). უკანასკნელი ორი ფრაზეოლოგიზმი სიკვდილის სემანტიკას გადმოგვცემს.

„ლაშქარში მოვიდეთ, ნუთუ დრო დავიცეთ და იმა ფალავანს თავი ტანისაგან გავაშოროთ“(გვ.84); „უეცრად ესეთისა საშინელისა ხმითა შეჰყივლა, რომელ მისთა მსენელთა ინდოთა ლაშქართაგან მრავალთა სული გვამთა განეშორათ“(გვ.78); „მრავალ დევს სული ამოხდა“(გვ.626).

ზოგჯერ სათქმელი ევფემიზებულიცაა: „სულეიმან ამა სოფლიდამ განვიდა და მოკვდაო“(გვ.480); „ხვალვე ძალითა ღვთისათა იმათ ორთავე ამა სოფლიდან გამოვასალმებო“(გვ.449).

მეტად საინტერესოა ფრაზეოლოგიზმი: „ბოლოს კიდევ სიკვდილმა კალთა დამიჭირა“ (გვ. 671) (შდრ.: სტრუქტურულად ამას ჰგავს ფრაზეოლოგიზმი „ნამუსმან კალთა შემიპყრა“.

კომპონენტი გონება შედის „ყარამანიანის“ შემდეგ ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში: გონებას მოგება, გონების მიხდა, გონების დატოვება, გონების შემოკრება, გონების მიტაცება, გონებაში დამარხვა: „ფერად-ფერადი ყვავილები იდგა ისეთი, რომ სურნელებითა კაცსა გონებას მისტაცებდა“(გვ.468); „ასეთი დასცა მიწასა,

რომ გონება მიეხადა“(გვ.446.); „არცა გულმან მისმან ყარამანისა გონება დაუტევა“(გვ.115); „ფასკუნჯი გონებას მოეგო“(გვ.619).

გონების მიხდა ნიშნავს გონების დაკარგვას.

ნაწარმოებში ბევრია ფრაზეოლოგიზმი, რომლებიც შიშის სემანტიკას გადმოგვცემს: გული გაუსკდა; ცნობა მიელო; გულში შიში ჩაუვარდა; გულს ფრიად შიში მიეცა; გულმა ძგერა დაუწყო; გული ეჭრებოდა; შიშში შეიყვანა...

„მე შიშით გულს შემომეყრება და უჭკუო შევიქნებო“(გვ.284); „შიში გულსა მისსა ყოლე არა იპოებოდა“(გვ.129); „მე რომ მცირეს ხანს თქვენთან ვიყო, გულს გაგიხეთქავთ“(გვ.285); „გულსა შინა თქვენსა შიში ნუღარა იქნებისო“(გვ.517); „თითოს ამისთანას ისარსა მკრავ და სულ მომშლი ხოლმეო და შიშში შემეყვან“(გვ.430); „ამ მშვენიერ ქალსა შიშისგან ფერი წასვლოდა“(გვ. 349); „შიშითა პირსა ფერი აღარა ქონდათ“(გვ.111); „მეტი შიშისაგან ცნობა მიელო“(გვ.511); „როდესაც ხოსროვშირს შეხედავდა გული ათას რიგად ეჭრებოდა“(გვ. 300).

ეს უკანასკნელი ფრაზეოლოგიზმი „ვეფხისტყაოსანშიც“ გვაქვს: „გული უფრორე დამიჭრა ათიათასმან დანამან“(ვტყ.351,2); „მიშველე, რა, გული ცეცხლმან არ დამიჭრას, არც სრასა“ (იქვე).

მწუხარებისა და ტანჯვის სემანტიკა შოთა რუსთაველთან ასეულობით ფრაზეოლოგიზმითაა გადმოცემული: გულის დადაგვა/ წაღება/ გახეთქა/ დადნობა/ დაჭმუნვება/ დაწვა/ გაშმაგება/გამხეცება/ ატირება/ შეძრვა/ შერხევა/ ატკივება, ლმობა, ვაება... ან კიდევ, გულს ნარის, ლახვრის სობა/ გულის დანით, ცეცხლით დაჭრა/ გულის ავლად დარჩომა/ შექმნა; გულზე ალის, კვამლ-ალმურის მოღება.

იმედი, იმედოვნება „ყარამანიანში“ ასეა გადმოცემული: **იმედი მიეცა, იმედი დადო:**

„სამანის მოუსვლელობისთვის იმედი დაედოთ“(გვ.196); „თავზე მოწყალებიანი ხმა გაიგონა იმედი მიეცა, თავი დაჰკიდა და ღვიძლთაგან ისეთი სულთქმა აღმოახდინა, მსმენელთათვის დიდად შესაბრალისი იყო“(გვ.202).

თანამედროვე ქართულში გვაქვს ამ გამოთქმის სტრუქტურული ვარიანტი– **გული დადო.**

მეტად საინტერესოა სიყვარულის სემანტიკა: გულის შეტრფობა/ სიყვარულის გულში ჩავარდნა/ ტრფიალის ისრის გულში განწონა/ ეშხის ტრფიალის გზნება, ცეცხლის დება/ მიჯნურობის ქამანდის შეპყრობა: „ჩემი გული დიდად შეგეტრფო“ (გვ.534); „გულჩინ მოაგონდა და მისი ცეცხლი მოედო“ (გვ.259); „ქალისა გონებაცა მიჯნურობისა ქამანდი შეეპარა“ (გვ.123).

სიყვარული გონების მარყუჟიანი თოკით, ქამანდით შეკვრასთან ასოცირდება, ქვემოთ მოყვანილ მაგალითში იგი ტვირთია: „რა ქალმან ყარამანს შეხედა, სიყვარულის ტვირთი გაუმრავლდა“ (გვ.103).

„ვეფხისტყაოსანში“ კაეშანი ტვირთის აკიდება გვხვდება და სევდას, მწუხარებას გადმოგვცემს: „შემომყარე კაეშნისა ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა“ (ვტყ.გვ.397).

ხიფათში, განსაცდელში ჩავარდნა ძეგლში მრავალნაირად არის გადმოცემული. ეს ფრაზეოლოგიზმები იყოფა სტრუქტურულ ვარიანტებადაც და სინონიმებადაც: „ის ახლა უფრო დიდად გაფრთხილებული არის და ერთს ხიფათში არაში გაგაბასო“ (გვ.430); „უკანვე გაბრუნდი, განსაცდელში არაში შევარდეო“ (გვ.471); „არც ვინმე შენზე უკეთესი მე მყავს და არც იმა ჭირს შეგაბამ“ (გვ.465).

თავდაღმა ჩამოგატყავებ – ეს მეტად საინტერესო გამოთქმაა, ერთგვარი მუქარაა და მხოლოდ „ყარამანიანში“ გვხვდება: „შენ ამ საქმეს არ შეგარჩენ, შეგიპყრობ და თავდაღმა ჩამოგატყავებო“ (455).

ქართულ ფრაზეოლოგიზმებში შეიმჩნევა კომპონენტების სინონიმების შეცვლის ფართო შესაძლებლობა. სტრუქტურული ვარიანტები ისეთი სინონიმური ფრაზეოლოგიზმებია, რომლებშიც შიდა სტრუქტურა არ ირღვევა და რომელიმე კომპონენტი იცვლება. მოვიძიეთ რამდენიმე სტრუქტურული ვარიანტი: „შიშით მრავალს დევს ნაღველი გაუსქდა“ (გვ.629); მათ შიშით გული გაუსკდებოდათ“ (გვ.304); „მისსა მნახველსა დევსაცა შიშით გული გაუსკდებოდა“ (გვ.159); „მისსა მხილველსა შიშით ნაღველა გაუსქდებოდა“ (გვ.161).

მწუხარებით გამოწვეული სევდა ამ ძეგლის მიხედვით ხან გულიდან ამოდის, ხან ღვიძლიდან: „ასეთი შეწუხებული სულთქმა გულითგან აღმოახდინა“ (გვ.299);

„ყარამან ეს სიტყვა გაიგონა და საზარელი სულთქმა ღვიძლითგან აღმოახდინა“ (გვ.35).

„წყენის გამოსახატავად თურქულში სხვათა გვერდით გამოიყენება გამოთქმები: ღვიძლში ისარივით ჩაესო – Ok gibi cigerine isledi. ღვიძლი ეწვის –Cigeri yanar, Cigeri parcalarir – ღვიძლი ეფლითება ქართველი კი არცერთ შემთხვევაში გულს არ ჩაანაცვლებს სხვა სიტყვით. ნათარგმნ ძეგლებში, „ვისრამიანსა“ და „ყარამანიანში“ ასეთ გამოთქმებში ღვიძლი გამოიყენება: „მოაბადს ღვიძლს ცეცხლი ედებოდა“ (ვისრ.127,4). თუმცა დიდი დარდის გამოსახატავად ქართულში გულთან ერთად გვხვდება ღვიძლიც: გულ-ღვიძლში ცეცხლი დაუტრიალდა“ (Tandilava, Tsetskhladze, 2015:123).

საგმირო-საფალავნო რომანში ყველაფერი ძალასა და შეძლებაზე არაა დამოკიდებული. მტერზე მზაკვრულად თავდასხმას, დროისა მოხელთებას გადმოგვცემს ფრაზეოლოგიზმები: ჟამი იგდო, ჟამი ერგო, ჟამი დაეცა: „დღესა ერთსა ჩემზედა მტრობისა ჟამი იგდო“ (გვ.123); „რა ყათრანს ჟამი ერგო, მანცა რამდენიმე ლახტი დაჰკრა“ (გვ.31); „აზღანუზის ქალსა ფერიას ჟამი დაეცა და ის ჯადო მოეკლა“ (გვ.35); „ჟამი ყოვლისა კაცისა მოიწია წინაშე ჩემსა“ (გვ.6); „ამჟამად დევებმან დრო დაიცეს და ორთავე მათ ყმაწვილთა ზედან სამტრო ჟამი იგდე“ (გვ.24); „თუცა ღვთის ჟამი დაგვეცა, თვისსა ამბავსა თვითეულად თვითონ მოგახსენებთ“ (გვ. 37).

ამრიგად, გვაქვს სტრუქტურული ვარიანტები: ჟამის გდება//რგება//დაცემა// მოწვევა. ისინი ერთი სემანტიკის გადმოცემას ემსახურება.

აქვე გვხვდება ფრაზეოლოგიზმი კუდით ქვა ასროლინა: „მარდუმხორებს დაერივნენ და სულ კუდით ქვა ასროლინეს“ (გვ.387)

სასაუბრო სტილისაა ყბის დადგმა, რომელიც კბილის დადგმას, კბილის ჩამოსობას უნდა ნიშნავდეს: „ასეთს რიგად დამადგამ ყბას ხოლმე“ (გვ.413);

„ნაფაზი შეეკრა და ვერ ამოისუნთქა“ (გვ.342). ნაფაზი არაბული სიტყვაა და სუნთქვას, სულს ნიშნავს. ამავე ძეგლში უფრო ხშირად გამოიყენება სინონიმური ფრაზეოლოგიზმი სული შეუფუბდა.

სტრუქტურული ვარიანტებია ცნობის//ჭკუის დაფანტვა: „ეს რა ამბავი იყო, რომე ესრედ ცნობა მიგვეფანტა?“ (გვ.79); „მასვე წამსა ფალავანთაგან ჩვენთა ჭკუა დაგვეფანტა“ (გვ.79).

„ყარამანიანში“ ბევრია ფრაზეოლოგიზმის სტრუქტურული ვარიანტი: შიშით გული გაუსკდა//ნადველი გაუსკდა; სულთქმა გულითგან//ღვიძლთაგან აღმოახდინა... მეტად საინტერესოა თვალში ეფუქსავატა, აქვეა თვალში ეცოტავაც.

ძეგლში სხვაც ბევრია ამგვარი გამონათქვამი: „ხელმწიფისა სიახლოვესა მისულიყო და საქმე მისი მარჯვედ მოეყვანა“ (გვ.87); „ღმერთს მადლობა მისცეს, ყარამან დალოცეს და ქება შეასხეს“ (გვ.234); „ლაშქარნი დიდად გაჰკვირდნენ და ყარამანს ქება შეასხეს“ (გვ.432); „უშანგ-შასაგან ჩვენთა ლაშქართა დიდი ზიანი დაემართათ“ (გვ.73); „ყარამანმა სალამი მისცა, და აჰანდილმა სალამი არ ჩამოართვა“ (გვ.432); „თუ თქვენი ნებაც იქნება დასტური მიზოძეთ“ (გვ.260).

სირცხვილის გმობა, უსირცხვილობა, მხატვრულ ფრაზეოლოგიზმებში ასეა გადმოცემული:

„რამინ სირცხვილსა ფარდაგი დახია“ (ვისრ. 60,31); „შენ რომელსა სირცხვილისა ფარდაგი პირთაგან აგიკვეცია“ (გვ. 96).

ეს ორი ფრაზეოლოგიზმი ძალიან ჰგავს ერთმანეთს და ჩვენი აზრით, სპარსული წყაროდან მომდინარეობს. ცნობილია, რომ ორივე ძეგლი სპარსულიდანაა ნათარგმნი, „ქართულში გვაქვს ამავე სემანტიკის ფრაზეოლოგიზმი ნამუსის ლეჩაქის ახდა, რომელიც სიწმინდის შელახვას ნიშნავს“ (სახოკია, 1979: 451).

„ყარამანიანის“ ფრაზეოლოგიის შესწავლამ შემდეგის თქმის საშუალება მოგვცა: ამ ძეგლის მთარგმნელი ძირითადად ქართულ ფრაზეოლოგიზმებს იყენებს, ზოგჯერ მიმართავს პირდაპირ თარგმანს, ამასთანავე, ქმნის ახალ იდიომებსაც.

4.3. „ყარამანიანის“ ინტერტექსტი

„ყარამანიანის“ თარგმანზე შეინიშნება „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისრამიანის“ გავლენის კვალი, უპირატესად ანდაზებსა და გამოთქმებში. ბუნებრივია, თავის მხრივ, მას გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს სხვა სარაინდო რომანებთან.

ქალისა და მამაკაცის უფლებრივ თანასწორობაზე საუბრობენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, „ყარამანიანში“ სარვიხურამანისთვის შეურაცხყოფელია ყათრანის მისდამი

დამოკიდებულება და ცდილობს თავისი სიმამაცით ტოლი არ დაუდოს ფალავანს. ის ამბობს: „თუცა ლომისა ხვადი ლეკვი ლომი იქნება, ძუცა ეგრეთვე ლომია“ (ყარ.გვ.96); ეს გამოთქმა უმაღლ მოგვაგონებს რუსთაველის აფორიზმს: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია“ (ვტყ. გვ.20).

„ყარამანიანში“ ვკითხულობთ: „ესრეთ მეცნიერნი და ტკბილმოუბარნი იყვნენ, რომელ, თუ ვსთქვა, გველსა ხვრელით აღმოიყვანდნენ“ (ყარ.გვ.116); „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ (ვტყ.გვ.288); აქ შოთა რუსთაველის აფორიზმის ნაწილი ტექსტშია ჩაქსოვილი.

ავთანდილი ტარიელს მოუწოდებს ჭირს გაუმაგრდეს, გარდანქემანი კი ცდილობს გასაჭირს მოთმენით სძლიოს:

„მერე თავის გულში თქვა:ჭირსა მოთმენა შვენისო“ (ყარ.480);

„ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“ (ვტყ.გვ.285).

ორივე პოემაში მეგობრობა წარმოდგენილია არა როგორც უბრალო ყოფაცხოვრებითი ურთიერთობა ადამიანთა, არამედ მეგობრებს შეუძლიათ გაჭირვებაში მყოფი მეგობრისთვის თავი გასწიროს და განსაცდელს უშიშრად შეხვდეს:

„სჯობს, საყვარელსა მოყვარე რაზომცა დაუძაბუნდეს“ (ვტყ.გვ.179); „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად“ (ვტყ.გვ.224);

ანდა: „ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს,

ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს“ (ვტყ.გვ.94).

„მამაცნო თავსა თვისსა მოყვასსა თვისსა ანაცვლებენ“ (ყარ.გვ.113); „ესრეთ მოშიშრისა ამხანაგისა ყოლასა, ღმერთო, უყოლობა სჯობსო“ (ყარ.გვ.85);

ავტორები მოუწოდებენ მკითხველს მიზნის მისაღწევად იბრძოლონ, ბედს ადამიანები ქმნიან და მონდომების შემთხვევაში ღმერთი გაამარჯვებინებს:

„ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“ (ვტყ.გვ.288);

„ვთქვი, თუ: „ღმერთსა ვერას ვჰკადრებ, რაცა სწადდეს, აგრე ვყოცა“ (ვტყ.გვ.133);

„კაცი ცდას არ უნდა დაზარდეს და ღმერთი იქნება შემწეო და თუ არა და ნება ღვთისაა“ (ყარ.გვ.217).

ადამიანის ბედი უფლის ხელშია, ვისაც რა უწერია ის, გადახდება თავს, შიშით ბედისწერა მაინც არ შეიცვლება, ამიტომ სჯობს განსაცდელს კაცი არ შეუშინდეს და მამაცურად დაუხვდეს: „გულოვანთა შიში ყოლე არა ეკადრებაო. რაცა ღვთისა განგებაა, იგი იქნასო“(ყარ.გვ.134); „ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად“(ვტყ.გვ.58).

„ვეფხისტყაოსნის“ და „ყარამანიანის“ პერსონაჟები არ ტირიან და ჭირს არ უშინდებიან, განსაცდელს მოთმინებით იტანენ: „მერე თავის გულში თქვა: ჭირსა მოთმენა შევნიშო“(ყარ.გვ.480); „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე, უნდა ვით ქვითკირსა“(ვტყ.გვ.285).

მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ XII საუკუნის ლიტერატურული ქმნილებანია. „ამირანდარეჯანიანის“ სახით ჩვენ გვაქვს ნიმუში რაინდული, სადევგმირო რომანისა, რომელშიც მოცემულია რაინდული სამსახურის ჭაბუკის თვისებების კოდექსი და ხაზგასმულია ფიზიკური ძალ-ღონის, მამაცობისა და ვაჟკაცობის კულტი“(კეკელიძე, 1958: 84).

ასევეა „ვეფხისტყაოსანშიც,“ მაგრამ უფრო მაღალმხატვრულად და ასევე შეუდარებლად უფრო მაღალმხატვრულად, ვიდრე მოსე ხონელთან და „ყარამანიანში“ დიახაც, უკანასკნელ ორში ხაზგასმულია ფიზიკური ძალისა და მამაცობის კულტი, შოთა რუსთაველთან კი ზნეობრივი სისპეტაკისა და სიყვარულის ძალაზეა ყურადღება გამახვილებული. „ამირანდარეჯანიანის“ და „ყარამანიანის“ გმირებისათვის უმაღლესი სულიერი ღირებულებაა თავიანთი ფიზიკური სიძლიერის დემონსტრირება, შოთა რუსთაველის გმირებისათვის კი – მოყვასის სიყვარული და ქალის საკრალური აპოთეოზი.

ავტორები გმირთა სიძლიერის დასახატავად, იყენებენ შედარებას, ისინი ლომს კლავენ, როგორც კატას:

„მზეჭაბუკი ვით კატასა, ეგრე ხოცდის ლომთა“(ამირ.გვ.184); „მზეჭაბუკი ვით კატათა ჰკლავდა ლომთა“(ყარ.გვ.186); „ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა, ვხოცდი ლომთა“(ვტყ.გვ.102).

გმირთა ფიზიკური სიძლიერის საჩვენებლად „ვეფხისტყაოსნის“ და „ყარამანიანის“ ავტორები იყენებენ ჰიპერბოლას. გმირები ცხენების და ადამიანთა

გვამებისგან გორას დგამენ, თან ცხენის და კაცის მოკვლა შეუძლიათ იარაღის ერთი დაკვრით: „ცხენსა და კაცსა შუა გაკვეთდა და რომელსაცა ხელსა მიჰყოფდა და მეორესა შესტყორცნიდა, ორნივე უსულო იქმნებოდიან“(ყარ.გვ.99); საერთოა ბრძოლის ამგვარი მეთოდი: „კაცი კაცსა შემოვტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი“(ვტყ.გვ.140); „თვითოს ლახტის დაკვრითა ცხენსა და კაცსა ძირს დასცემდა, რომელსა აიყვანდა, ერთს მეორეს შემოსტყორცნიდა, ორივე უსულო იქმნებოდა“(ყარ.გვ.267); „კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა“(ვტყ.გვ.140).

საერთოა ასევე „შვიდი ცის ბრუნვის“ გამოყენება, რაც შუასაუკუნეთა ასტროლოგიური წარმოდგენების მიხედვით, ადამიანის ბედის განმსაზღვრელია.

მეშვიდე ცა ყველაზე მაღალ ცას ნიშნავს: „თუმცა მოენდომებინა, შვიდის ცის ჩარხის ბრუნვას გადახტებოდა“(ყარ.გვ.239); „რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა“(ვტყ.გვ.260).

ორივე ნაწარმოებში ხელმწიფის თვისებები ერთნაირია, მათთვის დამახასიათებელია: **მოწყალეობა, თავმდაბლობა, სამართლიანობა, ღვთისმოყვარეობა:** „და თუ იყო ხელმწიფე, მოწყალე და მოსამართლე იყავ და ჭეშმარიტი ღმერთი გიყვარდეს, თუ იყო სააბყირანი, თავმდაბლად იყავი და უღმერთოდ საქმეს ნუ დაიჭერო“(ყარ.გვ.672):

„იყო არაბეთს როსტევეან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებინი“(ვტყ.გვ.38).

ნესტანი და ყამარლუხი სილამაზის მთვარესა და მზეს ჩრდილავენ, ისინი „მთვარესა უმჯობესობდა და მზესა მისად სადარად არად იტყოდიან“(ყარ.გვ.41); „მთვარისა მსგავსი, შვენებით მზისაგან ვერ შეფლობილი“(ვტყ.გვ.102).

შეყვარებულ ადამიანს მართებს მოთმინება, „მრავალ წყენათა“ გაძლება: „თუ კაცმან მიჯნურობა არ დაითმინა, ღმერთო, იგი ფათერაკსა დიდსა წაეკიდებისო“(ყარ.გვ.115); „ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“(ვტყ.გვ.35).

„ვეფხისტყაოსნის“ გმირებისთვის ღმერთია ყველაფრის შემქმნელი და ყველას შემწე. ასე ფიქრობენ „ყარამანიანის“ გმირებიც: „კაცის დოვლათიცა და ბედიც სულ ცისა და ქვეყნის შემოქმედი ღმერთი არისო. როდესაც დაიბადება, იმას თავის ღირსებისამებრ ცხოვრებას არ მოაკლებსო“ (ყარ.გვ.572);

„ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად;

ვინ არს ძალი უხილავი შემწე ყოვლთა მიწიერთად“ (ვტყ.გვ.170).

ავტორთა შეხედულებები ემთხვევა მაშინაც, როცა წუთისოფელზე საუბრობენ. მათთვის სოფელი ცრუ და მოღალატეა, მუდამ ავისმქნელია: „თუ ცრუ სოფელი ასე მსწრაფლ მიღალატებდა, უმჯობესი იყო იმ ჯადოსთან დავმპალიყავი“ (ყარ.გვ.66); „ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქნელია“ (ვტყ.გვ.86).

ამრიგად, როცა ვსაუბრობთ პარალელებზე „ვეფხისტყაოსანსა“ და „ყარამანიანში“, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი საფუძვლიანად იცნობდა ამ წარმოებებს და განიცდიდა მათს გავლენას. ეს კარგად ისახა თარგმანშიც.

4.4. სინონიმების სტილისტიკური ფუნქციები

სინონიმია, როგორც ენის განსაკუთრებულ შესაძლებლობათა გამოყენების სფერო, დიდი სიმდიდრეა ადამიანის აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად. სინონიმების შერჩევა მკვეთრად გამოხატავს მოქმელის შემოქმედებით ხასიათს, იდეურ-ესთეტიკურ მრწამსს.

სინონიმების შესახებ მსჯელობას ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ვხვდებით.

„განვითარებული სინონიმია, მნიშვნელობით ერთმანეთთან ახლოს მდგომი, მაგრამ ნაირნაირი დამატებითი აზრობრივი, ექსპრესიულ-ემოციური ელფერებითა და სტილური იერის მიხედვით განსხვავებული სიტყვების სიუხვე შესაძლებლობას იძლევა ამოვარჩიოთ საჭირო სიტყვა აზრის, გრძნობის გამოსახატავად, გამოსახატავი ობიექტისადმი მოლაპარაკის ან მწერლის დამოკიდებულების გადმოსაცემად... სემანტიკურად დიფერენცირებული სინონიმები წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა აზრის ელფერების, ზოგჯერ მეტად ფაქიზი ელფერების ზუსტად გადმოცემის საშუალებას“ (Морен, Тетеревникова, 1960: 192-193).

საგნის ან მოვლენის სრულყოფილად დასახასიათებლად „ყარამანიანში“ ხშირად ერთმანეთის გვერდიგვერდ რამდენიმე სინონიმი გამოიყენება: **მრისხანება-წყრომა, საშინელი-საზარო, შეჭირვება-შეწუხება, ჭვრეტა-ყურება-ნახვა.**

მრისხანება და წყრომა სინონიმებადაა გამოყენებული ერთსა და იმავე წინადადებაში:

„ყარამან მტერზედან **განრისხებულა**, ღრუბელსავით გრგვინავს და მხეციცა მისი ესრეთ **გამწყრალა**, რომელ სამტეროდ მაზედან მისვლა სულიერსა არ შეუძლიან“ (გვ.78).

საშინელი/საზარო: „ესეთისა **საშინელისა** ხმითა შეჰყივლა, რომელ მისთა მსმენელთა ინდოთა ლაშქართაგან მრავალთა სული გვამთა განეშორა“ (გვ.78); „**საზაროთა** ხმითა შემოგვყივლა და მასვე წამსა ფალავანთაგან ჩვენთა ჭკუა დაგვეფანტა“ (გვ.79).

შეჭირვება/შეწუხება: „რა დავარ ციხესა მივიდა, ნახა, ციხესა მყოფნი ძნელსა **შეჭირვებასა** მიცემულან“ (გვ.149); „რა ყარამან მეციხოვნეთა ეგრეთ **შეწუხება** ნახა, დიდად შეეწყალა“ (გვ.150).

ჭვრეტა/ ყურება/ ნახვა: „შუბს დაებჯინა და ლაშქართა **ჭვრეტა** დაუწყო“ (გვ.270); „ნახვა და მუსაიბობა კმა არის, აწ გავიდეთ და ყარამანისა ბრძოლასა **უყუროთო**. ზე ადგნენ და ომისა **საჭვრეტლად** გარე გამოვიდნენ“ (გვ.152); „ამა მთაზედა ვლიდი და ლაშქართა **უჭრეტდიო**“ (გვ.82); „რა შენ მირჩევ და მისთანა ხელმწიფისა **სანახავად** მეპატიჟები, მეც წამოვალო“ (გვ.36).

ჩინებული/ კარგი: „ეგრეთვე დიდი პატივი მიაპყრა და **ჩინებულსა** ადგილსა დასვა. ეგრეთვე ყარაიფ მოიკითხა და **კარგსა** ადგილსა დასვა“ (გვ.530).

„ჰე, მეფისა ასულო, კვალად **საომრად** მოხვალო? ქალმან უპასუხა: არა, **საბრძოლველად**, არამედ მშვიდობისთვის ვისწრაფი“ (გვ.109).

ჩამოვარდა/მოეშალა: „ყარამან განრისხებულმან სარვიხურამანს თავსა ესეთი ლახტი დაჰკრა, რომე პირისა საბურავი **ჩამოვარდა**. რა პირსა საბურავი **მოეშალა**, ყარამან შეხედა“ (გვ.82).

გაემართნენ/წავიდნენ: „**გაემართნენ** ყარამანისაკენ და **წავიდნენ**“ (გვ.35).

„ყარამანიანში“ ხშირია ძველი და ახალი, უცხოური და ქართული ფორმების სინონიმებად გამოყენება. მაგ.:

მეჯლისი/ნადიმი/ლხინი: „მკერდგადახეული წავიდა თავის კარვისაკენ და მეჯლისში შეიქმნა“(გვ.325); „ქეთევან-შაჰ და ოჰყალი ჯადო ნადიმად დასხდნენ“(გვ.326); „ერთის კარვიდამ **ლხინისა** და საკრავის ხმა გამოდიოდა“(გვ.270).

ვეფხვი/ ბაბრი: „რომელ მარტორქაზედ იჯდა, ისიც ერთს ვეფხვად გარდაიქცა“(გვ.323); „მარადის მისი შექცევა ლომისა და ვეფხვის, **ბაბრის** და ფალანგვის ხოცვა იყო“(გვ.245).

გურზი/ლახტი: „ხან **ლახტი**თა, ხან შუბითა, ხლმითა და ისრითა მედგრად ებრძოლათ“(გვ.259); „**გურზი** ორად გაუწყვიტა და მთისაოდენი დევი ორად გაჰკვეთა“(გვ.137).

დასტა/რაზმი: „მარტორქაზედაც შესხდნენ, **დასტები** დააწყეს, მემარჯვენენი და მემარცხენენი განაწყეს, **რაზმები** დააწყეს და საომრად გაემართნენ“(გვ.321).

ალაგი/ადგილი: „ნაომარი **ალაგი** სულ დაჩხრიკეს და ვერსად იპოვეს“(გვ.258); „ყარამან ხმლითა ჩინეთსა **ადგილი** მრავალი დაიჭირა“(გვ.42).

ქამანდი/საგდებელი/ზოსტერი: „მურასა **ზოსტერი** წელთა შეება“(გვ.38); „**ქამანდი** ხელიდამ გააგდო და მწუხარედ გულჩინს დაუწყო ყურება“(გვ.259); „ტყავი გახადა, **საგდებელი** დაწნა ერთი მეორეს გარდააბა“(გვ.25).

გააშტერა/უცნობო შეიქნა: „ლაშქარი დიდად **გააშტერა** და არცა არავის ამისთანა ძალ-გულობა ენახათ“(გვ.გვ.314); „ყველა იქ მსხდომნი ქალები **უცნობო** შეიქმნენ“(გვ.271).

ქეშიკი/ყარაული: „ნახა რომ მისი ქეშიკნი მღვიძარობდნენ“(გვ.262); „იმჟამად იგი **ყარაულნი** ერთად შეიყარნენ“(გვ.306).

ხადუმი/ყული: „რომელ სამასი ათასი მებრძოლი ახლდა, **ხადუმთა** იმათ შეუტივეს“(გვ.69); „ის ქალი უშანგის **ყულიაო**“(გვ.272).

თაჯი/გვირგვინი: „**თაჯი** თავსა ეხურა და სამამაცოდ შეკაზმული იყო“(გვ.27); „**გვირგვინი** მისი ესრეთ ცარიელი დაუტევებიეს“(გვ.67).

„პოეტური ენა ფასდება შესრულებული ესთეტიკური ან პოეტური ფუნქციით...პოეტური ენა არის შემოქმედებითი ენა და რამდენადაც

შემოქმედებითობა საზოგადოდ ესთეტიკურ სფეროს განეკუთვნება, პოეტური ენა შემოქმედების ერთ მნიშვნელობას ასახავს. როცა სინონიმები ერთმანეთის გვერდიგვერდ იხმარება, ისინი ერთმანეთს ავსებენ, აზუსტებენ, განსხვავებულ შეფერილობას უსვამენ ხაზს“ (Якинძი, 1975:238-239).

მხატვრულ ლიტერატურაში სინონიმები ხშირად ავტორისმიერია. ასეთ სიტყვებს პოეტიზმებსაც უწოდებენ. „პოეტურ მეტყველებაში სინონიმების ხშირი გამოყენება შეიძლება გამოწვეული იყოს მისწრაფებით, იპოვოს უკვე ცნობილ საგნებსა და მოვლენებში ახალი შეფერილობა, ახალი ელფერი“ (პოპიაშვილი, 2009: 240).

ამრიგად, „ყარამანიანში“ გამოყენებული სინონიმები ერთმანეთის ერთმანეთს ავსებენ, აზუსტებენ. როცა ერთსა და იმავე წინადადებაშია ისინი გამოყენებული, მათ ტავტოლოგიის თავიდან აცილების ფუნქცია აკისრია.

4.5. ანდაზა-აფორიზმების სტილისტიკური ფუნქცია

ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სიბრძნე ჭეშმარიტი, სარწმუნო წყაროა. ანდაზას არგუმენტის ფუნქცია ეკისრება, შეუძლია მსმენელისა თუ მკითხველის დარწმუნება ნათქვამის ჭეშმარიტებაში.

„ყარამანიანის“ ავტორი ანდაზების პერიფრაზირებას, მოდერნიზაციას მიმართავს შესადარებლად, ანალოგიისთვის, აზრის ალევორიულად გადმოსაცემად: „სიკეთისაებრ მაგიერი სიკეთისა მიგება უნდაო“ (გვ.47); „ასეთი საქმე არა ჰქნა, რომ ქვეყანაზე საკიცხველად არ დაიდვაო“ (გვ.573); „უიარალოდ ღალატით კაცის სიკვდილი არ ვარგაო“ (გვ.514); „უნამუსონი ნიადაგ ნამუსიანზედ იცინიანო“ (გვ.342); „წასულს საქმეს არღარა ეშველება რაო“ (გვ.539); „მუხთლად სიკვდილი დიდად უწესო რამაა“ (გვ.350).

ჩვენთვის ცნობილი ანდაზაა: ზღვა კოვზით დაილევაო, საკვლევ ტექსტში დასტურდება ანტიანდაზა: „მაგრამ ზღვას კოვზით, წყლის ამოდებით რა მოაკლდება“ (გვ.545).

4.6 დისფემიზმის სტილისტიკური ფუნქციები

ცოცხალ მეტყველებასთან სიახლოვით აიხსნება დისფემიზმების გამოყენება. ის ევფემიზმის საპირისპირო ტერმინია, დადებითი ან ნეიტრალური სიტყვის

უარყოფითი, არასასიამოვნო ან შეურაცხმყოფელი სიტყვით ჩანაცვლებაა. „მნიშვნელობა ანიჭებს სიტყვას ესთეტიკურ ფუნქციას, რითაც იგი ახდენს ადამიანზე დადებით ან უარყოფით ზემოქმედებას. სწორედ ამიტომ განვითარებული საზოგადოება კეთილმეტყველებისკენ მიისწრაფვის. საზოგადოების განვითარების დონე განსაზღვრავს ენაში ევფემიზმების სიმცირეს ან სიჭარბეს“(ნინიძე, 2016: 225).

„ყარამანიანისთვის არაა უცხო დისფემიზმთა გამოყენება. ტექსტში რამდენიმე ასეთი ფორმა გამოიყოფა. მაგ. **თმაასაკვეცი, როსკიპი, უნამუსო**: „ვერ ხედავთ, ესე **თმაასაკვეცი** ვითარსა საქმესა ჩადისო?!“(გვ.94); „ჰე, **თმა ასაკვეცი**, რასა საქმესა ლამიო?!“(გვ.97); „ესე **თმა ასაკვეცი** ვითარსა საქმესა ჩადისო?! (გვ.94); „ჰე, **როსკიპო** დიაცო, ეგე ოდენსა რადა სტირ“(ყარ.გვ.136); „შე **უნამუსო** და პურ-მარილის მგმობელო და უმსგავსო“(გვ.419).

„ყარამანიანში“ გვაქვს ვულგარული იდიომაც: **გუშინდელი გამომძვრალი**. `გუშინდელის გამომძვრალის ბიჭისაგან როგორ მაფრთხილებს“(გვ.565).

„ყარამანიანში“ დისფემიზმები უარყოფითი პერსონაჟების დასახასიათებლად, გაბრაზების, წყრომის, აგრესიის გამოსახატავად გამოიყენება.

§ 5. სიტყვაწარმოება „ყარამანიანში“

5.1. წარმოქმნილი სახელები

ა) ხელობის სახელები „ყარამანიანში“ იწარმოება მე-ე აფიქსით: **მესპილოე** სპილოს მოძვლელია: „თვითო ზანგი **მესპილოე** მას ზედან იდგა“(გვ.115).

მეჯელგე-მარევი, ნადირის გამომრევი,- ასეა განმარტებული „ყარამანიანზე“ დართულ ლექსიკონში: „**მეჯელგემან** ალყა შემოავლო“(გვ.121).

რამლი ნიშნავს ქვიშას, სილას; აქედანაა მიღებული მერამლე ანუ მკითხავი, წინასწარმეტყველი: „ახლა ამ მერამლემ ჩვენ რომ შეგვარცხვინოსო, მოდი, გავბრუნდეთო“(გვ.294).

მეისტორიენი– ისტორიკოსები: „ასე იტყვიან მეისტორიენი: ორმოცი ათასი ხვადი დევი ყარამანს მიუხდნენ“(გვ.633).

ჯუფთი ნიშნავს ტოლს, წყვილს აქედან მეჯუფთარე: „მას უკან ქალნი ისხდნენ მშვენიერნი, მთვარისა მეჯუფთარენი და მზისა მოკამკამენი“(გვ.366).

თილისმა არის მამაჯადოებელი რამე ნივთი, აქედან მეთილიმე: „ქელაშ მეთილისმემ თილისმა რამე ქნა“(გვ.171).

მეკარე სასახლის კარის მცველია: „საწოლისა კარსა ორი რვალისა ლომი მეკარეთა დააყენა“(გვ.171).

საგდებელი მარყუჟიანი სასროლი თოკია, აქედან - მო-ე კონფიქსიანი ხელობის სახელი მოსაგდებლე: „გაიწია და ოთხასივე მოსაგდებლე ცხენისაგან გარდმოყარნა“(გვ.58).

ბ) ხარისხის სახელები.უფროობითი ხარისხის ფორმები იწარმოება მიმართებითი ზედსართავისგან უ-ეს აფიქსით: „ჰე, მეთილისმეთა ყოველთა უალრესო“ (გვ.47); „შვენებით ყოველთა უალრესო და ძლიერებით უმჯობესო“(გვ.91); „ქვეყანასა ზედა უწარჩინებულესო და თავისა გამომჩენელო“(გვ.484); „მეორეცა და მესამეცა უძლიერესად დაჰკრა“ (გვ.78); „მეორედ უფრო უნამეტნავესი ხმა მოესმა“(გვ.197); „მაშინ უნამეტნავეს მწუხარებას მიეცნენ“(გვ.380); „რომელიც რომ მათში უმხნესი იყო“(გვ.481).

გ)ქონების ზედსართავი სახელები

-ოვან' სუფიქსიანი ქონების ზედსართავი სახელები ჭარბობს ძველ ქართულში, „ყარამანიანშიც“ ბევრია ასეთი ფორმა: „ამ სიტყვის ასიმ აიარი მივიდა და თავის საჯდომს ექვსფეხოვანს გარდაეხვია“(გვ.199); „ყარამან ექვსფეხოვანს და ოთხთვალოვანსა მხეცა მჯდომი ერთის მხრით მოვიდა“ (გვ.70); „ერთს ფალავანსა ექვსფეხოვანსა და ოთხ-თვალოვანს ნადირს“(გვ.79); „თვისსა ექვსფერხოვანსა და

ოთხთვალოვანსა მხეცსა შეჯდა“(გვ.73); „მაშინ ყარამან თვისსა ექვსფეხოვანს ნადირზე შეჯდა“(გვ.67); „ექვსფერხოვანს ნადირზედ ზის და ლაშქართა შემოერია“(გვ.72); „მწვანოვანსა და ყვავილოვანს ადგილას გარდახდა; „ამაღამ ჩირალოვანი მეჯლიში უნდა გაიმართოსო“(გვ.530).

იან სუფიქსი ქონების სახელებს ძირითადად აწარმოებს კომპოზიტაგან: „რვაჯილიანი გვირგვინი თავსა ედგა“(გვ. 38); „მათში შვიდასი პირსაბურვლიანი ფალავანია“ (გვ.288); „სარვიხურამანს თავზედ შვიდეუთხიანი თავი ეხურა“(გვ.239); „ძროხისფეხიანი და მარტორქის თავიანი დევნი იბრძოდნენ“(გვ.487); „ტყავის კარავი დადგეს ორმოცდახუთფეხიანი“(გვ.301); „სვეტებიანი უცხო კარავნი დადგეს“(გვ.37); „შვიდთავიან ვეშაპზე რომ ზის, იმაზე მიდით“(გვ.377); „ორმოცლიტრიანი ნაჯახი შემოჰკრა“(გვ.387); „გულსა არასიხარულიანი ამბავი მართვა“(გვ.450); „იახლა, დიდად შეწუხებული და თვალცრემლიანი“(გვ.431).

საინტერესოა მიმღეობათაგან ნაწარმოები ზმნის ფორმები: **უნამეტნავესობდა, მღვიძარობდნენ, უმჯობესობდნენ, სირცხვილეულობდნენ:**

„ამისი მხილველნი ინდონი სირცხვილეულობდნენ“(გვ.78); „რომე ზორაბისაგან უნამეტნავესობდნენ“(გვ.76); „ჯოხნი ხელთა ეპყრათ და მღვიძარობდნენ“(გვ.85); „შვენითა მზესა უმჯობესობდნენ“(გვ.66).

„ასეთი ფორმები უცხო არაა ძველი ქართულისთვის, სადაც უცხო ენათა გავლენის კვალზე საუბრობენ“(ცეცხლაძე, 2006:98). აქაც შესაძლებელია ამგვარი ვარაუდის დაშვება.

დ) აბსტრაქტული სახელები. თანამედროვე ქართულში აბსტრაქტული სახელები სახელებისაგან, ზმნისართებისაგან, ნაწილაკებისა და შორისდებულებისაგან იწარმოება -ება, -ობა და სი-ე აფიქსებით.

„ყარამანიანისთვის“ ნაკლებად დამახასიათებელია სი-ე მაწარმოებლიანი აბსტრაქტული სახელები: „სიამპარტავნე გულსა შინა არა შთაგივარდეს“(გვ.176); „არ გამომხედოთ სიამპარტავნის გამო“(გვ.541).

სი-ე მორფემა უძველესი აფიქსია, ის ნაზმნარი და აბსტრაქტული სახელების საზიარო მაწარმოებლადაა მიჩნეული. „სი-ე მორფემა სახელებს ისეთი სახელთა

ფუძეებისგან აწარმოებს, რომლებიც საგანთა თვისებას ან ნიშანს გამოხატავენ“ (შანიძე, 1953:133).

ტექსტში **-ება, ობა**’ მაწარმოებლიანი ფორმებიც დასტურდება: „ამპარტავნებისა და ურჩების ტვირთი ჰკიდიათ“(გვ.572); „უდიდესსა სასოგანწირულებასა მიეცნენ“(გვ.548).

ობა’ მაწარმოებლიანი ფორმებია: „მგოსანთა ჩანგთა ხმიანობა გაამრავლეს“(გვ.123); „ყარამანის ფალავნობასა და ძალგულობას აქებდნენ“(გვ.193); „შაბაშ შენსა მამაცობასა“(გვ.160); „მის ხელმწიფობას თავი უნდა დაუკრათო“(გვ.242).

„ყარამანიანში“ დასტურდება ფორმები, რომლებშიც **ება** სუფიქსს აბსტრაქტულ სახელებსა და საწყისებში ენაცვლება -**ობა**: **ერთგულობა, მხიარულობა, გულოვნობა, ჩვეულობა**:

„სრულის ერთგულობის ფიცით დაემორჩილა“(გვ.215); „ფალავანსა გულოვნობისა ზოსტერი წელთა შეერთყა“(გვ.160); „დიდის მხიარულობით ხელმწიფისაკენ მოდიან“(გვ.483); „ვეზირმაც კიდეც თავის ერთგულობა დაუმტკიცა“(გვ.504); „ერთგულობის უარის მყოფელი არასოდეს არ ვყოფილვარ“(გვ.526); „ყარამანის ძალგულოვნობას ყველა აქებდნენ“(გვ.595); „ესრეთ იყო ჩვეულობა, პირველ ჭიქასა ჩუმობით დალევდიან“(გვ.117).

და პირიქით -**ობა**’ს ენაცვლება -**ება**’ შემდეგ ფორმებში: „ამპარტავნება, ურჩება, სასოგანწირულება, შეკრებილება: „ამპარტავნებისა და ურჩების ტვირთი ჰკიდიათ“(გვ.572); „უდიდესსა სასოგანწირულებასა მიეცნენ“(გვ.548).

ყურადღებას იქცევს მიმღეობათაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები: „შეკრებილებაში შემარცხვინა და ჩემი სამსახური არ დაინახა“(გვ.508); „და მის ზღვის ნაშენობას ყურება დაუწყო“(გვ.345); „კითხულობა შეიქმნა, ეს რა უნდა იყოსო?(გვ.231); „ყარამანის გამოუღვიძებლობა ნახა“(გვ.197); „მცირე ხანსა მათსა ეგრე მომავალობას უჭვრიტა“ (გვ.27); „ჰაერის შეცვლილობის გამო...გემები დაფანტა“(გვ.542); „მისი შავით მოსილობა იკითხება“(გვ.368); „უშანგ აიყარა თავისის დიდებულებით და განწყობილობით“(გვ.253); „მიმავლობაში ნახა, რომე ერთი ხიდი გაედვათ“(გვ.468); „მათ დევთა შეკრულობა განხსნა“(გვ.143).

ამრიგად, „ყარამანიანში“ გვხვდება -ება მაწარმოებლიანი ფორმებიც: ურჩება, სასოგანწირულება, შეკრებილება.

ტექსტში ობა მაწარმოებლიანი ფორმები ჭარბობს: ხმიანობა, მამაცობა, ხელმწიფობა, ფალავნობა, ძალგულობა, ნაშენობა, შეცვლილობა, გამოუღვიძებლობა, მოსილობა, მიმავლობა, შეკრულობა.

„ყარამანიანში“ ზოგ ფორმაში ება სუფიქსის ნაცვლად გამოიყენება ობა: ერთგულობა, მხიარულობა, განწყობილობით, გულოვნობა, ჩვეულობა. ხდება პირიქითაც: ამპარტავნება, ურჩება, სასოგანწირულება, შეკრებილება.

5.2. კომპოზიტები

რთული სახელი, ანუ კომპოზიტი ორი ან მეტი ფუძისაგან შედგენილი სახელია, შედგენილობის მიხედვით კომპოზიტი მრავალგვარია. ტექსტში გვხვდება კომპოზიტები, რომლებიც ორზე მეტი ფუძის შეერთებით არის წარმოდგენილი. ასეთი კომპოზიტები წესით ერთად იწერება:

„სხვანიცა პყრობილადყოფილნი ფალავანნი თვალითა გაიცადნა“(გვ.104); „ყელგადაჭდობილნი ერთმანეთს ესალმებოდინა“(გვ.36); „ტახტს ქვემოთ გულზედ ხელმოჭდობილნი იდგნენ“(გვ.38); „საჩქაროდ თავგალუნული შინ შებრუნდა“(გვ.563); „საომარსა მეიდანსა რაზმწყობით დადგნენ“(გვ.163); „ვა, ღვაწლო, ვა, შრომავ, რა ტყუილად დავკარგე ამდენი ჭირნახული და ღვაწლი“(გვ.654); „ეგრე ღონემოშლილი ხეთა ძირსა დაეცა“(გვ.162); „რა მოიზარდა, ძალიან ხელგამომავალი ფალავანი შეიქნა“(გვ.42); „ყარამანს ომი ვერავინ გაუსწორა და სირცხვილდალეულნი გაბრუნდნენ“(გვ.30); „გარდანქეშანმა მათ პირმთვარეთა მოახსენა“(გვ.67); „თვალუწდომი მინდორი სრულად ლაშქრითა სავსე იყო“(გვ.70); „ყარამან ახლად უღვაშაშლილი ზის“(გვ.155); „წყეულიმც არს სახსენებელი მისი და იმისნი თაყვანისმცემელნიცა“(გვ.657); „ყარამანი ნამტირალევი და გულხელდაკრეფილი დაინახა“(გვ.658); „თვალუწდომს მინდორში ეგოდენი კარავი დგას“(გვ.187); „მასვე წამსა გულმოსისხლედ მომართვა“(გვ.159); „მაშინ საჰმანი გულუშიშრად მივიდა“(გვ.650); „მე შენთან პირსირცხვილეული ვერ“(გვ.190); „ჩინეთისა ქვეყანასა ქვადქმნილად რომელ იტყვიან“(გვ.106); „მწუხარებაგანმრავლებული ჩემსავე ქვეყანასა წამოველ“(გვ.125); „მინარა დგას ცადაქნილს სახლსავით“(გვ.518);

„იმ სახელგაწყვეტილმა ასმილ ჯადუს რაეზი უყო“ (გვ.535); „საყათურ ნარამ რა ყარამან ზურგშეშვერილი იხილა, დიდად განრისხდა“ (გვ.628); „დედაკაცი თავ-პირცემულნი ღმერთს ევედრებოდნენ“ (გვ.378); „ასი ათასი სინდისტნის ჯარი მოჰყვა ხმალ ხელ-მოკრული“ (გვ.287);

საინტერესო ფორმებია: „ხელმწიფესა პირ-მიწა-გაერთებით სალამი მოახსენა“ (გვ.36); „მან გრძნეულმან პირ-მიწა-გაერთებით სალამი მოახსენა“ (გვ.84); „პირ-მიწა-გაერთებით თაყვანი სცა“ (გვ. 385); „ნაჯახ-ხელთმპყრობელი უწყალოდ ხოცს“ (გვ.652); „მას უკან უმანგ-შაჰ ბასრ-ხმალ-ხელმოწვდილი მოსდევდა“ (გვ.255); „რა გნახე, ახალ-მოწიფული ყმა-კაცი გაგაშორე“ (გვ.88); „ამ ლაშქართა შიგან ერთი ახალმოწიფული ჭაბუკი იდგა“ (გვ.30).

ფუძეგაორკეცებულია: „სწრაფლ-სწრაფად მიმოიხედვიდნენ“ (გვ.103); „დასტად დასტად დაეწყვნენ“ (გვ.392).

ორცნებიანი კომპოზიტებია: „ახლა ორივე ცოლ-ქმარი ერთად შეჰყარა“ (გვ.591); „იმ დღეს მამა-შვილთ საღამომდინ იბრძოლეს“ (გვ.567); „ქვრივ-ობოლთ მრავალი წყალობა მიანიჭა“ (გვ.548); „ოქროს ხონჩები სავსე თვალ-მარგალიტითა ხელთა დაიჭირეს“ (გვ.38).

ამრიგად, „ყარამანიანი“ ყურადღებას იქცევს საინტერესო ნაირფუძიანი კომპოზიტებით: პირ-მიწა-გაერთებით, თავ-პირ-ცემულნი, ახალ-მოწიფული, ხელ-მოკრული, ოთხ-თვალოვანი, პირ-საბურვლიანი, ნაჯავ-ხელთმპყრობელი, თვალ-ტანადი, თვალ-მარგალიტი, ბასრ-ხმალ-ხელმოწვდილი, ყელგადაჭდობილნი, ხელმოჭდობილნი, ღონემოშლილი და ა შ.

თავი II. ტროპის სახეები „ყარამანიანში“

„ყარამანიანი,“ როგორც საგმირო-საფალავნო რომანი, ყურადღებას იქცევს ტროპული მეტყველებით. ბ. ჯორბენაძე საუბრობს, რომ სტილი, როგორც ინდივიდუალური მსოფლხედვა შეზღუდულობა ადრე უფრო შეზღუდული იყო,

ვიდრე ახლა: „განსაკუთრებით ითქმის ძველ აღმოსავლურ პოეზიაზე, სადაც ეპიტეტების, მეტაფორების, ჰიპერბოლების, შედარებების მყარი სტანდარტები იყო შექმნილი. ეს იყო ფორმულები, რომელთა ჩარჩოებში იყო მოქცეული პოეტური აზროვნება“ (ჯორბენაძე, 1983: 33).

გაიოზ იმედაშვილის აზრით, „„ყარამანიანში“ მხატვრულ ენას ცვლის ტრაფარეტული გამოთქმანი გმირთა თუ მოქმედების აღწერაში, რომლის ტავტოლოგია მხოლოდ ანტიმხატვრულ ეფექტს ჰქმნის“ (იმედაშვილი, 1956: 256).

ასეთი ორთაბრძოლები აღწერილია სავსებით ერთნაირ სიტუაციებში. „ყარამანიანის“ პერსონაჟები ერთმანეთს კლავენ: იარაღის ერთი დაკვრით, ისინი მეზობლებს შუაზე აპობენ. გმირები სპილოებს, მარტორქებს, ცხენებს წიწილებივით ხოცავენ... ორთაბრძოლისას ყოველგვარი იარაღი (ფარ-ხმალი, მუზარადი) იმსხრევა და ილეწება, ისეთი ძლიერია იარაღის დარტყმის ძალა, რომ ირგვლივ ყველაფერი ნადგურდება, ქვეყანა იძვრის.

„ყარამანიანში“ განსაკუთრებით ტრაფარეტულია ომის დაწყების ფორმულები: „რადილა გათენდა, საომრად დაემზადნენ, იარაღნი მოიმართეს, სპილოსა და მარტორქაზედ შესხდნენ, დასტები დააწყეს, მემარჯვენენი და მემარცხენენი განაწესეს, რაზმები დააწყეს და საომრად გაემართნენ. უშანგის ჯარს დაუპირისპირდნენ. ჯადოს ლაშქარნიც საომრად მომზადებულნი დადგნენ. სინდელთ ოჰყალი ჯადოს იმედითა დასტები დააწყეს უცხო და ოცხო დროშები აღმართეს, ამანაც ნება მისცა ერანის და თურანის და დეშტი ყიფჩაღის ჯარს“ (გვ. 321)

ასეთივეა აგრეთვე ომის დამთავრებაც:

ხშირად მეორდება აღწერის ასეთი ტრაფარეტული ხერხი: „**გამოჩნდა დიდი მტვერი**“, რაც ჩვეულებრივ იმას ნიშნავს, რომ ბრძოლის ადგილას დიდი ლაშქარი მოემართება, რასაც ომი უნდა მოჰყვეს. გმირის გარეგან დახასიათებაში შემუშავებულია ასეთი ტრაფარეტი: „**ესეთი მტვერი აღზდგა** ცხენის ფეხისაგან, რომ მზის შუქი დაფარა. რა მტვერი გარდაიყარა, ამა ორთა ზღვის ოდენათა ლაშქართა ერთმანერთი დაინახეს (გვ.321).

„ყარამანიანში“ არ გვხვდება ბუნების სურათთა აღწერა. განსაკუთრებით ერთფეროვანია გათენება-დაღამების სურათი: „ოდეს საწუთროსა მაშვენებელმან მზემან თავი ამოჰყო, აღრიცხეს მის საფლავისა ბრუნვა“ (გვ.174).

ტექსტში ყურადღება გამახვილებული მხოლოდ ძალასა და ყურადღებაზე, მოქმედი გმირები არიან: დევები, ქაჯები, ზებუნებრივი ძალები, ჯადოები, ჯადოქრები, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ უგულვებელყოფილია ადამიანური ყოფა:

„ოჰყალი ჯადომ იმისი სახელიც იპოვა, შეულოცა და ცეცხლში შეაგდო. მსწრაფლ ყაზამფარ უჩინო შეიქმნა. ვერა სცნეს, თუ ყაზამფარ რა იქმნა. ყაზამფარ მსწრაფლ შეიცვალა და თვისი თავი ერთს თეთრ ძაღლად შეიქმნა და რომელ მარტორქაზედ იჯდა, ისიც ერთს ვეფხვად გარდაიქცა. რა იმან ძაღლმან ნახა ისეთი საზარელი ვეფხვი, ბევრს ეცადა, რომ ჩვეულებისამებრ კაცობრივის ენით ელაპარაკნა, მაგრამ ვეღარ ილაპარაკა. თუ ილაპარაკებდა ძაღლის ყეფა გამოსდიოდა პირიდან“ (გვ.323)

„ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ ეფექტი გაძლიერდეს, ადამიანური სამყარო თავისი ნებითა და ძალით თითქოს უკვე უძლურია დააკმაყოფილოს ფანტაზია, რომელიც მოითხოვს უფრო დიდ მასშტაბებს და სასწაულებრივად მოქმედ ძალებს“ (იმედაშვილი, 1956: 270). ამიტომ არის, რომ, პერსონაჟები დევებს, ჯადოებს, და სხვა ზებუნებრივ არსებებს, ძალებს განასახიერებენ.

„ყარამანიანის“ მთავარი ხაზი რაინდული ყოფის, კოდექსის ასახვაა. საომარი ხელოვნება, სამხედრო ყოფა და ჯარების დაწყობა რაინდული წეს-ჩვეულებითაა განსაზღვრული. რაინდები მეფის კარზე უპირველესნი არიან. გმირები იბრძვიან სხვადასხვა იარაღით: ქამანდი, შუბი, საგდებელი და ა.შ.

მიუხედავად სტანდარტულობისა, ამ ძეგლის ენა მეტად მრავალფეროვანია და ფრაზების გამეორება ექსპრესიას აძლიერებს, მოსაწყენს არ ხდის თხრობას.

§.1 შედარების სტილისტიკური ფუნქციები „ყარამანიანში“

თავდაპირველად განვიხილოთ შედარება. იგი რთული ერთეულია, რომელსაც შეუძლია შეასრულოს არა მარტო აღწერით-გამომხატველობითი, არამედ ემოციურ-გამომეტყველებითი ფუნქციაც. შედარებაში მჟღავნდება ავტორის ცხოვრებაზე დაკვირვების უნარი, ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივი ყოფის ცოდნა, ადამიანთა მისწრაფებები.

„შედარებისთვის დამახასიათებელია საგნის, მოვლენის ემოციური წარმოსახვა სხვა საგნის, მოვლენის რომელიმე თვისების ხაზგასმით,“ – მითითებულია „ლიტერატურის თეორიის საფუძვლებში.“ მეტაფორული შედარების მთავარი ნიშანია ახალი შინაარსის პროდუცირება: „მეტაფორული შედარების შემთხვევაში გრძნობადი შინაარსის სიტყვები სულ სხვა, ახალი შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება. ჩვენ ახალ შინაარსს ვიღებთ, რომელიც არ დაიყვანება წინასწარ აღნუსხულ ნიშნებზე“(რამიშვილი, 1963: 214).

შედარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის შემეცნების პროცესში. ა. პოტებნიას აზრით, თვით შემეცნების პროცესი შედარებაა. როგორც შემეცნების ფორმა, შედარება განუმეორებელია“(Палиевский, 1962: 76). შედარებისას, როდესაც ვავლენთ მსგავსებას უცნობსა და ნაცნობს შორის, ვაკავშირებთ აბსტრაქტულსა და კონკრეტულს, ჩვენ შევიძენებთ გარესამყაროს და, გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას მისდამი. ლიტერატურაში ავტორის მიერ შემეცნებული სამყარო მხატვრულადაა დახასიათებული, მიგნებული და მოულოდნელი შედარება მეტად ექსპრესიულია.

„ნებისმიერი პოეტური შედარება ემყარება მეტ-ნაკლებად რთულ ფსიქოლოგიურ ასოციაციებს, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს გარემომცველი სამყაროს ნაირგვარ, ზოგჯერ არსებითად ურთიერთგანსხვავებულ საგნებსა და მოვლენებს. ესა თუ ის ასოციაცია წარმოდგენათა შორის ისეთ კავშირს გულისხმობს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მსგავსების ან კონტრასტის მიხედვით,“ – წერს ელგუჯა მაკარაძე (მაკარაძე, 1999:61) ქართული საგმირო ლექსის ხატოვანი მეტყველების ანალიზისას.

შედარებაში გამოიყოფა 1. შედარების სუბიექტები (შესადარებელი საგანი) არიან: ფალავნები, დევები, მოლაშქრეები, მერიქიფეები, ასევე მათი ცრემლები, ნაკვთები, სახე, თავი, ფეხი, ხელი, მუცელი... შექებულია გმირის მოძრაობა, განრისხება, შიში, თრთოლა, ტირილი, ბრძოლა, სისხლისღვრა...

2. შედარების ობიექტი (რასაც ვადარებთ) – „ყარამანიანში“ შედარების ობიექტი ხშირადაა ხის ფურცელი (ფოთოლი, წვიმა, პლანეტები).

„მოლაშქრეთა თავი ხეთა **ფურცელსავით** მიწასა ზედან სცვიოდა“ (გვ.71); „ღევთა თავი ხის **ფურცელივით** ცვიოდა მიწასა ზედა“ (გვ.169); „საშინლად განრისხებულმან სისხლისმღვრელის თვალებით ერთი ესე შემოხედა გარდანქემანს, რომ ამ საბრალოს ხის **ფურცელსავით** თრთოლა დააწყებინა“ (გვ.436).

შედარების ობიექტად ხშირად გვხვდება **წვიმა**: „წაიქცა და სისხლი იგი **წვიმასავით** გაიბნია“ (გვ.52); „ერთმანეთსა, **ვითა წვიმა**, ისარსა დაასხმიდიან“ (გვ.74).

პერსონაჟთა პორტრეტის დახატვისას, მათი სილამაზის გადმოსაცემად ავტორი მათ ადარებს სხვადასხვა **პლანეტას**, კერძოდ: „**მზის ელვარებას**“ **მზეს**, **მთვარეს**, **ვარსკვლავს**:

„მოვიდნენ მერიქიფენი, რომელნი **შვენებით ვარსკვლავთა** ემსგავსებოდნენ“ (გვ.83); „მისა ღაწვთა ელვარება **მზისა ელვარებასა** ჰგვანდა“ (გვ.86); „ყარამან შეხედა, **მზისა** მსგავსი სახე თვალით გაიცადა და სუმბულისა მსგავსი კავ-ზილფი ბეჭთა გარდაშლოდა“ (გვ.86); „იმის პირის მშვენიერება **მზესავით** გამოკრთის“ (გვ.574).

მთვარე: „ნახა, რომ **მთვარესავით** ქალები რამდენიმე თავს ადგნენ“ (გვ.271); „იმ კუბოდამ ერთი **მთვარის** მზგავსი და ტანადობით ალვის შესადარი ქალი გამოიყვანა“ (გვ.345).

როგორც ვნახეთ, „ყარამანიანი“ საინტერესოა იმით, რომ **მამაკაცი მზესაა** შედარებული, ხოლო ქალი მთვარეს.

ცრემლები ხშირადაა შედარებული **მარგალიტთან**: „ესე თქვა და ატირდა და თვალთაგან **მარგალიტის მსგავსი ცრემლები** გადმოყარა“ (გვ.354); „ვარდის მსგავს ღაწვებზე **მარგალიტის მზგავსი ცრემლნი** გარდმოედინა ნიკაპ ქვეშ“ (გვ.302).

ცრემლის ღვრა შედარებულია **წყაროსთან**: „მას ტახტსა წინა დავეცი და **წყაროსაებრ** თვალთაგან ცრემლი გარდმოვადინე“ (გვ.119); „მცირეთა თვალთაგან **წყაროსაებრ** ცრემლი გარდმოედინათ“ (გვ.44); „ესრეთ გულმხურვალედ ევედრებოდა, რომ მის თვალთაგან მონადენი ცრემლი მიმდინარეს **წყაროსავით** მოკამკამებდა“ (გვ.633).

ქალის მკერდი **ბროლთანაა** შედარებული: „სიცხისაგან საბანი გარდებხადა და **ბროლისა მსგავსი** მკერდი გამოსჩენოდა“ (გვ.86).

სიბერისგან **მოხრა** ნაწარმოებში **მშვილდ-ისრისას** ჰგავს: „მაგრამ ისეთი დაბერებულიყო, რომ წელში **მშვილდ-ისარივით** მოხრილიყო მეტის სიბერისგან“ (გვ. 229).

ომის ქარცეცხლიდან სისხლიანი გმირები გამოდიან, როგორც **ზღვის ნადირები**: „სისხლით გასვრილი იყო, ასე რომ **ზღვიდამ გამოსულს ნადირსა** გვანდა“ (გვ. 278).

მათ შეუძლიათ მტერს ჯოჯოხეთური დღე გაუთენონ, აფიქრებინონ, რომ „მეორედ მოსვლაა“: „ასეთი დღე იყო, რომ **მეორედ მოსვლას ემზავსებოდა**“ (გვ. 317).

„ყარამანიანში“ გმირის პორტრეტის ცალკეული ნიუანსი არაბუნებრივი მასშტაბებით არის წარმოდგენილი, ჰიპერბოლიზებულია:

გმირის თავი შედარებულია **დიდ მთასთან, აბანოს გუმბათთან, თვალები – ქურახანის სახმილთან**, პირი – „კლდესაგან გამოკვეთილ ქვაბთან“ და ვეშაპთან, ფეხი – **აქლემთან, მუცელი – თხასთან, ხელის თითები – „ლომის ბრჭყალებთან**“, მკლავები კი **ჩინართან**: „თავი დიდსა მთასა უგვანდა, თვალები **ქურახანის სახმილს** უგვანდა, პირი **კლდესაგან გამოკვეთილსა ქვაბსა**“ (გვ. 201); „თავის სიდიდე აბანოს გუმბათის ოდენა ჰქონდა“ (გვ. 303); „პირი ვეშაპს უგავს, ფერხი **აქლემს, მუცელი თხასა, ხელის თითები ლომის ბრჭყალებსაო**“ (გვ. 48).

ავტორი **გაბრაზებულ გმირს** ადარებს **მთვრალ ლომს**: „მთვრალს ლომებსავით აქეთ-იქით ღრენა დაიწყეს“ (გვ. 281).

გმირის გაბრაზება **წვიმასთანაცაა** შედარებული: „მათგან ნაცვივნი ცეცხლნი **ღრუბელთაგან მოდენილსა წვიმასა** ჰგვანდა“ (გვ. 130).

კიდევ უფრო გაზვიადებულია სათქმელი შემდეგ შედარებაში: „ყარამანს მეტის მრისხანებით **თვალები სისხლით სავსე თასს დაემზავსა**“ (გვ. 201).

ატირებული პერსონაჟების განცდების გადმოცემისას მწერალი ისევ ჰიპერბოლიზაციას მიმართავს. **ტირილი** შედარებულია **მეორედ მოსვლასთან**: „ისეთი ტირილი შექმნეს, რომ **მეორედ მოსვლას** ემზავსებოდა“ (გვ. 330).

განრისხებული გმირის თვალები შედარებულია **ცეცხლთან**: „თვალნი **ცეცხლებრ** უელავდა“ (გვ. 327); „ორივე თვალი მრისხანებისაგან **ცეცხლებრ** უელავდა“ (გვ. 388).

ფალავნის **გაცხარება** ბრძოლაში შედარებულია **ვეშაპთან, მგელთან, ძაღლთან, ღრუბელთანაც** კი:

„ლაშქართა შიგან გარეული ვეშაპსავით ბრდღვინედა“ (გვ.71), „ცოფიან მგელსავით მისი ბრძოლა მოინდომა და ძაღლივით ღრენა დაიწყო“ (გვ.303) „ყარამან მტერზედან განრისხებულა, ღრუბელსავით გრგვინავს“ (გვ.78).

აქ იკვეთება სახე-სიმბოლოები: **მზე, მთვარე, ვარსკვლავი, წვიმა, წყარო, მარგალიტი, ცეცხლი, ვეშაპი, მგელი...**

3. განვიხილოთ თვისებები, რომლებსაც ემყარება შედარება „ყარამანიანში“

საგმირო-საფალავნო რომანში შედარების საშუალებითაა დახატული **სისწრაფე, სიწმინდე, სიჩქარე, სიფიცხე, მოხერხებულობა, ოსტატობა, სილამაზე, მედგრობა, შეუპოვრობა, სიმხდალე, მოხრილობა...**

გმირის ქცევა-მოქმედება, რომელიც შედარებით გადმოიცემა, თითქმის ყოველთვის ჰიპერბოლიზებულია.

„ყარამანიანის“ პერსონაჟი „ცა-ქვეყნის დაცემასავით შესძახის“, „გული ჭექასავით უბგერს“, ბრძოლაში „ლომივით დაქრის“, „ძაღლივით ან „ლომებსავით იღრინება“, მტერზე გაბრაზებული გმირი „ვეშაპსავით ბრდღვინავს“, შეშინებული „ფურცელივით თრთის“, ბრძოლის ჟინით შეპყრობილი ფალავანი „მთასავით დამყარებული დგას“...

„ყარამანიანში“ გმირების **მოძრაობა** შედარებულია **ელვასთან, ქართან, ვეფხვთან, გველთან, ქორთან:**

„ჰაერში აღფრინდა და ქარისა უსწრაფედ წარვიდა“ (გვ.144); „სწრაფად გამოუდგა და ქარივით უკან მიეწია“ (გვ.65); „უკანიდამ ელვასავით წამოეწივა“ (გვ.264); „რა იგი იხილა, ქორებრ სწრაფად მფრინავსავით წინ მიეგება“ (გვ.35); „ყარამან ვეფხვსავით სიფიცხითა შორად გახლტა“ (გვ.179); „გულჩინ გველივით მოიკლავს“ (გვ.325).

ჰიპერბოლურ შედარებებში გმირის შეძახილი ქვეყნის დანგრევას ჰგავს: „ერთი ესეთი შესძახა, ცა-ქვეყნისა დაცემასა ხმასა გვანდა“ (გვ.77).

ფალავნის **გულისცემა** ჭექა-ქუხილს ჰგავს: „გულმა ცის ჭექასავით ძგერა დაუწყო“ (გვ.324).

შეუპოვარი გმირი **ურყევია**, ის **დგას, როგორც მთა**: „მოედანსა შიგან ყარამან მთასავით დამყარებული იდგა“ (გვ.179).

შუბის ოსტატურად ტრიალი შედარებულია მკერავის მიერ ნემსის ხმარებასთან: „ასეთი ჰკრა შუბი ფარსა, როგორც მკერვლის ნემსმან ატლასის საკერავში გაიაროს“ (გვ.407).

„ყარამანიანის“ შედარებაში ერთი ობიექტიდან მეორეზე გადატანილი თვისება ხშირად უამრავი თვისებიდან ერთი გამოკვეთილი ნიშანია. ესენია: სიჩქარე (ლომი, ქარი, ქორი, ელვა), ძლიერება (ლომი), ვარდნა (ფურცელი), ტირილი (წყარო); შიში, თრთოლა (ფურცელი), გაბრაზება (მაღლი, ლომი, ვეფხვი, ვეშაპი, ჭექა-ქუხილი, ცეცხლი), საგნის ფიზიკური მონაცემები, გარეგნული ფორმა (მოხრა) (მშვილდისარი), ელვარება (მზე, ცეცხლი), სილამაზე (მზე, მთვარე, ვარსკვლავები) და სულიერი თვისებები, მოქმედება, ბრძოლა, ტირილი (წყაროს დინება; მეორედ მოსვლა); სიკვდილი (ფოთოლცვენა) თავისებურებანი ასევე მოძრაობის ტემპი, რიტმი.

მეტად საინტერესოა ორმხრივი შედარებანი, ფრაზები, რომლებიც სინონიმური პარალელიზმის პრინციპზეა აგებული: რომლებიც უკეთ გადმოგვცემს სათქმელს: „ოთხმოცი ათასი ფალავანი წინ წამოუყრია, ვითა შავარდენსა ტრედისა გუნდი, და ხოცით მოსდევს“ (გვ.28); „როგორც ლომს თხა, ისე ამათი ფალავნები აღარად მიაჩნია იმათს ფალავნებთან“ (გვ.441); „ბროლისა პირსა, ვითა ვარდსა დილისა ნამი, ეგრეთ სირცხვილითა ოფლი დასხმოდა“ (გვ.113); „ასე დაქროდა ამოდენა ლაშქარში, ვითა ლომი კანჯრის ჯოგში“ (გვ.267); „შიგან შეიჭრა, ვითა სონლულის წეროთა გუნდსა და ვითა შავარდენი მტრედის გუნდს“ (გვ.451).

„ყარამანიანში“ შედარება უმეტეს შეთხვევაში თანდებულიანია (ვით, ებრ), ამათგან განსაკუთრებით ხშირია ვით თანდებულიანი გარემოებით გადმოცემული შედარება. შედარებით იშვიათია ებრ თანდებულიანი ფორმები. ზოგჯერ სამივე ტიპის შედარებანი ერთმანეთის გვერდიგვერდაა: „ულვაში იისა მსგავსად ახლად აშლოდა, ლაწვი ვარდებრ ალყავებოდა და ზედან ნამისა მსგავსად ოფლი დასხმოდა.

შედარებაში ნაკლებად გამოიყენება საკავშირებელი სიტყვები (ისე, ასე, რომ, თითქოს, როგორც). მყარი შედარება სინტაქსურად განსაზღვრება გარემოება, ან განსაზღვრებით ან გარემოებითდამოკიდებული რთული ქვეწყობილი წინადადებაა. ეს უკანასკნელი ხშირად შეკვეცილია.

§2. ეპითეტის სტილისტიკური ფუნქციები

აქვე განვიხილოთ ეპითეტიც, რომელიც „არის განსაზღვრების სახესხვაობა, ჩვეულებრივისაგან ექსპრესიულობით და გადატანითი, ტროპული ხასიათით განსხვავებული“ (Ахманова, 1966:78).

ეპითეტში, როგორც სტილისტიკურ კატეგორიაში, ჩანს ავტორის შემფასებლობითი დამოკიდებულება დასახტავი საგნებისა და გადმოსაცემი მოვლენებისადმი. ეპითეტთა უმრავლესობა ჰიპერბოლურია, მას „მეტაფორული ეპითეტიც“ ეწოდება. ის საგნობრივ-ფსიქიკურია და აღნიშნავს არარეალურ ნიშანს, მსგავსების მიხედვით გადატანილს სხვა საგანზე“ (Мещеряков, Козлов, Кубарева Сернул, 2003: 97).

„ყარამანიანში“ განსაკუთრებით საინტერესოა პერსონაჟთა ეპითეტები.

ა) საგნის სიდიდე გმირს უკავშირდება: „ყარამანიანში“ ხშირია ჰიპერბოლური ეპითეტები:

„გურზი ორად გაუწყვიტა და მთისოდენი დევი ორად გაჰკვეთა“ (გვ.137); „ერთი დიდი გუმბათის ოდენი ქვა ეგდო“ (გვ.229); „დიდი მთის ტოლი რაღაც გამოჩნდა“ (გვ.227); „სავსე ფიალა დალივა და დიდი გუმბათის ოდენა თავი აილო“ (გვ.302); „სარჯან ზე აღსდგა და ჩინრის ოდენი მკლავები ხოსროვშირს შემოახვია“ (გვ.277).

ასეთია გმირის იარაღის სიდიდის აღმნიშვნელი ეპითეტებიც: „მთისოდენი ლახტი ხელთა ამოილო“ (გვ.81); „დიდის მთისოდენის ფოლადისთვის დაეკრათ, მასაც შუა გაჰკვეთდა“ (გვ.228); „მაშინ მთისოდენი ლახტი წელთაგან ამოილო“ (გვ.96); „ორსავე მხარეს თმები გარდაშლოდა და იმის თმებს ერთი თვალუწვდომელი მინდვრისოდენი ალაგა დაეჭირა“ (გვ.223).

სიმრავლე ხშირად უკავშირდება ზღვას: ისინი „ზღვისა ოდენ ლაშქარს“ ებრძვიან: „რა ყარამან მას ზღვისა ოდენსა ლაშქარსა შეერია, მაშინ რისხვა ღვთისა მათ ზედან დასცა“ (გვ.33); „ქალი ზღვისა ოდენსა ლაშქარსა ებრძვის და მრავალსა კაცსა ხოცს“ (გვ.70).

ბ) გმირის შეუპოვრობის, ძლიერების გამომხატველი ეპითეტი: „ამაყთა აიართა მომამშვიდებელი ლომი იგი ძლიერი ყათრან მოედანსა გამოვიდა“ (გვ.95); „ქვეყნის

სიბნელებს ეს **ლომგულნი** ფალავანნი გაჰყარა“(გვ.401); „**სწორუპოვარო** ჭაბუკო, შენ აქა რამან მოგიყვანა“(გვ.135); „ერთი მთვარის მზგავსი და **უსწორო** ფალავანიიყო“(გვ.346); „საშინლად განრისხებულმან **სისხლისმღვრელის თვალებით** ერთი ესე შემოხედა გარდანქემანს, რომ ამ საბრალოს ხის ფურცელსავით თრთოლა დააწყებინა“(გვ.436).

გ) **გარეგნობის** გამომხატველი: „ჯარში იმაზე უფრო **ავთვალადი** კაცი არ არისო“(გვ.156).

დ) **მჭევრმეტყველების** გამომხატველი ეპითეტი: „**ტკბილმოუბართა** ენითა ერთმანეთს შეაქცევდიან“(გვ.117).

ე) ეპითეტების საშუალებით უშუალოდ და შთამბეჭდავად არის გადმოცემული **ბუნების საგნები**: „**თვალუწვდომი** მინდორი სრულად ლაშქრითა სავსე იყო“(გვ.70); „მუნით მინდორი ერთი **კეთილსახილველი** და მდინარენი **უცხონი** გამოჩნდა“(გვ.128); „**უცხო** ჰავა **წყლიანი, მწვანოვანი, სურნელიანი, ყვავილი** იდგა ასე“(გვ.200).

ვ) **ფიზიკური მდგომარეობის** გამომხატველი ეპითეტი: „**ეგრე ღონემომლილი** ხეთა ძირსა დაეცა (გვ.162).

ზ) **სულიერი მდგომარეობის, განცდების** გამომხატველი: „მისსა **სიახლოვესა მხეცრეული** ვინმე კაცი მოვიდოდა“(გვ.174); „**იგი საწყლად მხეცქმნილნი** აგრეთვე კაცთა სახითა იქმნენ“(გვ.50); „**დიაცო, განმეშორე, ღვინომოსმული** ვარო“(გვ.92).

თ) **ომის სიმძაფრის** გამომხატველი ეპითეტი: „**ესრეთი გაფიცებული** ომი ნახა, განრისხებულმან მარტორქა მოქუსლა“(გვ.71).

ი) **ქალის სილამაზის** გამომხატველი ეპითეტი „**მაშინ** გარდანქემანმან მათ **პირმთვარეთა** მოახსენა“(გვ.67).

„ყარამანიანში“ ეპითეტი გადმოიცემა ძირითადად **ზედსართავი** სახელით, მიმღეობით ან კომპოზიტით. შედგენილობის მიხედვით ეპითეტი მეტწილად **მარტივია** (ხვადი დევი, ომი ფიცხელი), თუმცა მის გვერდით გვაქვს **რთული ეპითეტიც** (თეთრწვერა, წყლიანი, თვალუწვდომელი).

მთარგმნელი ზოგჯერ იყენებს უარყოფითნაწილაკიან ეპითეტებს: „**გულსა არასიხარულიანი** ამბავი მიაართვა“(გვ.450).

§ 3. მეტაფორის სტილისტიკური ფუნქციები

მეტაფორა ტროპის სახეა, რომელიც ერთი საგნის თვისებების მეორეზე გადატანაზე ან მათ მსგავსებაზეა დაფუძნებული. **ენისა და სტილის ანტიკურ თეორიებში** ვკითხულობთ: „მეტაფორა ტროპის ყველაზე რთული სახეობაა და ამასთან, ყველაზე ესთეტიკურიც: მას უმაღლესი ხარისხით ახასიათებს სიცხადე, სასიამოვნო სიახლის მშვენიერება და მისი გადმოღება სხვისაგან არ შეიძლება“ (არისტოტელე, 1981).

„მეტაფორა აძლიერებს ენის დასრულებული ფაქტის აზრს, ამკობს ენას და ასევე გამოხატავს მთქმელის თვალსაზრისსაც საგნებსა და მოვლენებზე, ამიტომ ის ენის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა ყოველთვის“ (გვენცაძე, 1974: 44).

ძილი მეტაფორულად „ყარამანიანში“ შემდეგნაირად გამოიხატება: **„მელნისა ტბათა საგუბარნი თვალნი დაეხუჭა“** (გვ.86).

დარდი, მწუხარება: **„გული ცეცხლით აევსო, თვალთაგან წყაროსაებრ ცრემლები გარდმოსდიოდა, თავსა და პირსა იცემდა“** (გვ.658); **„მელნის ტბათაგან წყაროსაებრ სისხლისა ცრემლსა მოადენდიან“** (გვ.66).

მწერალი მეტაფორულად გვიხატავს **გათენებისა და დაღამების** სურათს.

„რა სიბნელითა ქვეყანა შავსა უფსკრულსა დამსგავსებოდა, მის სიბნელის გამო წასვლა ყარამანისა მათ ლაშქართაგან ვერავი იგრძნა“ (გვ.33); **„რა ქვეყანამ სიბნელითა შავისა უფსკრულისა მსგავსება დაირთო, ოთხსავე მხარეს სპილოთა სანგარი შემოავლო“** (გვ.79); **„ქვეყნის მაშენებელმა მზემან სიბნელისა ფარდა დახია და თავისი სხივი ქვეყანასა მოჰფინა“** (გვ.488); **„საწუთროსა მაშენებელმან მზემან აღმოსავალით ოქროსა სვეტი აღმართა“** (გვ.105); **მზემან თავი ამოყო და ქვეყნად თვისი ბრწყინვალება განფინა“** (გვ.36).

გმირის სახე გამოიკვეთება ისეთი ტრადიციული მეტაფორული ხატების შემწეობით, როგორებიცაა: **ლომი, ვეშაპი**. აღნიშნული მეტაფორები ემსახურება პერსონაჟთა რაინდული თვისებების ხაზგასმას, ვაჟკაცობისა და სიმამაცის წარმოჩენას: **„ამ ორთა ლომთა ძლიერი ომი უშანგ-შას მოხსენდა“** (გვ.28); **„ვის ძალედვა, რომელ მის ლომისა სიახლოვეს მისულიყო“** (გვ.33); **„ხოსროვშირი იმ დღეს იმ ომში გულჩინს შემოჰყროდა და იმ ორს ლომს იმ დღეს ერთმანერთისთვის“**

სალამომდის მედგრად ებრძოლათ“(გვ.259); „ბრალი მნათობისა იმის, რომელ ესეთისა ვეშაპისა ხელთა შთავარდების“(გვ.95).

„ყარამანიანის“ პერსონაჟი ქალი მშვენივრით „გავსილ მთვარეს“ სჯობია: „მიძასაცა ესრეთ შვენება ჰკრთოდა, რომე მისი მნახავნი გავსილსა მთვარესა მისად სადარად არა იტყოდიან“(გვ.113).

ქალის „ღაწვთა ელვარებას“ შეუძლია სიბნელის გაფანტვა: „ღაწვთა მათთა ელვარებამ იგი კარავი ესრეთ ნათლითა აღავსო, რომე მისსა მიდამოსა სიბნელისა ზეწარი სრულობით დაიხია“(გვ.113).

მზე „ყარამანიანში“ აღძრავს სილამაზის წარმოდგენას: „იგი სამყოფი ესრეთ განათლდა, თუ თქვა მზე მის კარავსა ამოსულიყო“(გვ.113).

მეტაფორულადაა დახატული შეყვარებული ადამიანის მდგომარეობა: „გულში ხოსროვშირის ეშხის ტრფიალი განუმორებლად ეგზნებოდა“(გვ.269).

„მისი ტრფიალის ისარი გულსა განეწონა და უცნობო შეიქმნა და ტრფიალის თვალით მცირე ხანს გულჩინს უყურებდა“(გვ.302).

მოწონება და სიყვარული შემდეგი მეტაფორითაა გადმოცემული: „მისთა პირთა ელვარება სხივსაებრ გულსა გაეყარა“(გვ.114).

§4. ჰიპერბოლის და ლიტოტესის სტილისტიკური ფუნქციები

როგორც აღვნიშნეთ, ჰიპერბოლიზაცია განსაკუთრებით დამახასიათებელია საგმირო ხასიათის ნაწარმოებებისათვის. ავტორი მიმართავს რაოდენობის გაზვიადებას:

„ზღვითაგან ისი მხეცი გამოვიდა, ათორმეტჯერ ასი ათასი კაცი ერთმანეთსა ჰკრა“(გვ.91); „ეგოდენი ამოუწყვეტია, რომე სისხლისა ღვარსა მრავალი კაცი მიჰქონდა“(გვ.70); „ესეთი ფიცხელი ომი შექნილა, რომელ სისხლის ღვარსა მრავალთა მოლაშქრეთა თავი და ხელფეხნი მოაქვნდა“(გვ.80).

გაზვიადების საგანი არის ხმა: „მას მხეცსა ესრეთ ძლიერად შემოჰკრა, თუცა იგი ნაკრავი ყაფის მთას მოხვედროდა, ორად განიჰებოდა“(გვ.58); „მაშინ ყარამანმა სამი ნარა ერთმანერთზედ გასწია, ისე რომ მისის ხმისაგან ცა და ქვეყანა ირყეოდა“(გვ.221); „იმის გულის ძგერის ხმა ერთსა ფარსანგს გაიგონებოდა“(გვ.587); „ერთი ესეთისა

საზაროსა ხმითა შესძახა, რომე ინდოთა მრავალნი ცხენისაგან გარდმოვარდნენ“(გვ.71); „ესეთითა მალლითა ხმითა შესძახა, რომე მისნი მსმენელნი ქვეყანასა ზედა დაეცნეს, რომე ცისა დაკვეთებასა მგონებლობდნენ“(გვ.98); „ყარამან ერთი ისეთი შესძახა, რომელ ცისა ქვეყანასა ზედან დაცემისა ხმასა გვანდა“(გვ.178); „ღვთის სახელი ესრეთ დაიძახა, რომ იმ საშინელი ხმისაგან ის კლდე და არემარე სრულობით შეიძრა“(გვ.351); „ღვთის სახელი ასეთის მაღალის ხმით შეჰყვირა, რომ ოთხსავე კუთხეზე გაისმა, ცამ და ქვეყანამ სულ ზანზარი დაიწყო. უშანგ-ბათის ციხემ რყევა შექმნა და რამდენიმე ალაგი გარდაიქცა.“(გვ.384); „ასეთი ხმით დაიქუხა, რომ ორსავე მხარეს ლაშქარი შეიძრა და მრავალი კაცნი ცხენთაგან ძირს დაეცნენ“(გვ.437); „ღვთისა სახელი ასეთისა ხმითა შესძახა, რომ სარანდიბის მთა და იგი არემარე ასეთი შეიძრა, რომ დიდსა ხანობამდისინ ზანზარებდა“(გვ.451); „მისი ხმა შვიდსა ფარსანგსა გაიგონეს“(გვ.164); „მის სიცილზედ და ტაშის კვრისაგან ესეთი ხმა გამოხდა, რომ იგი მთა და ქვეყანა სრულიად შეიძრა“(გვ.224); „ერთი ასეთი საომარი შესძახა, რომე მისნი მსმენელნი მრავალნი ჭკუასა შესცდნენ“(გვ.81).

„ყარამანიანში“ გაზვიადებულია დამარცხების გამომხატველი განცდები:

„ესეთი საზარელი სულთქმა გულით აღმოახდინა, რომე მისი ხმა ორთავე ლაშქართა გაიგონეს“(გვ.108).

ომის წყურვილი: „ესეთი განრისხებული და ომისა მომდომებელი იყო, რომე მისის გულისა ძგერა შორად ისმოდა“(გვ.67); „ეს ლახტები რა ერთმანეთს მოხვდა, ასეთი ხმა გამოხდა ამ ლახტებისა, რომ ვითომ მთა მთას დასცემოდა“(გვ.432).

ტექსტში გაზვიადებულია მოქმედების მანძილი: „ცხენთა მათთა ნატერფალი ღრუბელთა სწვდებოდა“(გვ.98).

კლდის სიდიდე ასეა დახატული: „უკიანეს ზღვის პირსა ერთი მყარი კლდე ამოსულიყო და წვერი ცისათვის შეესწორებინა“(გვ.491).

საომარი ცეცხლის სიძლიერე ასეა დახატული: „ამ ორისავე ლახტისგან, ესეთი ძლიერი ცეცხლი გამოსკდა, რომ ორნივე დაფარა (გვ.437); „ასეთი ნარა გასწია, რომ იმ ბაღმა და მისმა არემარემ სულ ზანზარი დაიწყო“(გვ.591); „მათგან ესეთი ცეცხლი გამოხდა, რომელ მისი ალი ღრუბელსა სწვდებოდა (გვ.164); „რა რომ ის მინა გასქდა, იმ მინიდან ასეთი ცეცხლები გამოვიდა, რომ ცა და ქვეყანა მოიცვა“(გვ.334).

გაზვიადებულია მუზარადის სიდიდით: „თავსა ისრეთი მუზარადი დაიხურა, რომ იგი მთა, მინდორი და ქვეყანა სრულიად გააწითლა“ (გვ.379).

ლახტის ცემის სიძლიერე: „ესრეთი ძლიერი ლახტი დაჰკრა, რომელ თუმცა მთასა იალბუზისასა მოხვედროდა, იგიცა დაიქცეოდა“ (გვ.31); „მას მხეცსა ესრეთ ძლიერად შემოჰკრა, თუცა იგი ნაკრავი ყაფის მთას მოხვედროდა, ორად განიპებოდა“ (გვ.58); „იმ დღეს ისეთი საზარო ომი შეიქმნა, რომ ფალავანთა ხმისაგან და სპილოს ბრდღვნისაგან, და მარტორქის ღრიალისაგან, ნაღარის ხმისაგან, ისრის შრიალისაგან, ხმალთა ცემისაგან, შუბთა ძგერისაგან და ლახტთა ხეთქისაგან ცა და ქვეყანა სრულად იძრწოდა“ (გვ.317).

რაოდენობა: „ზღვითაგან ისი მხეცი გამოვიდა, ათორმეტჯერ ასი ათასი კაცი ერთმანეთსა ჰკრა“ (გვ.91).

სილამაზე: „ძიძასაცა ესრეთ შვენება ჰკრთოდა, რომე მისი მნახვენი გავსილსა მთვარესა მისად სადარად არა იტყოდინან“ (გვ.113).

მოკლედ, „ყარამანიანში“ გაზვიადების საგანი არის: სილამაზე, რაოდენობა, ხმა, ლახტის ცემის სიძლიერე, ომის წყურვილი, კლდის სიდიდე, მანძილი. ჰიპერბოლას ავტორი იყენებს მხატვრული ეფექტის გასაძლიერებლად.

ლიტოტესიც ტროპის სახეთაგანია და ნიშნავს საგნის დამცირებულად, დაკნინებულად წარმოდგენას: „მის კოშკიდამ დიდროვანი მთები კვერცხის ოდენათა ჩანდა“ (გვ.475); „რა ქვე ჩამოიხედა, ქვეყანა კალოსაოდენი ჩანდა“ (გვ.127).

„ყარამანიანის“ პესონაჟთათვის არაა დამახასიათებელი შიში, პირიქით, მათ შეუძლიათ მტერს, როგორც „მცირე ფრინველს“, ცხვარს მოუსწრაფონ სიცოცხლე:

„მედგრად გასწია და ვით მცირესა მფრინველსა, ეგრე თავი წასწყვიტა“ (გვ.74); „ორსავეს ცხვარსავით ყელეები გამოსჰკრა“ (გვ.285).

§ 5. გაპიროვნების სტილისტიკური ფუნქციები

პოეტური გაპიროვნება იქმნება ბუნების მოვლენათა მოძრაობის, ფორმის, ხმისა და სხვათა მკვეთრი გამოვლინების საფუძველზე, რაც იწვევს სიცოცხლის ილუზიას; ბუნების მოვლენები გვევლინება, როგორც თვითნებური, შეგნებული მოქმედება,

რომელშიც მონაწილეობას იღებს მოვლენისა თუ საგნის ნებისყოფა, სურვილი, მიზანდასახულობა“ (ზანდუკელი, 1960: 122).

„ყარამანიანში“ **გაპიროვნების** მაგალითი ცოტაა: „ხმალი, ლახტი, შუბი და ისარი ერთმანეთს ემღერებოდნენ“(გვ.76); „მუნ მსხდომთა ეგონათ, ღრუბელი გვირგვინავს და მისი ხმიანობა არისო“(გვ.100); „საწუთროსა მაშვენებელმან მზემან აღმოსავალით ოქროსა სვეტი აღმართა“(გვ.105).

4.6. „ყარამანიანის“ სხვა სტილისტიკური თავისებურებანი

„ყარამანიანის“ გამოკვეთილი სტილისტიკური თავისებურებაა ფრაზების პლეონასტური აგება, **პლეონასტური** წინადადებანი. პლეონაზმი ბერძნული სიტყვაა pleonasmos და ნიშნავს წინადადებაში ერთისა და იმავე ცნების გადმოსაცემად ერთნაირი მნიშვნელობის, ლოგიკურად ზედმეტი სიტყვების გამოყენებას. ეს სტილისტიკური ხარვეზია, თუმცა განსახილველ მასალაში ის სტილიზაციის საშუალებაა.

ტექსტში პირნაკლ ზმნებთან ხშირად გვხვდება სუბიექტი:

„რა დილა გათენდა, ხელმწიფე რაიაზამ საგარეოში გამობრძანდა“(გვ.510); „რა დილა გათენდა“(გვ.36); „და რა დილა გათენდა, გულისტამ ერამისაკენ გაემართნენ“(გვ.147)

ზოგჯერ ერთი და იგივე ფუძეა შემასმენელშიც და პირდაპირ ობიექტშიც: „რა ესე თქვა, ფარი იფარა და თავი უფალსა შევედრა“(გვ.97).

აქვე უნდა დავასახელოთ **ლოცვა შეულოცას** ტიპის ფორმებიც:

„იგი **ლოცვა შეულოცა** და ერთი ისარი შევსტყორცნე“(გვ.49); „კვალად იგივე **ლოცვა შეულოცე**, ზე ავაყენე“(გვ.50); „ესენიც მსწრაფლად ზეადგნენ, მძიმედ თავი დაუკრეს და მოახსენეს“(გვ.421); „უფალსა შესტიროდა და აბრაამისა **ლოცვასა ილოცევდა**“(გვ.162); „იგი **ლოცვა შეულოცე** და მიწა პირზე შევაყარე“(გვ.56).

პლეონაზმებს ქმნის ზმნისწინისა და ზმნიზედების ან თანდებულების გვერდიგვერდ გამოყენება: „მაშინვე მარტორქა **ქვე დაეცა**“(გვ.105); „მან მეთილისმენამ მანიშნა და **ქვე ჩამოვხედით**“(გვ.48); „ვინცა დაჯდომის ღირსი იყო, **ქვე იჯდა**“(გვ.35); „ესენი ყველანი **ქვე დასხდნენ**“(გვ.39); „მაშინვე მარტორქა **ქვე დაეცა**“(გვ.105); „მან მეთილისმენამ მანიშნა და **ქვე ჩამოვხედით**“(გვ.48); „ვინცა დაჯდომის ღირსი იყო, **ქვე**

იჯდა“(გვ.35); „ესენი ყველანი ქვე დასხდნენ“(გვ.39); „მერმე ზე ადგა აჰანდილ და ხელმწიფესთან მივიდა“(გვ.423); „ყარამანის ბრძანებით ზე ადგა“(გვ.191); „ყოველნივე მათთან მოსული ზე იდგნენ“(გვ.327); „ყათრან ზე ადგა და მოახსენა“(გვ.34); „მუნა მსხდომნი ყოველნივე ზე ადგნენ და ქება შეასხეს“(გვ.191); „ესენიც მსწრაფლად ზეადგნენ, მძიმედ თავი დაუკრეს და მოახსენეს“(გვ.421); „მერმე ზე ადგა აჰანდილ და ხელმწიფესთან მივიდა“(გვ.423); „ყარამანის ბრძანებით ზე ადგა“(გვ.191); „ყათრან ზე ადგა და მოახსენა“(გვ.34); „ყოველნივე მათთან მოსული ზე იდგნენ“ (გვ.327); „მუნა მსხდომნი ყოველნივე ზე ადგნენ და ქება შეასხეს“(გვ.191).

აქვე უნდა გავაერთიანოთ სხვა ტიპის პლეონასტურად აგებული ფრაზებიც: „შენ მოემზადე და მზად იყავ!“ (გვ.47) „საკვირველსა განკვირვებასა მიეცა“(გვ.531).

ამრიგად, „ყარამანიანის“ მხატვრული ენა მდიდარი, მრავალფეროვანი და ექსპრესიულია. შემოქმედის მხატვრული ინდივიდუალურობის დასადგენი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მაღალმხატვრული საშუალებაა შედარება, რომელიც ჰიპერბოლასთან ერთად ქმნის ნაწარმოების მხატვრულ სტილს. მეტად საინტერესოა ეპითეტი და მეტაფორაც, ანტითეზისთვის გამოიყენება ჰიპერბოლა და ლიტოტესი.

დასკვნები

„ყარამანიანი“ სარაინდო - სათავგადასავლო რომანია, რომელიც უდავოდ მნიშვნელოვანი ძეგლია ენობრივად.

მასში ცალკე გამოიყოფა:

- ძველი ქართულის მოვლენები: დასტურდება არქაული ფონეტიკური ფორმები: *მფრინველი, ტრედი, პილო, მეთხუთმეტე, ჩჩვილთა...*

„ყარამანიანის“ მორფოლოგიური არქაიზმებია: წრფელობითი ბრუნვა (ის გვხვდება საკუთარ სახელებთან, *ერქუს და ეწოდა* ზმნებთან); საკუთარი სახელის ბრუნების თვალსაზრისით „ყარამანიანში“ არქაული ვითარებაა დაცული; კუმშვად-კვეცადი სახელი შეუკუმშავია (*ფანჯარისაკენ, ქვეყანითა, ბეგარად*).

რიცხვითი სახელის გადმოსაცემად „ყარამანიანში“ ხშირია არქაული ფონეტიკური და გრამატიკული ფორმების გამოყენება, ვე ნაწილაკიანი რიცხვითი სახელიც ამ ძველში ძველქართულისებურად იბრუნება.

ნაწარმოებში ზმნის სუბიექტური პირველი პირის ნიშანი ვ ხშირად დაკარგულია. სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშნები გამოიყენება ძველი ქართულისამებრ. სუბიექტური მესამე პირის ნიშნად გვაქვს *ეს და ენ//ან'იც*. წყვეტილსა და მეორეში კავშირებითში *ო-ს* ნაცვლად გვაქვს *ა* სუფიქსი (*იგრძნა, სცნა, იცნა, იპყრა, შევიპყრა*).

ტექსტში ხშირად გამოიყენება ზმნისწინთა ძველი სახეობები (*შთა, გან, წარ, აღ*) მოჭარბებულად გამოიყენება პირის ნიშნები (*დასჯექ, შესცურდა, სდგებოდნენ, დავსდგე, განკვირდებოდა*).

„ყარამანიანში“ ძირითადად ევ-ემ თემისნიშნაანი ფორმები გვხვდება, ვიდმიდიანი და ავ/ამ თემისნიშნაანი იშვიათია. გამოვლინდა რამდენიმე ფორმა I თურმეობითისა, სადაც იეს დაბოლოება გვხვდება (*გიმსახურებიეს, დაუტევებიეს*).

ძველი მდიდარია უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებით (*მოვიდოდიან, ჩნდებოდიან, იქნებოდიან*). დასტურდება მეორე ხოლმეობითიც. ვნებითი გვარის ზმნის დაბოლოება ძველი ქართულისებურია (*ევნების, იმყოფების, დაიხარჯვის, ეშველების*), გვხვდება ენაანი ვნებითებიც და მ-ო აფიქსიანი მიმღეობები.

უკან' თანდებული გამოიყენება შემდეგის' მნიშვნელობით.

ძირითადად დაცულია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების სრული სახეობა, გვხვდება მასდარული კონსტრუქცია. უხვადაა ლექსიკური არქაიზმიც (*ფერხი, პერეული, ხადოდნენ*).

- საშუალო ქართულის გავლენა ჩანს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გამარტივებიდან, ამავე ბრუნვაში საკუთარ სახელის გაფორმებიდან. სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ძირითადად გვაქვს **ნენ** სუფიქსი. გამოკვეთილია ზმნისწინის ფუნქციები: *თითობა*, გვხვდება *ინხოატივიც*.

უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივის გადავარდნის მაჩვენებელია ერთსა და იმავე წინადადებაში უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმათა გამოყენება. დასტურდება პირველი თურმეობითის ახალი დაბოლოება (*მოგვილია, აუშენებია, ამოუწყვეტია*). გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი მეშველზმნიანია (*მოუპარევარ*); შუალობით კონტაქტს ძირითადად აწარმოებს *ინ* სუფიქსი (*მოაღებინა, ესწავლებინა, ჩამოგვარიგებინებენ*). იშვიათად დასტურდება *ევენ* მაწარმოებელიც (*მოაკვლევინებ*).

* ყარამანიანში“ შეინიშნება ცოცხალი მეტყველების გავლენა, რითაც აიხსნება სხვადასხვა ფონეტიკური პროცესი: *მეტათეზისი* (ხლმითა, გამავდიძე, ქრმადა, დაემგზავსა); *სუბსტიტუცია* (რავდენსამე,ზახილი); *ასიმილაცია* (მზგავსი, აღზდგე, ემგზავსებოდა, მეჯლიშში, გაშინჯა, ემუსაიბნენ); *დისიმილაცია* (გაბრთხილება, ანბავი, გასქდა, შეიტყუბა, შეიმცნია); *თანხმოვნის გაჩენა* (მჯიღვი, სამზღვარი); *ბგერის დაკარგვა* (ვიქ, პოეს, იპოებოდა, ბძანა, თითონ).

ყურადღებას იქცევს დიალექტური ნაცვალსახელები (*თვითეული, თვითეული, თვითო*); ანთროპონიმს დაერთვის წოდებითი ბრუნვის ნიშანი.

მდე/მდის თანდებული წარმოდგენილია დიალექტური ფორმით (*ციხემდინ, სალამომდინ, განთიადამდინ*). დასტურდება **მდისინ** თანდებულიანი ფორმებიც (*ფეხებამდისინ, თოკამდისინ, იქამდისინ*). საინტერესოა **დამ**-ის გამოყენება. ის დასტურდება თითქმის ყველა დიალექტსა და სამწერლობო ენაში. გვხვდება მისი არქაული ფორმა **დაღმეც**. „ყარამანიანისთვის“ ნიშანდობლივია ზმნისწინთა და თემის ნიშანთა დიალექტური ფორმები.

* „ყარამანიანი“ მდიდარია პარალელური ფორმებით

მონაცვლეობს ახალი და არქაული ფონეტიკური ფორმები (*ათსამეტი/ ცამეტი, ფერხი/ფეხი*), სალიტერატურო და ცოცხალი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ფორმები (*სულთქმა/სულთქნა, წყრთა/ მწყრთა, ტყვილი//ტყუილი, ხვამალდი და*

ხომალდი); ძეგლში გვაქვს ასევე ათშიდმეტი, ჩვიდმეტიც და ათჩვიდმეტიც. გვერდიგვერდ გვხვდება შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები (ვეშპის, ვეშაპით); რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნებში სიჭრელეს გვიჩვენებს; აბსტრაქტულ სახელებში ერთმანეთს ენაცვლება **ობა და ება მაწარმოებლები: სი-ე//ობა, ობა//ება//სი-ე(სიამოვნე/სიამოვნება,სამამაცე/მამაცობა,სიამპარტავნე/ამპარტავნება/ამპარტავნობა)**. I თურმეობითში იეს და ია დაბოლოებიანი ფორმები გვერდიგვერდაც გვხვდება.

პარალელურ ფორმებს ქმნის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმებიც (სამგერლად//დასამგერებლად). ასეთი ფორმები განსხვავდებიან ფუძითაც (გაწყობილობა//გაწყობა).

დასტურდება აგრეთვე ზედსართავი სახელების პარალელური ფორმებიც: **დიდრონი//დიდროვანი, უმჯობე//უმჯობესი**).

„ყარამანიანი“ განსაკუთრებით მდიდარია მიმღეობის პარალელური ფორმებით. სწორედ აქ ჩანს ქართული ენის სიტყვათსაწარმოებელი შესაძლებლობანი და მთარგმნელის შემოქმედებითი უნარებიც. ტექსტში დასტურდება **პრეფიქს-სუფიქსიანი და სუფიქსიანი მონაცვლე ფორმები (საწადისა//საწადელი); პრეფიქსულ-სუფიქსური და სუფიქსური მონაცვლე ფორმები (მოიმედე//იმედეული); პრეფიქსულ-სუფიქსურ წარმოებაში მონაცვლეობს სხვადასხვა აფიქსი (მაქებელი//მაქებარი), მონაცვლეობენ პრეფიქსული და სუფიქსური წარმოების მიმღეობები**.

* „ყარამანიანის“ ბევრი თავისებურება მთარგმნელის **ინდივიდუალიზმის ნიშნებია**: ძეგლი საინტერესოა იშვიათი მიმღეობებით; მრავლობით რიცხვს აწარმოებენ საწყისები და აბსტრაქტული სახელები: **სწავლა, ქება, უსამართლოება**. ამგვარი რამ გვხვდებოდა თითქმის XIX საუკუნის I ნახევრამდე. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას საყურადღებოა ერთი თავისებურება: ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი მოქმედებით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაშია (ბრწყინვალეს ტანისამოსით, საზაროსა ხმითა). რიცხვითი სახელი არსებითთან ერთად ბრუნებისას მოთხრობით ბრუნვაშიც დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: **ოცდა ოთხმა ათასმა**.

დარღვეულია სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების წესები. ტექსტში აღრეულია სასვენი ნიშნების ხმარების წესები. კავშირების წინ წერტილისა და მძიმის გამოყენება აშკარა თავისებურებაა „ყარამანიანის“ ენისა.

სიტყვაწარმოებითი თავისებურებებია: „ყარამანიანში“ ბევრია ქონების ზედსართავი სახელი (ექვსფეხოვანი, ოთხთვალოვანი). იან' სუფიქსი ქონების სახელებს ძირითადად აწარმოებს კომპოზიტთაგან (რვაჯილიანი, პირსაბურვლიანი, შვიდკუთხიანი).

„ყარამანიანის“ თავისებურებაა პლენასტური წინადადებანი (ლოცვა შეულოცა, ქვე დაეცა, ქვე ჩამოვხედით, ქვე იჯდა).

„ყარამანიანში“ ხელშესახებია აღმოსავლური ლექსიკა, სპეციფიკური სიტყვები, ტერმინები (იყლიმი, ალაჯი, რუბაბი, ბაბრი, ყაფიჩი, ბარყუმი, ნარა, ყაფიჩი, ჩაუმი, სტრატილანტი, ქურახანი...). ზოგი მათგანი შემონახულია დიალექტებში. საინტერესო ფორმებია თავაზა და თამაშა. თავაზა ნიშნავს დარბაისლური ყოფაქცევის წესს, თავაზით ექცეოდნენ, პატივისცემით, მოკრძალებით ეპყრობოდნენ. გვხვდება კალკებიც.

საგმრო-საფალავნო ნაწარმოების მხატვრული ხერხები ერთგვარად წინასწარ განსაზღვრულია, მაგრამ „ყარამანიანი“ ამ მხრივაც მეტად საინტერესო ძეგლია. ნაწარმოების მხატვრულ სტილს ქმნის იშვიათი შედარებანი. „ყარამანიანში“ შედარების ობიექტი ხშირადაა ხის ფურცელი (ფოთოლი), წვიმა, მზე, მთვარე, ვარსკვლავი. შედარებაში ერთი ობიექტიდან მეორეზე გადატანილი თვისება ხშირად უამრავი თვისებიდან ერთი გამოკვეთილი ნიშანია. ესენია: სიჩქარე (ლომი, ქარი, ქორი, ელვა), ძლიერება (ლომი), ვარდნა (ფურცელი), ტირილი (წყარო); შიში, თრთოლა (ფურცელი), გაბრაზება (მაღლი, ლომი, ვეფხვი, ვეშაპი, ჭექა-ქუხილი, ცეცხლი), საგნის ფიზიკური მონაცემები, გარეგნული ფორმა (მოხრა) (მშვილდისარი), ელვარება (მზე, ცეცხლი), სილამაზე (მზე, მთვარე, ვარსკვლავები) და სულიერი თვისებები, მოქმედება, ბრძოლა, ტირილი (წყაროს დინება; მეორედ მოსვლა), სიკვდილი (ფოთოლცვენა) თავისებურებანი ასევე მოძრაობის ტემპი, რიტმი.

„ყარამანიანში“ გმირის ცალკეული ნიშან-თვისება არაბუნებრივი მასშტაბებით არის წარმოდგენილი, ჰიპერბოლიზებულია, რაც ნიშანდობლივია საგმრო

რომანისთვის. ხშირია ჰიპერბოლური ეპითეტები. ასეთია გმირის იარაღის სიდიდის აღმნიშვნელი ეპითეტებიც. მწერალი მათი საშუალებით უშუალოდ და შთამბეჭდავად გვიხატავს გმირებს.

ტექსტში გმირის სახე გამოიკვეთება ისეთი ტრადიციული მეტაფორული ხატების შემწეობით, როგორებიცაა: **ლომი, ვეშაპი**. აღნიშნული მეტაფორები ემსახურება პერსონაჟთა რაინდული თვისებების ხაზგასმას, ვაჟკაცობისა და სიმამაცის წარმოჩენას. მზე „ყარამანიანში“ აღძრავს სილამაზის წარმოდგენას.

ჰიპერბოლა დამახასიათებელია საგმირო-საფალავნო ეპოსისათვის, ამიტაა განპირობებული მისი ასე ხშირი გამოყენება ამ ნაწარმოებში. გაზვიადების საგანი არის **ხმა, რაოდენობა, საომარი ცეცხლის სიდიდე, მოქმედების მანძილი, კლდის სიდიდე, შიში**.

„ყარამანიანში“ იშვიათად გვხვდება ლიტოტესი. ნაწარმოების სტილს ქმნის მაღალმხატვრული შედარებანი, ჰიპერბოლა და მეტაფორა.

შემოკლებათა განმარტებანი

1.ამირ.- მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, მოსაცემად მოამზადა ლილი ათანელიშვილმა (ქართული კლასიკური ლიტერატურის ძეგლები), თბ. 1969;

2. **არ.** -არაბული;
3. **ბალ.** ბალავარიანის ქართული რედაქციები. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილ. აბულაძემ. აკაკი შანიძის რედაქციით (ძველი ქართული ენის ძეგლები 10), თბ. 1957;
 - ვტყ.**- „ვეფხისტყაოსანი,“ შოთა რუსთაველი, სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი, საიუბილეო გამოცემა, თბ. 1966 წ;
5. **ვისრ.**- „ვისრამიანი“, ალ. გვახარიას და მ. თოდუას რედაქციით. 1962;
6. **ი.**-სახარება იოვანესი, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ (ძველი ქართული ენის ძეგლები, 2), თბ. 1945;
7. **იერ.**- იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კ. დანელიამ. თბ. 1992 წ;
8. **კახ.** -კახური;
9. **კირნ.**-კირნათი;
10. **ლ.**- სახარება ლუკაძის; ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი.იმნაიშვილმა. თბ. 1979;
11. **ლიმ.**- იოანე მოსხი, ლიმონარი. ტექსტი გამოიკვლია და გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ. 1960 წ.;
10. **მ. ცხ.**- მამათა ცხოვრებანი. ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერი X საუკუნისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა. თბ. 1975 წ;
11. **მ.**- მათეს სახარება, ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი.იმნაიშვილმა. თბ. 1979;
12. **მამ. ცხ.** ბრიტ.- მამათა ცხოვრებანი, ბრიტანეთის მუზეუმის ADD-1128 (XI ს.) ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბ. 1975;
13. **მრკ.**- მარკოზის სახარება; ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი.იმნაიშვილმა. თბ. 1979;
14. **მ. სწავლ.**- მამათა სწავლანი, X-XI საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ. აკაკი შანიძის რედაქციით (ძველი ქართული ენის ძეგლები, 8), თბ. 1955;
15. **რუსუდ.** რუსუდანიანი ილია აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით (ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურა), თბ. 1957;
16. **საკ.**- საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 10), თბ. 1966;
17. **სინ.**- სინური მრავალთავი;

18. **ტიპ.**- პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, გამოსცა აკ. განიძემ: ქართველთა მონასტერი ბულგარეთში (ძველი ქართული ენის ძეგლები, 13), თბ. 1971;
19. **ფსალმ.**- ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზექალა შანიძემ, I, ტექსტი (ძველი ქართული ენის ძეგლები, 11) თბ. 1969;
20. **ქართლ.**- ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები) შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, ლ. ნოზაძე, თბ. 1981;
21. **ქეგლ.**- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბ. 1950-1964;
22. **ყარ.** - „ყარამანიანი“ ალ. გვახარასა და ს. ცაიშვილის რედაქციით. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ თბილისი, 1965 წ;
23. **ქართ.**- ქართული;
24. **ქობ.** ქობულეთი;
25. **ყაზბ.**- ალექსანდრე ყაზბეგი, თხზულებანი, თბილისი, 1985;
26. **შუახ.** - შუახევი;
27. **შუშ.**- იაკობ ცურტაველი, მარტვლობაჲ შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ (ადრინდელი ქართული ფეოდალური ლიტერატურა, II), ტფილისი. 1938. მეორედ გამოიცა 1978 წ;
28. **ჩვენებ.**- შუმანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1993;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973;

2. არაბული ა., სპორადულად გამოვლენილი III პირის -ნ/-დ, -ენ/ ედ სუფიქსთა ფუნქციისათვის ძველ ქართულში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ. 1980;
3. არისტოტელე, რიტორიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო თამარ კუკავამ. რედაქტ. აკაკი ურუშაძე, თბ.1981;
4. ანდრონიკაშვილი მზ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან თბ. 1966;
5. აფრიდონიძე შ., თანდებულად გამოყენებული ზოგი ზმნისართის ფუნქციისათვის ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი VI თბ. 1984;
6. აფრიდონიძე შ., სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ.1986;
7. ბარამიძე აღ., თეიმურაზ II-ის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, XII, თბ. 1959;
8. ბერიშვილი ე., ფრაზეოლოგიზმთა ერთი ნაწილისათვის ქართული სახარების ორი ძველი რედაქციის მიხედვით, ენათმეცნიერების საკითხები, 2 (14). თბილისი, 2002;
9. გვახარია აღ., ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების სათავეებთან, სპარსულ-ქართული ცდანი, თბ. 1987;
10. გვენცაძე აღ., ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, თბ. 1974;
11. გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010;
12. გოგოლაშვილი გ., თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით) თბილისი, 2011;
13. დანელია კ., წრფელობითის ადგილისათვის ძველი ქართული ენის ბრუნვათა სისტემაში. წიგნში: ნარკვევები ქართული სამწერლო ენის ისტორიიდან I თბ. 1998;

14. „ვეფხისტყაოსანი,“ შოთა რუსთაველი, სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი, საიუბილეო გამოცემა, თბ. 1966 წ;
15. „ვისრამიანი,“ ალ. გვახარია და მ. თოდუას რედაქციით. 1962;
16. ზანდუკელი მ., ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, თბ. 1960;
17. თაყაიშვილი ა., ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ. 1961;
18. თოფურია ვ., „წრფელობითი ბრუნვისათვის ძველ ქართულში,“ თბ. 1965;
19. იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1956;
20. იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში. მაინის ფრანკფურტი, 1996;
21. იმედაშვილი გ., სეილანიანი და რაინდული რომანის ზოგი საკითხი. ლიტერატურული ძიებანი. ტ. X. თბ. 1956;
22. იმედაშვილი გ., სირინოზიანი. ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI. თბ. 1958;
23. კალაძე ც., განსაზღვრება ქართულში, ქესს II. თბ. 1961;
24. კაშია რ., აღმოსავლური ლექსიკა ქართული ისტორიული (სავაჭრო-ეკონომიკური) საბუთების მიხედვით. ქართველური მემკვიდრეობა, XX, ქუთაისი, 2016;
25. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II. თბ. 1958;
26. კიკნაძე ლ., უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში. ძქეკშ. VII. თბ. 1961;
27. კიკნაძე ლ., I სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. თსუ შრ. XXX, 1947;
28. კობიძე დ., სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1975;
29. კობიძე დ., ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი II / რედ: ალ. გვახარია, თბ. 1969;
30. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ-ს გამომცემლობა, თბ. 1995;

31. მაკარაძე ელ., ქართული ხალხური საგმირო ლექსის ხატოვანი მეტყველება, გამომცემლობა „აჭარა.“ ბათუმი, 1999;
32. მამულია ე., თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, გამომც. ცისარტყელა, 2006;
33. მარტიროსოვი ა., „ჩემდა, შენდა ტიპის ნაცვალსახელთა წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში“ იკე ტ. XI. თბ. 1959;
34. მარტიროსოვი არ., მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში. იკე VII, თბ. 1955;
35. ნადარეიშვილი ი., „და“ კავშირის ხმარების სიხშირე ქართული სალიტერატურო ენის ევოლუციის პროცესში: სმამ 97- 2 თბ.1970;
36. ნიკოლაიშვილი ე., III სუბიექტური პირის ეს სუფიქსის ენ-ით შეცვლის ისტორიიდან მაცნე ელს № 3. თბ.1978;
37. ნინიძე თ., ევფემიზმის გამოხატვის ენობრივი საშუალებანი ჩვენებურების მეტყველებაში. ქართველური მემკვიდრეობა, XX, ქუთაისი, 2016;
38. ნიჭარაძე შ., აჭარული დიალექტი, გამომცემლობა საბჭოთა აჭარა,“ბათუმი, 1975;
39. ნიჭარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1971;
40. ნოზაძე ლ., პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითის ურთიერთობისათვის ქართულში, ქესს, II, თბ. 1961;
41. პოპიაშვილი ნ., სინონიმები პოეტური მეტყველების დისკურსში (ტბელობა, საერთაშორისო კონფერენციის მასალები ოქტომბერ-ნოემბერი) თბ. 2009;
42. რამიშვილი დ., მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, სმამ გამომცემლობა, თბ. 1963;
43. „რუსუდანიანი,“ სარგის ცაიშვილის რედაქციით. თბ. 1965წ;
44. სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984;
45. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისათვის (საკითხის დასმა): მრავალთავი, VIII, თბ. 1980;
46. სარჯველაძე ზ., „ძველი ქართული ენის სიტყვის კონა,“ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2001;
47. სახოკია თ., ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბ. გამომცემლობა „მერანი,“ თბ. 1979;
48. სიგუა ს., კ. გამსახურდიას პროზის სტრუქტურა. თბ. 1989;

49. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ. 1993;
50. უგრეხელიძე ნ., გარდამავალი პერიოდის ქართული ენის დახასიათება მე-18 საუკუნის ხელნაწერების მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება აკადემიკოს მზექალა შანიძის დაბადების 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია პროგრამა და თეზისები 14 აპრილი, თბილისი, 2016;
51. უგრეხელიძე ნ., საგმირო ეპოსი აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში, ქართველური მემკვიდრეობა, XX. ქუთაისი, 2016;
52. ფალავა მ., ცეცხლაძე ნ., სამხრული კილოები- ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, გამომცემლობა „ივერიონი“ თბილისი, 2017;
53. ფალავა მ., ცინცაძე მ., კალკების საკითხისათვის, სამხრულ კილოებში, ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული IV. ბათუმი, 2005;
54. ფალავა მ., თანდებული სამხრულ კილოებში. კრებული ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, III. 2011, გვ. 231-256).
55. ფონიავა ნ., გულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და იდიომატური გამოთქმები მეგრულ ლაზურში (XXXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები ეძღვნება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავს). თბ. 2011;
56. ფოჩხუა ბ., მრავლობითობის ნარიანი მაწარმოებლები ძველ ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II. თბ. 1961;
57. ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1993;
58. ქავთარაძე ივ., ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქესს II. თბ. 1961;
59. ქავთარაძე ივ., ქართული ენის ისტორიისათვის XII-XVIII სს. თბ. 1964;
60. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. 2 : გ /რედ. გიორგი წერეთელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ.1951;
61. ღლონტი ალ., ფილოლოგის ჩანაწერები, რედაქტორი ირ. არაბული, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ.1980;
62. ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, რედაქტორი დ. ჯიბლაძე, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1984;
63. „ყარამანიანი,“ ალ. გვახარასა და ს. ცაიშვილის რედაქციით. 1965 წ;
64. „ყარამანიანი,“ XIX საუკუნის ხელნაწერი;

65. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ. 1973;
66. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ. 1953;
67. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი 12 ტომად ტომი I, თბ. 1980;
68. შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თუს-ს გამომცემლობა თბ. 1976;
69. ჩიქობავა არნ., ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის. კრებული სახელის ბრუნების ისტორიიდან ქართულში. წიგნი I თბ. 1954;
70. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ. 1938;
71. ჩიქობავა არნ., მესამე პირის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე V-VI. თბ. 1940;
72. ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ. 1942;
73. ჩიქობავა არნ., ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი შრომები I. თბ. 2010;
74. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ. 1938;
75. ჩიქობავა არნ., ერთი უცნობი თანდებულის შესახებ ქართულში, ენიმკის მოამბე, I. ტფ. 1937;
76. ჩოხარაძე თ., სახელი სამხრულ კილოებში, სადისერტაციო შრომა, ბათუმი, 2017;
77. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, თბ. 1961;
78. ჩუბინაშვილი ნ., „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ. 1984;
79. ცეცხლაძე ნ., მიმღეობა ძველ ქართულში, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი,“ ბათუმი, 2006;
80. ცეცხლაძე ნ., მიმღეობა კლარჯულში. თსუ-ს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის თეზისები, 2014;
81. ცეცხლაძე ნ., ახვლედიანი დ., ზოგი საერთო ქართველური მოვლენის კვალი აჭარულში; ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული VI, ბათუმი, 2009;
82. ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მზ., სტილისტიკა. გამომცემლობა „ივერიონი“ თბილისი, 2014;
83. ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მზ., ანალიზური ფორმები ქართული ენის სამხრულ კილოებში, 37-ე დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თსუ გამომცემლობის სტამბა, თბილისი, 2017, www.press.tsu.edu.ge;
84. ცეცხლაძე ნ., ნეკროტიზმები ქართულში, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის შრომები „ფილოლოგიური მაცნე“ II. გამომცემლობა „ივერიონი“ ISBN- 978-9941-9411-6-0. თბ. 2015;

85. ცინცაძე მ., ფალავა მ., სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XV სს), ბათუმი, 1998;
86. ცინცაძე მ., „უკან“ სიტყვის მნიშვნელობისა და სინტაქსური ფუნქციისათვის კლარჯულში, ბსუს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული X, ბათუმი. 2015;
87. ძიძიგური შ., საენათმეცნიერო საუბრები. თბ. 1960;
88. წერეთელი გ., „არაბულ-ქართული ლექსიკონი“ თბ.1951;
89. ჭინჭარაული ალ., ხევსურულის თავისებურებანი. თბ. 1960;
90. ჭუმბურიძე ზ., როგორ გაჩნდა სიტყვა, თბ. 1963;
91. ხარბედია მ., დაბრუნება „ბოჰემასთან.“ თბ. 2010;
92. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II. თბ.1948;
93. ჯიქია ს., თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, თსუ შრომები ტომი 108. თბ. 1964;
94. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ. 1989;
95. ჯორბენაძე ბ., თემის ნიშანთა განაწილებისთვის ქართულში, იკე XXVII თბ.1998;
96. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია II. თბილისი, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, 1998;
97. ჯორბენაძე ბ., მხატვრული ტესტის ენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები წიგნი V. გამომცემლობა „მეცნიერება“,1983;
98. Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов, Москва, 1966;
99. Vullers I.A. *Lexicon Persico –Latinum Etymologicum, Bonnae ad Rhenum, T.I, „Impensis Adolphin Marci“*
100. Гиргас В. Ф, Арабско-русский словарь к корану и хадисам. Казань: Типография императорского университета, 1881;
101. Мещеряков В. П., Козлов А. С., Кубарева М. Н., Сербул Н. П., Основы Литературоведения. Под общей редакцией В. П. Мещерякова. Учебник для вузов. М., 2003;
102. Морен М. К., Тетеревникова Н. Н., Стилистика современного французского языка М. 1960;
103. Палиевский П., Внутренняя структура образа, в кн. Теория литературы II., Москва., 1962;
104. Tandilava L., Tsetskhladze L., *Gürcüce-Türkçe deyimlerin varyantlara göre kültürel dialoglar*, Universe Culture ISSN: 1308-619. 2015;
<http://www.kulturevreni.com/ke26eng.html>
105. Турецко-русский словарь. Академия наук СССР институт востоковедения. Москва: изд. „Русский язык“, 1977;

106. Якобсон Р.О., Лингвистика и поэтика, М., 1975.

<https://saba.com.ge/books>;

<https://takotchanturia.wordpress.com/2014>.